

032  
1986/2

ISSN 0134 3459  
ՀԱՅԿԵՍՏԱՆԻ  
ՔՈՆԿՐԵՏԻՍ

# ՔՈՆԿՐԵՏԻՍ



3

1986

« Հեփհեփ »  
Մ. Ջալալյան



# ქოროსი

გ ა მ ო ც ე მ ი

28-ე

წ ე ლ ი

ლიტერატურულ-მხატვრული და საზოგადოებრივ-პოლიტიკური ჟურნალი  
საქართველოს ფედერალთა კავშირისა და აზარის განყოფილების ორგანო

რა მშვენიერი ზღვა ვეაქვს, აჭარა,  
რა მოძაველი, ძვირფასი ბედით...  
ქალაქი — ჩვენი ქვეყნის ფანჯარა  
ადმოსხველეთით და დასხველეთით.

გ. ტაბიძე

3

1986

მ ა ი ს ი  
ი ზ ნ ი ს ი



გ ა თ უ მ ი

## შ ი ნ ა ბ რ ს ი

### ს ი ბ ე ა — ყ რ ი ლ ო ბ ი ს დ ე ლ ე ვ ა ბ ა ს

გულნარა ვოგიტიძე — მხოლოდ პა-  
ტიოსანი შრომით 3

### ს ა ქ ა რ თ ე ლ ო ს ს ა ნ ა ო ს ო ს ა ლ ბ ი თ

გზა მშვიდობისა, ნოდარ! 6

ამირან თურქია — სამხრეთის პა-  
რალელებზე (ნარკვევი) 8

### ა ო ე ზ ი ა, პ რ ო ზ ა

ჯემალ ქათამაძე — ლექსები 15

ლადო მარღანიძე — ირაციონალუ-  
რი ტრიანგულაცია (მოთხრობა) 18

ჯემალ ჩახავა — ლექსები 34

შოთა როყვა — ელესა (რომანოს  
ფრაგმენტები) 37

ემენ დავითაძე — ლექსები 48

ჟ. ჟუნა შაინიძე — ლექსები 51

### ა ს ა ლ ი თ ა რ გ მ ა ნ ე ბ ი

სერგეი ესენინი — დაბრუნება



სამშობლოში (ლექსი. თარგმანა  
გიორგი ხალუქვაძემ)

**სალოცნება**

ნუგზარ ამაშუკელი — ელდარ  
შენგელაია  
მამია ვარშანიძე—სმელი წიფელი

**ისტორიის უპრცლუბი**

ამირან შერვაშიძე — ვინ იყვნენ  
კუტაისოვები?  
გენერალისიმუსი სუვოროვი  
და გენერალი ბაგრატიონი  
კახაბერ სურგულაძე — საბერძნე-  
თის არმიის ქართველი ვოლონ-  
ტიორები

**წერილები**

არჩილ რუგოშელი — ჯარია?  
არა — ჯერია!  
ჯემალ ჯაყელი — „და გავიხსენოთ  
მშვენიერი ქართული ლექსი“  
ვენაღი მასხარაძე — იმ მრისხანე  
დღეებში  
გიორვი ებრალიძე — მცირე გან-  
მარტება  
ზურაბ კომახიძე — „მასხოვს პირ-  
ველად სასწავლებელში“

**კრიტიკა და ბიბლიოგრაფია**

ილია რურუა — წიგნი, რომელიც  
უნდა დაწერილიყო  
ახლასან გამოიცა  
გასულ ორ თვეში

მთავარი რედაქტორი  
ალექსანდრე სამსონია

სარედაქციო კოლეგია:  
ა. ი. ახვლედიანი,  
გიორგი ბაჩიჩილაძე,  
ზურაბ გორგილაძე,  
მამია ვარშანიძე

(პასუხისმგებელი მდივანი),  
შოთა ზოიძე,  
დავით თეოდორაძე,  
გიორგი სალუქვაძე,  
ჯამალ ქათამაძე,  
ალექსანდრე ჩხაიძე,  
ფრიდონ ხალვაში,  
დავით ხახუტაიშვილი,  
ჯამალ ჯაყელი.

რედაქციის მისამართი: ბათუ-  
მი, ენგელის ქ. № 21. ტელ.  
3-33-71.

76  
79  
85  
86  
87

გადაეცა წარმოებას 21.4.86, ხელმოწე-  
რილია დასაბეჭდად 6.5.86, საგამომცე-  
მლო თაბახი 4,8, შეკვეთის № 1391, ემ  
01766, ქალაქის ზომა 60×90<sup>1</sup>/<sub>16</sub>, ტი-  
რაჟი 5.000.

საქართველოს სსრ გამომცემლობათა,  
პოლიგრაფიისა და წიგნის ვაჭრობის სა-  
ქმეთა სახელმწიფო კომიტეტის აკარის  
ასსრ პოლიგრაფიული საწარმოთ ვაერ-  
თიანება, ბათუმი ლუქსემბურგის, 20.

89  
92  
94

Государственный комитет Грузин-  
ской ССР по делам издательства,  
полиграфии и книжной торговли.  
Полиграфическое производственное  
объединение Аджарской АССР,  
Батуми, ул. Р. Люксембург, 20.

ვარეკანის 1-ლ გვერდზე — საბჭოთა კავშირის ვმირის ისრაფილ  
ჯინჭარაძის ძეგლი ბათუმში.  
ნომერი გააფორმა ა. ლომაძემ.  
ტექნიკური ხელმძღვანელი შ. დარჩია.

18.2.31

## მხოლოდ პატიოსანი შრომით

„...გეგმები რეალურად იქცევა მხოლოდ იმ პირობით, თუ თითოეული საბჭოთა ადამიანი დაძაბულად და ეფექტიანად იშრომებს“. — თქვა სკკპ XXVII ყრილობაზე ამხანაგმა მ. ს. გორბაჩოვმა.

შრომამ გაუთქვა საქვეყნოდ სახელი ამ ყრილობის დელეგატს გულნარა გოგიტიძეს — ქობულეთის რაიონის ხუცუბნის კოლმეურნეობის მოწინავე მენაიეს, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრს, საქართველოს სსრ სახელმწიფო პრემიის ლაურეატს, ოთხი შვილის დედას...

გ. გოგიტიძე თავის წერილში „ჭოროხის“ მკითხველებს უზიარებს სკკპ XXVII ყრილობის შთაბეჭდილებებს.

ჩვენი ლენინური პარტიის XXVII ყრილობა, რომელიც 1985 წლის 25 თებერვალ — 6 მარტს გაიმართა, ჭეშმარიტად ისტორიული, მსოფლიო მნიშვნელობის მოვლენა იყო. ყრილობის დღეები დაუვიწყარი იქნება თითოეული საბჭოთა ადამიანისათვის, და რასაკვირველია, ჩემთვის, — მე ხომ წილად მხედა დიდი ბედნიერება — მონაწილეობა მიმიღო ჩვენი ქვეყნის კომუნისტთა დიდ ფორუმში.

ყრილობაზე კიდევ ერთხელ ვირწმუნე, რომ შრომა ჩვენში მართლაც რომ პატივისა და ღირსების საქმეა. მშრომელი ადამიანებისათვის ზრუნვით იყო განმსჭვალული ყრილობის თითოეული დღე, ეს ზრუნვა სათანადოდ აისახა ყრილობის გადაწყვეტილებებში.

სკკპ XXVII ყრილობამ ჩაიარა პარტიული მომთხოვნელობის, პრინციპულობისა და ერთიანობის, ბოლშევიკური სიმართლის, ნაკლოვანებებისა და ხარვეზების გამომკარავების, ჩვენი საზოგადოების განვითარების დრმა ანალიზის ვითარებაში.

საქ. სსრ კ. მარქსის  
სახ. საზ. რისპობა



ყრილობის გადაწყვეტილებები თითოეულ ჩვენთაგანს ავალებს, ვი-  
 ყოთ უადრესად მობილიზებულნი, გამოვიჩინოთ თავდადება, უწინარეს  
 ყოვლისა, შრომაში. დროა, საბოლოოდ უკუვაგდოთ მაღალფარდოვანი  
 ფრაზები და ფუჭი დაპირებები. მხოლოდ კონკრეტული შედეგი, შრომა-  
 თი უკუგება შეიძლება გახდეს ადამიანის მოქალაქეობრივი სიმწიფის,  
 მისი მუშაობის მორალური თუ მატერიალური წახალისების საშუალება.

თითოეული ჩვენთაგანი, საკოლმეურნეო სოფლის მშრომელები, ყრი-  
 ლობის დოკუმენტებში ვპოულობთ ზუსტ და მკაფიო მითითებებს.

ხუცუბნის ლენინის ორდენოსანი კოლმეურნეობის მეჩაიეთა წარ-  
 მატება საყოველთაოდაა ცნობილი. მეთერთმეტე ხუთწლეულში ჩვენ დავე-  
 მიღზე 2.400 ტონით მეტი ჩაი მოვკრიფეთ, პირადად მე კი 71 ტონა ხა-  
 რისხოვანი ფოთოლი ჩავაბარე სახელმწიფოს.

შედეგები, რასაკვირველია, ურიგო არ არის, მაგრამ ყრილობიდან  
 დაბრუნების შემდეგ, მე სხვა თვალთ შევხვდე ჩვენს შესაძლებლობებს,  
 დავრწმუნდი, რომ მიღწეული დონე სულაც არ არის ზღვარი, მთლიანად  
 არ აგვიმოქმედებია უკუგების გადიდების, შრომის ნაყოფიერების ზრდის,  
 პროდუქციის თვითღირებულების შემცირების რეზერვები. არ დავჯერ-  
 დეთ მიღწეულს, ნიადგ სრულვყოთ პროფესიული ოსტატობა — ასეთია  
 ჩვენი ბრიგადის წევრთა დევიზი.

ამასთან ერთად, მე როგორც კომუნისტს, საქართველოს კომპარტიის  
 ცენტრალური კომიტეტის წევრს, კოლმეურნეობის გამგეობისა და პარ-  
 ტიული კომიტეტის წევრს, პარტიის რაიონული კომიტეტის ბიუროს  
 წევრს, არ შემიძლია თვალი დავხუჭო ჩვენს საქმიანობაში ჯერ კიდევ  
 არსებულ ნაკლოვანებებზე, კერძოდ, იმაზე, რომ ჩაისაგან განსხვავებით  
 სრულიად საპირისპირო მდგომარეობა გვაქვს მეციტრუსეობაში. საშუა-  
 ლო საპექტარო მოსავლიანობა გაცილებით ნაკლებია რაიონის საზოგა-  
 დოებრივ მეურნეობებთან შედარებით.

ეს იმიტომ, რომ არ გვივარგა მიწათმოქმედების კულტურა, მისი  
 გაუმჯობესების ღონისძიებანი ვერ უპასუხებს დღევანდლობის მოთხო-  
 ნებს. ვერც დისციპლინით დავიკვხნით. შარშან 60-ზე მეტ კოლმეურნეს  
 არ შეუსრულებია შრომის სავალდებულო მინიმუმი, თექვსმეტს კი საერ-  
 თოდ არ უმუშავია. ეს მარტო ჩვენი სოფლის სატკივარი როდია და მას  
 არ შეიძლება შევურიგდეთ. უსაქმურობიდან დანაშაულამდე ხომ ერთი  
 ნაბიჯია.

„დღეს უნდა ვაღიაროთ, — თქვა ამხანაგმა მ. ს. გორბაჩოვმა სკკპ  
 XXVII ყრილობაზე, — კონტროლის შესუსტებისა და მთელი რიგი სხვა  
 მიზეზების გამო გამოიკვეთა ისეთი ადამიანების ჯგუფები, რომლებსაც  
 აშკარად აქვთ გამოხატული კერძომესაკუთრული მისწრაფებები, საზოგა-  
 დოებრივი ინტერესებისადმი აგდებული დამოკიდებულება“.

სწორედ კონტროლის შესუსტების, უსაკმურობის, კერძომესაკუთრული ფსიქოლოგიის გავლენის ლოგიკური შედეგი იყო შარშან ხუცუბანში მომხდარი მძიმე დანაშაული.

არასაკმარისია რესპუბლიკის ფარგლებს გარეთ ციტრუსოვანთა ნაყოფის ვატანის აღკვეთისათვის განხორციელებული ღონისძიებანი. ამიტომ იყო, რომ ციტრუსოვანთა ნაყოფით გაუყვა შორეული ბაზრების გზას ჩვენი სოფლის რამდენიმე „სტაჟიანი“ სპეკულანტი... უფრო ეფექტიანი, მკაცრი ზომებით უნდა მოვუღოთ ბოლო მისგან ფაქტებს.

ღოთობისა და ალკოჰოლიზმის დაძლევის ღონისძიებათა შესახებ პარტიის ცენტრალური კომიტეტის დადგენილებების მიღებიდან სოფელში საგრძნობლად შემცირდა ამ ნიადაგზე გამოწვეული დანაშაულობანი, ზომიერების ჩარჩოში მოექცა ქორწილები, მაგრამ მაინც შემოგვრჩნენ ქეიფის მოტრფიალენი, არაფერს რომ არ უწევენ ანგარიშს, არ უფრთხილდებიან სოფლის ავტორიტეტს... მთლიანად არ არის აღმოფხვრილი მიწათსარგებლობის დარღვევის ფაქტები.

სოფლის მშრომელები ხშირად მეკითხებიან, თუ რატომ არ მოელო ბოლო უხარისხო მშენებლობას, რატომ გაჭიანურდა ცენტრის კეთილმოწყობა, უკვე მერამდენე წელია, არ მოგვარდა ცენტრალური გათბობა, მიტოვებულია დიდი ხნის-წინათ დაწყებული პოლიკლინიკის მშენებლობა და ა. შ.


უნდა გაუმჯობესდეს მოსახლეობის საყოფაცხოვრებო პირობები, მშრომელები დიდ უკმაყოფილებას გამოთქვამენ გაუმართავი სატელეფონო კავშირის გამო. კეთილმოუწყობელია სამანქანე გზები. აგროსამრეწველო გაერთიანება უნდა დაგვეხმაროს მცირე მექანიზაციის გამართულ მუშაობაში.

გადასაწყვეტი საკითხების სია გამიგრძელდა, მაგრამ ჩვენი პარტიის გენერალური ხაზი ხომ ხალხის კეთილდღეობის გაუმჯობესებაა, რაც ასე ხაზგასმით აღინიშნა სკკპ XXVII ყრილობაზე. ამიტომ მოვიტხოვთ, პასუხი აგებინონ ყველას, ვინც თავისი უგერგილო მუშაობით გუნება-განწყობილებას უფუჭებს პატიოსან მშრომელს.

ჩვენ შესანიშნავად გვესმის, რომ საბჭოთა ხალხის წინაშე დასახული გრანდიოზული ამოცანების გადაჭრა შესაძლებელია მხოლოდ თავდადებული, პატიოსანი შრომით. ამიტომ კიდევ უფრო ვამრავლებთ წარმატებებს და საკუთარ წვლილს შევიტანთ სკკპ XXVII ყრილობის ჭეშმარიტად ისტორიულ გადაწყვეტილებათა შესრულებაში.



## გზა მშვიდობისა, ნოდარ!



1986 წლის 23 მარტი — გაზაფხულის თბილი მზიანი დღე — მართლაც რომ ღირსსახსოვარი იქნება ბათუმელებისათვის და არა მარტო ბათუმელებისათვის, ამ დღეს ნავსადგურში ღუზა ჩაუშვა საქართველოს საზღვაო სანაოსნოს ახალმა ტანკერმა „ნოდარ ღუმბაძემ“.

გამოჩენილ ქართველ მწერალს, ლენინური, რუსთაველისა და ლენინური კომკავშირის პრემიების ლაურეატს ნოდარ ღუმბაძეს ბევრი რამ აკავშირებდა აჭარასთან, მის შესანიშნავ ადამიანებთან.

„აჭარის მთებში ნარინჯ-ფურინჯად, ზურმუხტად, მარგალიტად და სიყვარულად გაბნეული სულზე უტკბესო ჩემო ძმებო და დებო, ჩემო სისხლო და ხორცო, ხვალი და ბარაქა არ მოჰკლებოდეს თქვენს მარანს, ნალიასა და კარიას, ჩაუქრობელი იყოს შენი ოდის საკვამურიდან ამოსული ფუტი, არ მოგკლებოდეს სტუმარი, იყავ მუდამ მეზობლიანი, ბედნიერი და მხიარული მასპინძელი, მკერდს ოქროს ვარსკვლავი და თავს ჩაუქრობელი მზის შარავანდედი გინათებდეს უკუნითი უკუნისამდე, მრავალჯამიერ!“ — ამბობდა ნ. ღუმბაძე ერთ-ერთ ინტერვიუში.

და აი, სომალდადქცეული მწერალი ისევ მშობლიურ მხარეს დაუბრუნდა. მის შესახვედრად ასობით ბათუმელებთან ერთად მოვიდნენ ნ. ღუმბაძის ოჯახის წევრები, საქართველოს მწერალთა კავშირის გამგეობის თავმჯდომარე გ. ციციშვილი, მწერალთა კავშირის




მდივნები ჯ. ჩარკვიანი, რ. შიშინოშვილი, რ. ამაშუკელი, მწერლები: ა. სულაკაური, ს. ცაიშვილი, გ. გვერდწითელი, თ. ნოდია და სხვები.

ტანკერზე გამოჩენილი მწერლის მემორიალურ ოთახში გაიმართა მიტინგი. საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის ჯ. პატიაშვილის მისასალმებელი დეპუტა წაიკითხა საქართველოს სახლვაო სანაოსნოს უფროსმა ჯ. ჭიღვარყამ. სიტყვით გამოვიდნენ მწერლები: გ. ციციშვილი, ჯ. ჩარკვიანი, შ. ზოიძე, ტანკერის კაპიტანი რ. ახობაძე, ნ. დუმბაძის ქალიშვილმა მანანა დუმბაძემ მადლობა გადაიხადა მწერლის ხსოვნის ასეთი დაფასებისათვის და ზომალდის ეკიპაჟს წარმატება უსურვა თავის ძნელ, მაგრამ კეთილშობილურ საქმიანობაში.

ტანკერზე ნ. დუმბაძის მემორიალურ ოთახს მწერლის ოჯახმა გადასცა ძვირფასი ექსპონატები, სოლო ქართველმა მწერლებმა — ავტოგრაფიანი წიგნები, ფოტოსურათები...

ზეიმი დამთავრდა. დაიწყო ისევ ჩვეულებრივი შრომითი დღეები. ტანკერი გაბმული საყვირით ტოვებს მშობლიურ ნავსადგურს და კურსს შორეული ზღვებისა და ოკეანეებისაკენ იღებს.

გზა მშვიდობისა, ნოდარ!



მწერლის მეუღლე ნანული გუგუნავა და ტანკერის კაპიტანი რომან ახობაძე.

ამირან თურქია,

ტანკერ „ფორე მოსულიშვილის“  
კაპიტნის უფროსი თანაშემწე

## სამხრეთის კარალელები

შორეული ნავიგაციისაკენ

ეს ჩანაწერები იმ დღეთა მოგონებაა, როდესაც ტანკერ „კრემენჩუგზე“ ვმუშაობდი, უფრო სწორად, „ჭოროხის“ მკითხველებს მინდა მოეუთხრო ერთი ჩვეულებრივი რეისის შთაბეჭდილებები.

მაშ ასე, საქართველოს საზღვაო სანაოსნოს ტანკერი „კრემენჩუგი“ ახალგაზრდა კაპიტნის შაქრო ვარშანიძის მეთაურობით ფოლადის მძლავრი მკერდით მიაპობს ოკეანის ზედაპირს. მარჯვნივ მოვიტოვეთ „კლდე“ (მეზღვაურები ასე უწოდებენ ქალაქ გიბრალტარს, მართლაც კლდისმაგვარ მომცრო მთის კალთებზე რომ გაშლილა). საგრძნობლად აცხუნებს ზამთრის, მაგრამ მაინც სამხრეთის მზე. სამუშაო კომბინეზონებში ჩაცმული დაღლილი მეზღვაურები გემბანზე ჩამოლაგებულან. რეპროდუქტორიდან მოისმის კაპიტნის მეორე თანაშემწის ომარ გაბეჩავას ხმა. როგორც ხომალდზეა მიღებული, იგი გადმოგვცემს სანაოსნოს ცნობას: დღეღამის განმავლობაში გავლილია 280 მილი... დღიური ჩამორჩენა 1 საათი და 25 წუთია, საერთო ჩამორჩენა 48 საათი და 35 წუთი... შემდეგ ამინდი, ოკეანის სიღრმე, სიჩქარე, მიმართულება...

საერთო ჩამორჩენა 48 საათი და 35 წუთია...

— დიახ, — თავჩაქინდრული ოხრავს ელექტიკოსი ილია სარიშვილი, სხვები კი გაჩუმებულან. რაღა თქმა უნდა, არასასიამოვნოა, როცა გემის შესრულება საფრთხეშია. ჰოდა, წუხს ეკიპაჟი.

ოდესიდან გამოსვლის შემდეგ უბერავდა 7-8 ბალი ბირქარი, ვოლიათი ტალღები ასკდებოდნენ ტანკერის ფოლადის მკერდს, გვაკავებდა საპირისპირო დინება და აი შედეგიც — ჩამორჩენა 48 საათი და 35 წუთი. მერვე დღეა.



ქარი ჩადგა, ბოლო დღეს ამინდმაც შეგვიწყო ხელი, მაგრამ დღე-ღამეობა ჩამორჩენა მაინც 1 საათი და 25 წუთია.

ჩვენი „ბებრუხანა“ ჯერ მხოლოდ 22 წლისაა, მაგრამ ეს ხომალდისათვის ჭარმაგი ასაკია. საგრძნობლად გაიცვიონენ დანადგარები, მექანიზმები და სხვა სისტემები. მარტო ეკიპაჟის თავდადებული შრომა არ კმარა. საჭიროა დროული და ხარისხოვანი კაპიტალური შეკეთება.

საათის ისრები წინ მიიწევენ, ითვლიან წამებსა და წუთებს, გემბანი დაცარიელდა, მე კი მორიგეობა დილაძღვე არ მიწევს და არსად მიმჩქარება. სმაშეწყობილად გუგუნებენ ძრავები, ქიმს უკან რჩება აქაფებული კვალი, ანძმის კენწეროზე ჩამომჯდარა თოვლივით ქათქათა თოვლი. იგი ხან ნისკარტს იწმენდს ფრთებით, ხან მე შემომცქერის გამომცდელად — აბა, თუ გადმომივდებ სანუკვარ პურის ნაჭერსო. თითქოს ზელება, რომ მისთვის არ მცალაა, გულისწამლები წივილით უერთდება თანამომკმეებს.

ერთ თვეზე მეტს ვმუშაობდი შიდა სანაოსნო ხაზზე, ნავთობი გადაგეჟონდა ნოვოროსიისკიდან ბათუმში. გავაკეთეთ 14 რეისი, გადავიტანეთ ათასობით ტვირთი, აქედან ზეგეგმით — 2.500 ტონა.

**„იმპერათი“, „პასეთი“, „ზრეპატა“**

ხომალდების ქარავანი. : :

„ტროიკები“, „ატლანტიკები“, „სუპერატლანტიკები“, თევზსაჭერები, ტრალერები ისე მიმოფანტულან, რომ რადიოლოკატორის ეკრანზე თავისუფალ ადგილსაც ვერ აღმოაჩენ.

გვაძლევენ განრიგს. საწვავი ორმოცზე მეტ გემს უნდა მივაწოდოთ, 50-დან 350 ტონამდე თითოეულს. ძნელზე ძნელი სამუშაოა და მეორე თანაშემწე ომარ გაბეჩავასათვის უძილო დღე-ღამეები იწყება (მეორე თანაშემწე საწვავის განაწილებისა და ხომალდის გადმოტვირთვის პასუხისმგებელია).

ოკეანე არასოდეს მშვიდი არაა. ზედაპირი თითქოს სარკისებურია, გემი კი ქიმიდან ქიმზე წყვება, აკვანივით ირწყვება. გამახსენდა 1975 წელი, სწორედ ამ კოორდინატებში ვიყავით. მაშინ, მეორე თანაშემწედ ვმუშაობდი, ვჩქარობდი და ღამის პირველ საათზე, უეცრად უსაფრთხოების ტექნიკის წესების დარღვევის გამო, ოკეანეში აღმოვჩნდი. თურმე სამსაათნახევარს დავყავი წყალში. სევასტოპოლის ნავთობმზიდ „ტარხანკუტზე“ ამიყვანეს, „ღამე მშვიდობისა-მეთქი“—მივესალმე, ჩემს გადასარჩენად გემბანზე გამოსულ ეკიპაჟს. შემდეგ ჩემს გემზე გადამიყვანეს. „ციფერ ზვიგენს ან ზღვის ღომს რომ იღლიაში შეეღიტიებინა, მაშინ რას აპირებდიო“,—გამეხუმრა კაპიტანი რევაზ მანჯგალაძე, ბრძანებით კი სასტიკი საყვედური გამიშანშალა...

გვიანლოვდება თევზსარეწი „იმერეთი“. წყალში ჩავუშვით ტივტი-  
ვებგამობული ბაგირი. „იმერეთის“ ერდოზე თავი მოუყრიათ კავებით  
შეიარაღებულ მეზღვაურებს. ამოიღეს ჩვენი ბაგირი, რომელსაც პროპი-  
ლენის გვარლი, გვარლს მოქნილი რეზინის მილი მიჰყვება, რომელმაც  
„იმერეთს“ საწვავი უნდა მიაწოდოს.

მზად ვართ.

საყვირით ვაძღვეთ ნიშანს. ვიწყებთ საწვავის მიწოდებას. ერთმანეთ-  
ზე გადაბმული ხომალდები ნელი სვლით მიიკვლევენ გზას უამრავ თევზ-  
საჭერთა შორის. ასე იქნება ხვალ. ზეგ, მთელი კვირა და, შიძლება, მე-  
ტიც — „იმერეთს“ გარდა სხვა გემებსაც ხომ უნდა მივაწოდოთ საწვავი.

ოკეანე იღვიძებს. ზოგჯერ ანტარქტიკის ცივი ჰაერი შემოიჭრება  
და დროებით გაჭფანტავს ტროპიკულ სიციხეს. სანაოსნო ბოგირიდან შევც-  
ქერი, კინოსთან მდგარი თევზსარეწი ხომალდის ცხვირი ჩვენს საკვამლე  
ძილს რომ უსწორდება, შემდეგ ეშვება დაბლა, სადღაც უფსკრულში, და  
ისევ მისწრაფვის მაღლა — თითქოს კამარა უნდა ჰკრას და თავზე გადა-  
გვევლოს.

გემები ინტენსიურად მიმოდიან, განსაკუთრებით ღამით, დღისით კი  
თევზი ბლომადაა და ამიტომაც ჩვენთან სტუმრობისთვის არ სცალიათ.

დილის რვა საათია.

სადისპეტჩერო რადიოთი რაიონის უფროსს პატაკობენ დღე-ღამის  
შედევებზე.

— ბლომად დავიჭირეთ! — ამაყად მოახსენებს ერთი და მასთან ერთად  
ვზეიმობთ ჩვენც.

— ბადე ცარიელია. — გულმოსულად ამბობს მეორე და ჩვენც თანა-  
ევგობნობთ მას, გვეკრა, მეორედ თევზით სავსე ბადეს ამოიღებენ.

საწვავს ვაძღვეთ „კახეთს“. გვიძახიან რადიოტელეფონით. ნაცნობი  
სმაა, ვიღებ ყურმილს. აპარატთანაა „კახეთის“ კაპიტანი ვიორჯი დო-  
ბორჯგინიძე. ოთხ წელზე მეტი გავატარეთ ერთ აუდიტორიაში, ერთ  
მაგიდასთან, მაგრამ მთელი ათი წელია, ერთმანეთი არ გვინახავს,  
ვიგონებთ კურსანტობის დღეებს, მეგობრებსა და ნაცნობებს.

სასადილოში შევდივარ. თავჩაქინდრული ომარი სავარძელზე ზის.  
წვერგაუპარსავი გამხდარი მეჩვენება, თუმცა გასაპარსად სად სცალია,  
დღე და ღამეა ადამიანურად არ სძინავს. სამუშაო ბევრია, ვერ ისვენებს.

საწვავს ვაწოდებთ ბულგარულ თევზსაჭერს „ფრეგატას“. გამოველა-  
პარაკე ვახტზე მყოფ თანაშემწეს. გაუხარდა, ბურგასის მშენებლობაზე  
მესაუბრა. თითქოს მასთან ერთად მეც მივუყვებოდი ლენინის, პირველი  
მაისის, 9 სექტემბრის ქუჩებს, დიმიტროვის ფართო ბულვარს, შევცქე-  
როდი ახალ საცხოვრებელ კორპუსებს, ვირუჯებოდი კურორტ „სლონ-  
ჩევ ბიავის“ ცხელ ქვიშაზე. სხვათა შორის, 1963 წელს საბჭოთა სპეცია-

ლისტებთან ერთად მეც ვესწრებოდი ბურგასის ნავსადგურის გახსნას. პირველად ბულგარული ნავთობშიდი „ანტონ ივანოვი“ მოადგა ნაპირს...

ჩვენი წასვლის დროც დადგა.

კარგი ორგანიზაციის, ხომალდისა და სარეწი რაიონის ხელმძღვანელობის ურთიერთგაგების, ეკიპაჟის თავდადებული შრომის მეშვეობით დაფარეთ ის ჩამორჩენა, გზაში რომ გვექონდა და გვემაც 103 პროცენტით შევასრულეთ, დავზოგეთ 17 ტონა საწვავი, 540 კილოგრამი ტექნიკური ზეთი.

ჩინებულად იმუშავეს ბოცმანმა ვიქტორ სტეპანოვმა, უფროსმა მეზღვაურებმა გიგლა და ტარიელ სიხარულიძეებმა, ჰაიდარ ლევაძემ, ნოდარ მჭავიამ, მუხამედ ქობულაძემ.

სამჯერ გაისმის გამოსასაღებელი საყვარის ხმა.

გავდივართ.

წინ არგენტინა და დიდი მოსამზადებელი სამუშაო მოგველის.

## მეზღვაურობაზე აღვილი არაფერია

რომანტიკოსებსა და მოგზაურობის მოყვარულებს ბევრს შეეჩვედრივარ, მეზღვაურებს თითქოს შურით რომ გვეუბნებიან: „რა ბედნიერი ხართ, შორეულ ნაოსნობაში მსოფლიოს რამდენ ქვეყანას მოივლით, რა საოცრებას არ ნახავთ!“ მათ ზღვა სოჭში, ბიჭვინთაში ან ქობულეთში ნანახი წყალი ჰგონიათ. ვემზე თითქოს სასიეროდ ვიყოთ წამოსული, დავდივართ ექსკურსიებზე ამ უცხო ქვეყნებში და „მან სტრიტზე“ ან „ავენი და ელ კორიენტზე“ ჭრელა-ჭრულა პერანგებს ვეიდულობთ...

სინამდვილე გაცილებით რთულია, თუმცა, შეიძლება ყველაფერი რომანტიკულად დაინახო; დარი და ავდარი, ტროპიკული სიცხე და პოლარული სიცივეა, ქარიშხალი და ვეება ტალღები... ჩვენი ხომალდის სიგრძე 145 მეტრია, გემბანის სიგანე — 19 მეტრი. ირგვლივ წყალია. უკიდევანო ერთფეროვნებაში ზოგჯერ თოლია თუ გავვართობს ან დელფინებსა და ზვიგენებს მოჰკრავ თვალს, ხან კიდევ ცისფერი ვეშაპი ამოაფრქვევს მძლავრ შადრევანს... სხვა დროს კი ერთი ეკიპაჟი, ერთი და იგივე სახე, ერთი და იგივე მოქმედება ორი, სამი თვისა და ზოგჯერ მეტი ხნის განმავლობაში. თითქოს ყველაფერი გბზრდება, სასაუბრო თემა ამოწურულია, ნერვები ბოლომდე დაჭიმულან და სულ უბრალო მიზეზსაც შეუძლია აფეთქებადღე მიგიყვანოს. სევდა სამშობლოზე, ცოლ-შვილზე ან გულისწორზე, იქ, შორეულ ნაპირზე რომ დაგრჩენია და რადიოგრამის ოდნავი დაგვიანებაც ათასი უბედურების მომასწავებლად რომ გეჩვენება. ყოველ დილით მოლოდინით შესცქერი რადიოთეატორებს — ეგებ სამშობლოდან მიღებული ორიოდე თბილი სიტყვით გავაზარონ და როცა მათ



თვალეში უარს ამოიკითხავ, ისევ მოლოდინში უნდა გაატარო კიდევ ერთი დღე-ღამე...

ორიოდე სიტყვა ჩვენს საქმიანობაზეც, ზოგიერთს ასე მიმზიდველი და რომანტიკული რომ ჰგონია. სინამდვილეში ძალზე ძნელი და შრომატევადია იგი. ტრობიკულ სარტყელში სიცხე ჩრდილშიც კი 35-40 გრადუსამდე აღის. თუკი მატროსებს მუშაობა გეგბანზე უხდებათ, სუფთა ჰაერზე, თითქოს არა უშავს, მექანიკოსები და მოტორისტები კი სამანქანე განყოფილებაში იმყოფებიან, თითქმის 10 მეტრის სიღრმეში, სადაც სიცხე 50 გრადუსამდე აღწევს და მთავარი ძრავის მონოტონურ გუგუნსა და ღამხმარე მექანიზმების კაკანში ერთმანეთთან დალაპარაკებაც ჭირს. ამას თანაც დაუმატეთ დიზელის საწვავისა და ტექნიკური ზეთის ანაორთქლი. ასეთ პირობებში მათ ხელში უნდა გაიაროს ყოველმა ქანჩა და ჭანჭიკა, ძრავისა და მექანიზმის ყოველმა ნაწილმა. ნელი სვლის დროს ერთ-ერთი მთავარი ძალოვანი დანადგარისა თუ სისტემა-მექანიზმების პროფილაქტიკური გადასინჯვა-შეკეთება ხდება, რომ ხომალდმა ისევ განაგრძოს თავისი უსასრულო გზა, განავითაროს გეგმური და ზეგვეგმური სიჩქარე (რომლის მომატებასაც ყოველ წელიწადს ითხოვენ, მიუხედავად იმისა, რომ დროთა განმავლობაში მექანიზმები იცვითებიან და ფაქტიური სიჩქარე თავისთავად კლებულობს).

მე ფერებს არ ვამუქებ. ასეთია ჩვენი ყოველდღიური სამუშაო, ძნელი, მაგრამ საპატიო და ვაჟკაცური. ვწერ ამ სიტყვებს და თვალწინ მიდგას „კრემენჩუგის“ მთელი ეკიპაჟი. არ შეიძლება ორიოდე თბილი სიტყვით არ მოიხსენიო მეორე მექანიკოსი ვლადიმერ როგოვსკი, მესამე მექანიკოსი ვიქტორ მელნიკი, მოტორისტები ივანე იოლდოვსკი, გურამ სტეპანოვი, ილია ბერიძე, ანატოლი საიგუშევი, ელგუჯა ჩიხლაძე, ნოდარ სურმანიძე და სხვები... ხომ ხედავთ, არც თუ ისე ადვილი ყოფილა მათი პროფესია, არც ზღვაა ისე რომანტიკული და მიმზიდველი სოჭის, ბიჭვინთისა თუ ქობულეთის პლაჟზე რომ ვუყურებთ...

ახალი რეისი დაიწყო. ჯერ არგენტინას უნდა ვეწვიოთ, იქედან კი 11.000 ტონა მზესუმზირას ზეთი უნდა ჩავიტანოთ თავისუფლების კუნძულზე, მარშრუტი ორიოდე სიტყვით ითქმის, მაგრამ ამ სიტყვების უკან ძალზე რთული და შრომატევადი მუშაობა იმალება. დიზელსაწვავი და მაზუტნამყოფი სათავსები („ტანკები“) კვების პროდუქტის მისაღებად რომ გამოდგეს, გულდასმითა და დიდი დაკვირვებით უნდა დამუშავდეს. ნავთობპროდუქტის კვალი კი არა, ოღნავი სუნიც არ უნდა იგრძნობოდეს ტვირთის მისაღებ ნაკვეთურებში, თორემ მომხმარებლისათვის უპარვისი ვახდება და აქედან დასკვნის გამოტანაც სირთულეს არ წარმოადგენს — დიდი ჯარიმა, ათასობით მანეთი ზარალი...

დრო კი მკაცრად განსაზღვრულია. არგენტინაში მისვლამდე რაღაც



12-14 დღეში, უნდა დამუშავდეს 15.520 კუბური მეტრი მოცულობის სათავსები, სატვირთო და მაგისტრალური მილგაყვანილობა, სათავსოთა გარკვეულ რაოდენობაში ევრეთწოდებული „ბალასტი“ — ზღვის წყალი უნდა იყოს, რომ ზომადლი უსაფრთხოებით განსაზღვრულ წყალწყვამდე ჩაჯდეს. დანარჩენ ნაკვეთურთა გარეცხვა-დამუშავება უკვე შეიძლება... დრო არ ითმენს და ბოცმან ვიქტორ სტეპანოვის ბრიგადაც გემბანზეა.

პირველადი დამუშავება სათავსების ზღვის წყლით გარეცხვაა. თითქმის 11 მეტრი სიღრმის ნაკვეთურებში ჩაშვებულ სამ სარეცხ მანქანაში მაღალი წნევით ეშვება ზღვის წყალი, რეაქტიულ პრინციპზე მომუშავე მანქანების მიერ გადმოტყორცნილი წყლის მკვირივი ჭავლი მთელი ძალით ეხეთქება სათავსს თითქმის ერთი საათის განმავლობაში, მის ფსკერზე ყრის ნავთობპროდუქტის ნარჩენსა და ნაკვეთურების წყალგაუმტარ ტიხრებს შორის გაჩენილ ჟანგს, შემდეგ სარეცხი მანქანები კიდევ უფრო დაბლა ეშვებიან და ყველაფერი თავიდან იწყება. ერთი სათავსის დამუშავება ოთხ საათს გრძელდება. სათავსები კი ოცდაოთხია... არ დაგავიწყდეთ, ეს პირველადი დამუშავებაა. მეორადი დამუშავებისას იგივე ნაკვეთურები 70 გრადუსამდე გაცხელებული წყლითა და სპეციალური ხსნარით უნდა გაირეცხოს... თითო სათავსზე ისევე ოთხი საათი, მაგრამ ამით საქმე არ თავდება, შესამედი დამუშავება ხელით ხდება. მატროსები ჩადიან სათავსებში, რეზინის მილებში მაღალი წნევით მიმავალი წყლის ტემპერატურა 40 გრადუსამდე აღწევს, ყველაფერს საგულდაგულოდ რეცხავენ, წყალი ნაკვეთურის ყოველ კუნჭულს უნდა მოხვდეს, — ფსკერსაც, ჭერსაც, გვერდებსაც... ირგვლივ კი ტროპიკული მზით გაზურებული ფოლადი და ცხელი წყალია. ნავთობპროდუქტების ანაორთქლიც საკმაოდ ივრძნობა. სხვათა შორის, ასეთ პირობებში მხოლოდ დღისით მუშაობენ, ღამით სასტიკად აკრძალულია.

შემდეგ ნარჩენი წყლისა და ჟანგის ვედროებით ამოღება იწყება. კვლავ სათავსების ხელით რეცხვა, ნარჩენების ამოღება, ნაკვეთურების ნაჭრებით ამოშრობა-გასუფთავება, თანაც ისე, რომ არც ერთი კუნჭული, არც ერთი წერტილი არ დარჩეს ხელშეუხები. ბოლოს განიავება. თუკი საწადელს ვერ მივალწვით, სათავსების ორთქლით დამუშავება მოგვიწევს. საბოლოოდ ყველაფერი ნავსადგურში გადაწყდება. და ასეთ რთულ სამუშაოს 10 კაცი ასრულებს. დარია თუ ავდარი, მათთვის ერთია. ქარიც რომ ქროდეს, ტალღები ზომადლის ფოლადის მკერდს რომ ასკდებოდნენ, ტანკერი აკვანივით რომ ირწეოდეს ოკეანეში, ხვატი ტვინს რომ ბურღავდეს, ყველაფერი დროზე უნდა მოასწრო მაინც... დიდებული რომანტიკაა, არა?!

კიდევ ერთი დიდი პრობლემაა რეცხვა-დამუშავება წრიულ დახურულ სისტემაში. ნავთობპროდუქტის ნარჩენის არცერთი წვეთი არ უნდა

მოხვდეს სუფთა ოკეანის წყალში, თორემ კონტროლის თანამედროვე ტექნიკას ვერაფერს გამოაპარებ. მარტო ჯარიმას არავენ გაკმარებს. საქმე, შეიძლება, თავისუფლების აღკვეთამდეც კი მივიდეს. ჩვენც კარგად გვესმის, თუ რა შეიძლება გამოიწვიოს გარემოს გაჭუჭყიანებამ, ამიტომ წყალნარევ ნარჩენებს ვაგროვებთ ცალკე სათავსში, მათგან სათბობს გამოვყოფთ და ქვაბების სწავავად ვიყენებთ. ესეც ეკონომიის ერთ-ერთი საშუალებაა.

ყველაფერი ზემოთქმული ჩვენი ძირითადი სამუშაოა, მაგრამ ისე ნუ იფიქრებთ, ხომალდზე სხვა საქმე არ არსებობდეს. ათასი „წვრილმანია“: გემბანის რეცხვა-დამუშავება, შეღებვა, ნავსადგომთან მისაბმელი გვარლების შეკეთება, ვახტი... ზედმიწევნით ჩამოთვლა ძალიან შორს წავგიყვანდა, ასე რომ, ყველა დაკავებულია, ყველას სათანადო უბანი აქვს მიჩნეული...

როგორც იქნა, მოვრჩით საქმეს და რადიოლოკატორის კერანზეც გამოჩნდა კონცხი სანტა-მარია, — არგენტინის მიწა...

**(დასასრული შემდეგ ნომერში).**

### ვ უ ლ ო ც ა ვ ი

სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დადგენილებით, 1986 წლის ლენინური პრემია მიენიჭა ქართული მხატვრული ფილმის — „მშობლიურო ჩემო მიწავ“! — შემქნელ კოლექტივს, რეჟისორსა და სცენარის ავტორს რევაზ ჩხეიძეს, სცენარის ავტორს სულიკო ყლენტს, ფპერატორს ლომერ ახვლედიანსა და მთავარი როლის შემსრულებელს თემურ ჩხეიძეს.

ჩვენი ჟურნალის რედაქციისა და მკითხველებისათვის ეს მაღალი ჯილდო განსაკუთრებით სასიხარულოა იმიტომ, რომ ფილმის სცენარი სათაურით „რაიკომის მდივანი“ ამ რამდენიმე წლის წინათ დაიბეჭდა „ჭოროხის“ ფურცლებზე.

გულითადად ვულოცავთ ქართველ კინემატოგრაფისტებს ამ მაღალ ჯილდოს და ვუსურვებთ ახალ შემოქმედებით წარმატებებს.

**კომუნისტი ხარ!**

ვინა თქვა, დიდი ბრძოლები მორჩა,  
 დასალაშქრავი დავლასქრეთ მთები..  
 ისევ გვჭირდება შეტევის დროშა  
 და უფრო მძლავრი — ფოლადის ფრთები,  
 რომ შევასრულოთ, რაც უკვე ითქვა,  
 და უფრო მარჯვედ ვიქნევდეთ მახვილს,  
 რომ მთავარია საქმე და სიტყვა,  
 რომ წინ გავუსწროთ ეპოქის ძახილს.  
 რომ მთავარია ხალხი მაშვრალი,  
 პურის თავთავი — ოფლით ნაბანი...  
 ცოდვას კაცი რწმენადამშრალი  
 და უფრო ცოდვა — სულით მდაბალი.  
 დღეს სხვა ძალა და ნიჭი გვჭირდება,  
 უკან დახევის არა გვაქვს ნება,  
 თორემ სხვაგვარად გაგვიჭირდება  
 დიდ სივრცეებში განავარდება.  
 ასაშენები უნდა ვაშენოთ  
 და აშენებულს დრო ნუ დაობავს!  
 ეს ჩვენ — მსოფლიოს უნდა ვაჩვენოთ  
 ბოლშევიკური გამბედაობა.  
 რომ გავიტანოთ მომავლის კვალი,  
 უნდა შეგვეძლოს შეუძლებელი,  
 გაგვიმრავლდება მაშინ აკვანი  
 და გაივსება ხვაჭით ბელელი...  
 იყავი მუდამ პატიოსანი,  
 არ გაამრუდო აზრი ნათელი,  
 სიკეთის მადლი მუდამ გმოსავდეს,  
 ნამუსიანი გქონდეს სახელი!  
 და თუ მოგანდო ხალხმა თავისი  
 ბედი, იყავი მტკიცე ბოლომდე,  
 კომუნისტი ხარ? — მთელი სინდისით  
 სიკეთისათვის უნდა ომობდე!

ვინა თქვა, დიდ ბრძოლები მორჩა  
და ასაღები ავიღეთ ზღუდე?..  
წინსვლის, შენების გავშალოთ დროშა,  
დღეს უფრო მაღალ მწვერვალებს ვუტყუთ!

### ღამე ზღვასთან

დიდხანს გელოდი, შენ არსად  
ჩანდი,  
დაცარიელდა ბაღი მთლიანად.  
ბუღბუღმა ისე მომართა ჩანგი,  
რომ ვარდებს ტანში შეაზრიალა.  
ცაზე შეეკრათ წეროებს წრე და  
საღლაც მიჰქროდნენ ფრთების  
ტლაშუნით.  
ქარი — მოცარტი მუსიკას  
წერდა,  
ზღვა იყო მშვიდი და შესაშური.  
მთვარე ტალღებზე გულადმა იწვა  
და ვარსკვლავების ზურმუხტი  
წვიმდა.  
მიქელანჯელო ცას ფუნჯით  
მიწვდა,  
შავი ლაქები სულ ჩამოწმინდა.  
კინაღამ გული გამისკდა დარდით,  
როცა შეინძრა ზღვა და ბუნება.

ასე მეგონა, ამ წმინდა ადგილს  
თითქოს წმინდანი ესალბუნება.  
შენ არ მოხვედი, არ ვიცი,  
რატომ,  
რა ღამე იყო და რა მშვენება.  
სანაპიროზე შევესწარ მარტო  
თეთრი ბურუსის გადაშენებას.

### გაგულო ჩემო

სანამღე მიჭრის გული და ღონე,  
არ დამაბრძალებს სიღურჯე ამ  
ცის,  
მოვეფერები შენს მაღალ გორებს,  
როგორც პოეტი და როგორც კაცი.  
და თუ გამწირავ ადრე ან გვიან,  
ამისთვის როგორ გავებუტები,  
გულზე დავიბნევ ჩარგალის იას  
და მკერდში ჩუხად ჩაგებუტები.

### ეს ადენი მარგალიტი

ენვერ ხაბაძეს

ვისაც შენი განდაგანა და ზორუმი უნახავს,  
ვინც არ უნდა იყოს იგი, ცეკვის გახდის უნახავს.  
ხალხის სულში ვიკრეფია შარა-შარა, გზადაგზა  
ეს ადენი მარგალიტი, ჩვენ რომ გავვალამაზა.  
ეს შენ — ჩვენი ხალხის ნიჭი გაგიშლია აფრებად,  
სხვა რომ არა, ესეც კმარა, ლეგენდებად, ზღაპრებად.  
ეს შენ, — თითქოს გაფრენილხარ კლდეზე მარდი ფეხებით,  
შორი გზები მოგივლია ცერის ერთი შეხებით.  
დაგაიყრია ხალხის გული ცეცხლითა და ფიქრითა,

ტანის ქარი მოვიხვეტავს აქ და ცხრა მოს იქითაც...  
იქნებ ჩანჩქერს,  
იქნებ ზეაგებს,  
იქნებ ქარებს წაბაძე,  
ვის ამდენი ჯადოქრობა, მძალი ენვერ ხაბაძე.  
ვისაც შენი განდაგანა და ხორუმი უნახავს,  
ვინც არ უნდა იყოს იგი, ცეკვის ვახდის უნახავს.  
შენ ამ ცეკვით ვის ღიმილი,  
ვის ცრემლები აღინე,  
ამიტომაც საქართველოს გული მოინადირე!


18231

**არ მომიკლა ჩიტი!**

არ მომიკლა ჩიტი, მგალობელი შაშვი,  
ამოშრება კვირტი, ყვავილს ველარ გაშლის.  
არ ჩააცვა, არა, შავი კაბა ჩითის,  
გებვეწები ყველას — არ მომიკლათ ჩიტი.  
და არ დაუთოუქო, ცრემლით თვალი ვარდებს,  
არ ესროლო ტყვია ამღერებულ ბაგეს.  
არ ჩააქრო ტყეში სიყვარულის ცეცხლი,  
კრიმანჭული შაშვის და ჭიკჭიკი მერცხლის!  
ტორიოლების ღებენა, იადონის ტია,  
არ მომიკლა ჩიტი, არ ესროლო ტყვია.  
ცას მგოსნები შევენის, მიწა არ მწამს მშვიდი,  
გებვეწებით ყველას — არ მომიკლათ ჩიტი!

**გაზაფხული ვოგულეთში**

გაზაფხული ქობულეთში მუდამ ადრე მოდის,  
თვალს მოგტაცებს აფეთქებულ აკაციის ტოტით.  
სულში სით ჩაგიძვრება — ალერსით და შფოთით.  
რა ჯობია ამ დროს ზღვასთან პაემანზე ლოდინს.  
როგორც წმინდა ანგელოზი, სულს შეარბევს ცირა  
და წამოვა ლურჯი ციდან ვერცხლისფერი წვიმა.  
ვარდი კოკორს გადაგიშლის, საკოცნელად გიწვევს,  
ფიქრიც კმარა, რომ ვარსკვლავებს სააღერსოდ მიწვდე.  
ცა მოიხვეს ცისარტყელას — თამარქალის ქმარს,  
მზე დალალებს ჩამოიყრი, ზღვაში ისე ჩავა...  
ქობულეთში გაზაფხული მუდამ ადრე მოდის,  
რა ჯობია ამ დროს ზღვასთან პაემანზე ლოდინს!



ირაციონალური ტრიანგულაცია



იმ დღეს, მოსკოვი, როგორც ყოველთვის, ფუსფუსებდა და ხმაურობდა.

ლადო კურსკის ვაგზლიდან ხალხმრავალ მოედანზე გავიდა და შეჩერდა — არ იცოდა, საით წასულიყო. ირგვლივ ხალხი მიიჩქაროდა — ყველას თავისი საზრუნავი ჰქონდა.

„რა ვქნა, საით წავიდე?“ — ფიქრობდა ლადო. მოსკოვში ჩამოვიდა, რათა ესწავლა — კამერული თეატრის სტუდიაში აპირებდა შესვლას.

მოსკოვში ერთი ნაცნობიც კი არ მოეძებნებოდა... მაგრამ ჯიბეში ოცამდე წერილი ელო — ნაცნობებისაგან ნაცნობებთან მისატანი. ისინი დღედღეზე ელოდნენ მის ჩამოსვლას.

ცხადია, შეიკედლებენ. თუ ოცივენი არა, ერთი მაინც... ჟინჟღლაფადა. ცივი ქარი ქროდა.

ერთმა უბატრონო ეზოს ძაღლმა კუდის ქიცინით დასუნა ლადო. ბიჭი თვითონ მშვიერი იყო და ძაღლს რაღას უწილადებდა. მოეფერა და კეთილ, ატრემლებულ თვალებში ჩახედა.

„აი, მეგობარიც გამომიჩნდა“, — გაიფიქრა ლადომ და გულზე მოეშვა.

წერილების დასტა გადაათვალიერა. ვერც ერთი ვერ გამოარჩია. მერე თვალი დახუჭა, ალაღბედზე ამოიღო წერილი და წავიდა მოსკოვში სახეტიალოდ...

დომნიკოვკა.

ჭუჭყიანი კიბით მესამე სართულზე ავიდა. გრძელი, სასტუმროს მსგავს მრავალკარიან დერეფანში პირველსავე კარზე დააკაკუნა.

— ვინ გნებავთ? — გაისმა კარს უკან მამაკაცის ხრინწიანი ხმა.

— ბოდიში, ქალბატონი ვარვარა აქ ცხოვრობს?

— ცხოვრობდა და მოკვდა. ამასაც მოაგონდა რაღა?

კარს უკან ნაბიჯები მიწყდა.

ლადო ქვემოთ დაეშვა.

კაღევ ცხრამეტი მისამართზე უნდა მივიდეს. ცხრამეტი იმედი წინ არის.

მოსკოვის ქუჩებს არ იცნობდა და ალაღბედზე არჩევდა წერილებს. შეიძლებოდა გზის შემოკლება, მაგრამ არ იცოდა, რომელი ქუჩა იყო ახლოს იმ ადგილთან, სადაც ახლა იდგა. ამიტომ დადიოდა მოსკოვის ქუჩებში ერთი კუთხიდან მეორეში. დროსაც კარგავდა და ძალაც

ელეობა. ზოგჯერ ტრამვაიშიც ჯდებოდა, მაგრამ აქაც უხდებოდა გამკლავების განერება, რათა ეკითხა, რომელი ტრამვაი საით მიდიოდა, მერედ ყველას ზომ არ ეცალა საამისოდ.

მეტროს მშენებლობა იმ დროს ახალი დაწყებული იყო.

ბოლშაია ორდინკა.

ძველი, პირქუში სახლი „დოხოლინი“. ლალო მეხუთე სართულზე ავიდა.

რეკავს. აკაკუნებს. აყურადებს.

ბოლოს მოესმა რაღაცნაირი ფხაკუნის კარი გაიღო და გამოჩნდა წელში მოხრილი ბეცი დედაბერი (გულკეთილიაო, უთხრეს ამ მოხუცზე).

— წერილი მოგიტანეთ.

— მე? ვისგან? აღარც კი მახსოვს, ვინმესგან წერილი მიმეღოს... შემობრძანდით, შემობრძანდით, ერთად წავიკითხოთ. ოთახში (სადაც თავი კუდს ვერ მოიქნევდა) თავის სუნი იდგა.

— დაბრძანდით! — კუთხეში მიდგმულ მომცრო ზანდუკზე მიუთითა. ისედაც პატარა ფანჯარას აბლაბუდა გადაკროდა, ბინდბუნდში ძნელად თუ რამეს გაარჩევდით.

დედაბერმა ერთხანს წერილი ხელში ატრიალა, მერე ლალოს გაუწოდა და უთხრა:

— დავბერდი, თვალს დამაკლდა. ისევ თქვენ წავიკითხეთ.

ლალოს ეუხერხულა იმის წაკითხვა, თუ რას წერდნენ მასზე, მაგრამ რა გაეწყობოდა.

ერთი სიტყვით, წერდნენ, საოცრად მორიდებული ყმაწვილიაო (არ სვამს, არ ეწევა), მოსკოვში უნდა სწავლაო. ვიცით, რა კეთილი გულიც გაქვთ და ვიმედოვნებთ, შეიკედლებთ, რა თქმა უნდა, გასამრჯელოსაც მოგართმევსო.

ლალო კითხულობდა გულმოდგინედ, ხმამაღლა და მკაფიოდ, თანაც ხმას უწევდა მის საქებარ ყველა სიტყვაზე.

დედაბერი ყურს უგდებდა და ყოველი წერტილის შემდეგ თავს აქნევდა.

ლალო კითხვას მორჩა და დაიმედებულმა შეხედა დარბაზების პატრონს.

— მერე რაო? — ჰკითხა დედაბერმა.

— როგორ თუ რა?... — აქ ზომ ყველაფერია ნათქვამი,

დედაბერი კიდევ უფრო მოიხარა წელში, თავით ფეხებამდე შეათვალიერა ლალო და უთხრა:

— მე თქვენ არ გიცნობთ, ხოლო ის, ვინც წერილი გამოგზავნა, გა-

დამავიწყდა. მაშ, როგორღა შეგიკედლოთ. ამას ვერ ვიზამ. რომ გამქურდლოთ, ან კიდევ უარესი... არა, არ შემიძლია.

ლადომ ბოდიში მოუხადა და წავიდა.

პირველი ღამე კურსკის ვაგზალში გაათია. ძილში ისე შფოთავდა, თითქოს ქურდი იყო და მილიციელს ემალებოდა.

„მარინა როშჩა“.

ორსართულიანი სახლის ფანჯრებზე კრენდლები და თაფლისკვერები იყო ამოჩუქურთმებული. ასეთი სახლები ლადოს აქამდე რუსული ხალხური ზღაპრების სურათებზე ჰქონდა ნახული.

სახლთან აქონრილი ხე იდგა. ალბათ, ცირცველიაო, გაიფიქრა, ცირცველი კი არასოდეს ენახა.

აქ ცხოვრებას არაფერი სჯობია!

კარი ჩათქვირებულმა, ლოყებლაჟღაჟა ქალმა გაუღო. არც ხნიერი იყო, არც ახალგაზრდა, არც მზეთუნახავი, მაგრამ არც შეუხედავი.

— ბატონი ვახტანგის წერილი მოგიტანეთ თბილისიდან.

— ვახტანგის? დიდი ხანია აღარ მოუწერია. როგორ მოვაგონდი! სწრაფად გადაავლო თვალი რვეულის ფურცლის ორ გვერდს და როცა საქმის არსი ვაიგო, წერილი დაჭმუჭნა და იატაკზე მოისროლა.

— ვვიან მოვაგონდი. აქამდე სად იყო?..

ბრაზიანად ახედ-დახედა ლადოს.

— რაო, თვითონ დამივიწყა და საყვარლად შენ გამოგვზავნა? ტფუ, შე ლაწირაკო, მიწას არ ასცილებიხარ, რა დროს შენი საყვარლებია!... ლადო შეცბა. აღარ იცოდა რა ეპასუხა.

— მაპატიეთ, მე სულ არ ვიცოდი... ღამის გასათევი კუთხე მინდოდა, სანამ მოვეწყობოდი...

— რის კუთხე, რა კუთხე, ვერ ხედავ, რას ვგავარ? აბა, დამეკარგე ჰქედან! — და კიბეზე დაშვებულ ლადოს ისეთი სიტყვები დაადევნა, აქამდე არასოდეს რომ არ გაეგონა.

ჟინჟღავდა. დაგლეჯილ ფეხსაცმლებში კი წყალი ატანდა...

მეორე ღამე საველიევის ვაგზალში გაათია. რა კარგია, რომ მოსკოვში ესოდენ ბევრი ვაგზალია!..

— მოქალაქე! — (ასე პირველად უწოდეს), — აქ საძინებელი არ არის. საით მიემზავრები?

— არხანგელსკში!

— თუ ასეა, იაროსლავლის ვაგზალში უნდა წასულიყავი, აქ გინდა!

მართლაც, აქ არაფერი ესაქმებოდა.

ტუალეტში შევიდა, პირზე ცივი წყალი შეისხა და ვაგზლის მოედანზე გავიდა.

ადრინანი დილა იყო. ტრამპვაი დაინახა. მყუდრო კუთხე მოძებნა და დაიძინა.

სამ კაპიკად სამი საათის განმავლობაში მოგზაურობდა მოსკოვში და ჯადოსნურ სიზმრებს ნახულობდა. ყველა სიზმარში თვალცრემლიანი წითელი, ბამბურა ძაღლი თათს უწვიდიდა... არ იცის, რომელ განჩერებაზე ჩამოვიდა, თუმცა სულ ერთი არ იყო?

ყველაფერი თავიდან უნდა დაიწყო.

არბატი.

ლადომ ზარის ღილაკზე თითის დაჭერა დააპირა, მაგრამ ანაზღად როიალის ხმა მოესმა. უცებ ნაცნობი, მაგრამ დიდი ხნის წინათ მიმქრალი გრძნობა მოაწყდა გულს. არა, ეს არც ბეთჰოვენი და არც შოპენი... ეს ჰანონის ეკზერსისებია.

ოდესღაც, პატარა ბიჭობაში, თვითონაც უკრავდა მას. არ უყვარდა ეს ეკზერსისები, ეჩვენებოდა, რომ მუსიკალობა აკლდა. ახლა კი კარს უკან იდგა და ისე ისმენდა შუქმოსილ მუსიკას, რომელიც ბავშვობას უბრუნებდა და მომავლის იმედს უღვივებდა.

ლადომ ღილაკს ხელი ღონიერად დააჭირა.

კარი თხუთმეტოდე წლის გოგონამ გააღო. ლაქვარდისფერი თვალები, მარწყვის ტუჩები და მარგალიტის კბილები ჰქონდა (ღმერთო, რა ბანალური შედარებაა, მაგრამ იგი მართლაც ასეთი იყო).

— მაპატიეთ, სოკოლსკისთან წერილი გამომატანეს.

— სოკოლსკაია მე გახლავართ!

— თქვენ?

ლადო ერთ ხანს დუმდა. შეყოყმანდა.

— ეს წერილი თქვენ კი არა, თქვენს მშობლებს გამოუგზავნეს...

— არც დედა და არც მამა შინ არ არიან. მარტო მე ვარ. მომეციოთ წერილი!

კონვერტი გახსნა, უცებ გაახსენდა, რომ სტუმარი კარებში იდგა და შეიპატიჟა.

— შემობრძანდით, მანდ რას უღვეხართ!

ლადო შევიდა.

ასეთი ბინა ჯერ არ ენახა. მაღალი ჭერი. მოპრიალებული პარკეტი.

კედლებს სურათები ამშვენებს. ფანჯრებზე ფარდები. ავეჯიც ისეთი, დაჯდომა მოგერიდება.

- დაბრძანდით! — უთხრა გოგონამ.
- არა, გმადლობთ, ფეხზე დგომა მირჩევნია.
- გოგონამ წერილი გახსნა. სწრაფად გადაელო თვალი.
- ძალიან კარგი! დაჯექი, დაჯექი, რას დამდგარხარ საფრთხობელა-სავით!

- დროებით გული მოეცა.
- მართლა ქართველი ხარ?
- ამ შეკითხვას სულ არ მოელოდა.
- დიახ, ქართველი ვარ.
- ქართველს რომ არ ჰგავხარ?
- რატომ?
- უღვაშები რატომ არ გაქვს?
- ჯერ არ ამომსვლია.
- მაღე ამოგივა?
- ნუთუ ეს აუცილებელია?

- რა აქმა უნდა, არა... საუბრის გაგრძელება მინდოდა. ამიტომ გავინაზე.

- რატომ გავაგრძელოთ საუბარი თუ სალაპარაკო არ გაქვს? პაუზა.

ორივე შეცბა... მართლაც უცნაურია რაღაც... პირველმა ლაღომ და-არღვია დუმილი.

- კარს უკან რომ ვიდექი, მესმოდა, როგორ უკრავდი როიალს...
- მერე, მოგეწონა?

- მართალი გითხრა, რასაც უკრავდი, მუსიკა არაა, მაგრამ მაგ ეკ-ხერსისების გარეშე მუსიკა არ არსებობს. ეს მე გვიან გავიგე.

- მე კი აქამდეც ვერ გავიგე. დედისა და მამის ხათრით ვუკრავ. ასეა საჭირო. რაკი გოგონა ვარ — ესე იგი საზოგადოების დამამშვენებელი უნდა ვიყო, უნდა ვუკრავდე როიალს, ვცეკვაუდე და ვლაპარაკობდე უცხო ენაზე.

- მერედა, რომელ ენაზე აპირებ ჩემთან საუბარს?
- გოგონა თითქოს უცებ დაქალდა, თბილად უპასუხა:
- ადამიანურ ენაზე... რისთვის ჩამოხვედი მოსკოვში?
- სწავლას ვაპირებ.
- სად?
- კამერული თეატრის სტუდიაში.
- მსახიობი გინდა გახდე?
- არა, რეჟისორი

— ძალიან კარგია! მე კი მინდა მსახიობი გავხდე! ვახტანგოვის ტრიოს სტუდიაში მინდა შევიდე, მაგრამ მშობლები ვერ დაეიყოლიე, ქალიშვილი ექიმი ვვინდაო. მე კი სისხლის დანახვას და ადამიანების ტანჯვას ვერ ვიტან, ვერაფერი ექიმი გამოვალ, მისი როლის თამაში კი შემძლია!

ლადო შესცქეროდა და ფიქრობდა, მეც ალბათ ამ გოგონას ვგავარო.

— დედაშენი და მამაშენი რას ამბობენ? — ჰკითხა გოგონამ.

— მათ არც კი იციან მოსკოვში რომ წამოვედი.

— რატომ? გამოიქცეა?

— არა. მე ბებიასთან ვცხოვრობ. დედა და მამა ცალ-ცალკე ცხოვრობენ, ჩემთვის არა სცალიათ...

ლადომ ცოტა ხნით იყუჩა და მთავარი სათქმელი მერე ვაპელა:

— ერთ ღამეს მაინც გავათევლე საღმე, მერე კი...

— მე, მგონია, დედა არ მოგცემს ჩვენთან ცხოვრების ნებას...

— რატომ?

— რომ შემაცდინო?

— განა შენ ცდუნებას აპყვები?

— რა თქმა უნდა!

— მე სრულიად არ შევეცდები შენს შეცდენას.

— რატომ? არ მოგწონვარ?

— მომწონხარ. მაგრამ შენ ხომ ჯერ პატარა ხარ.

— პატარა? ჯულიეტა რამდენი წლისა იყო?

— თოთხმეტის.

— ჰოდა, მე ხომ ჯულიეტაზე ერთი წლით უფროსი ვარ!

გაციინეს ძველი მეგობრებივით, რომლებსაც ასეთი ხუმრობის უფლება აქვთ.

— იცი, რა, — გადაჭრით თქვა გოგონამ, — მოდი, გავიქცეთ!

— სად?

— სადაც გინდა... ერთად ვისწავლოთ თეატრალურ სტუდიაში. შენ რეჟისორი გახდები, მე — მსახიობი და შენს სპექტაკლებში ვითამაშებ.

— სად ვიცხოვროთ?

— ნუთუ ესაა მთავარი?

— საქმეც ისაა, რომ ჭერი აუცილებელია. შემძლია წაგიყვანო მხოლოდ კურსკის ან საველევის ვაგზალში. იქ დაკავებული მაქვს ძელსკამი.

გოგონას ლაჟვარდოვანი თვალები გაუფერმკრთალდა. მიხვდა, რომ ერთმანეთისათვის არ იყვნენ დაბადებულნი.

— ხომ ხედავ, რა უსამართლოა ცხოვრება. შენ ვინდა თეატრში მოხვდე, მაგრამ ღამის გასათევი არა გაქვს, მე კი ბინა მაქვს, მაგრამ თეატრი ჩემი აუხდენელი ოცნებაა.



— რატომ გგონია? გულს ნუ ვაიტებს!

— არც ვაგზალში ღამის გათევას ვითაკილებ, ოღონდ თეატრში მიდი მიღონ.

— ვაგზალში ღამის გათევა გავიჭირდება, ისევ შენს ლოგინში ძილი გერწიოს, ჯულიეტა!.. შევზვდებით პრემიერაზე!..

ტვერის ბულვართან, კამერული თეატრის წინ, ერთხელ კიდევ ყურადღებით გადაიკითხა განცხადება, რომელიც სტუდიაში მიღების პირობებს რუწყებოდა.

დიდრონი ასოებით ეწერა: „სტუდიაში მიღებულნი საერთო საცხოვრებლით უზრუნველყოფილი არ იქნებიან“.

წვიმა სულ უფრო ძლიერდებოდა...

მალაია დმიტროვკა.

მოხუცი, ცხოვრებით გაწამებული, დიდი ხნის წვერგაუპარსავი კაცი კითხულობდა მისთვის გადაცემულ წერილს.

ვიდრე კონკერტს გახსნიდა, ნახევრად ცარიელი ბოთლი პირზე მიიყუდა და მოსვა.

კითხვას რომ მორჩა, ისეთი ხორხისმიერი ხმა ამოუშვა, რომლის გადმოცემაც ფონეტიკური ნიშნებით შეუძლებელია.

— მაშასადამე, თუ არ ვცდები, თეატრში გინდა შეჰყო თავი.

— ღიახ, — მორცხვად უპასუხა ლადომ.

— რატომ?

— როგორ თუ რატომ... რეჟისორი მინდა გავზღე.

— ერთი ამას დამიხედეთ! შენლა გვაკლდი! გვეყო სტანისლავსკები და მეირხოლდები! იმათ დაგვლუპეს მსახიობები... მამონტ დალსკი და ორლიონოვი ურეჟისოროდაც კარგად გრძნობდნენ თავს.

— თქვენ მსახიობი იყავით?

— და მერე როგორი! ათასჯერ დამიზრჩვია დეხდემონა და ორი ათასჯერ გამიყრია დაშნა მუცელში პოლონიუსისათვის! მაგრამ ვისლა ახსოვს ყოველივე ეს?

კიდევ მოსვა ერთი ყლუპი.

— არა, არ წახვიდე თეატრში. თავს დაიღუპავ... კარგია დიდება, ტაში, ყვავილები და სხვა ამგვარი, მაგრამ ყოველივე ეს ამოღება ამოთა... წავიკითხავთ ეკლესიასტე?

— არა.

— ხომ ხედავ, შენ კი, თეატრი მინდაო... მოდი, შენც დალიე.

— გმადლობთ, არა ვსვამ.

— დალევ!—ეჭვიმუტანლად თქვა მან. — ოდესღაც არც მე ვსვამდი და დიდებაზე ვოცნებობდი (კიდევ ერთი ყლუპი მოსვა), ერთხელ იუბილენზე დაფნის გვირგვინი მომართვეს. მერე იცი, ჩემმა ცოლმა რა უყო იმ დაფნის გვირგვინს? მას ჩირაღაც არ უღირდა ჩემი დიდება. თითო-თითოდ წყვეტდა დაფნის ფოთოლს და კატრის წნილში ყრიდა. ასე რომ, დიდებისაგან აღარაფერი დამრჩა.

ისევ მოიყუდა ბოთლი.

— დამიჯერე, თავი დაანებე თეატრს. დიდებას ნუ გამოედევნები.

— დიდებას არ დავეძებ, თეატრში მინდა ვიმუშაო.

— მუშაობა წყალსადენშიაც შეიძლება. რაღა მაინცდამაინც თეატრი დაიჟინე? რამე სასარგებლო საქმე შეისწავლე. წყალსადენში იმუშავე-მეთქი, წყალსადენში! დამოუკიდებელი კაცი იქნები (ეს სიტყვა ჯამოკავითილად წარმოთქვა). შენი ხელობა არავის შეეხარბება, მტერი არ გაგინდება, თავისუფალი აქნები (ამ სიტყვას კი ვანსაკუთრებული მახვილი დაუსვა, როგორც მონოლოგის აპოთეოზს).

ბოთლში თითქმის აღარაფერი დარჩა. მაგრამ მოსვა კიდევ ერთი უკანასკნელი ყლუპი.

— დიდება? ვინ ვინ და, მე კარგად ვიცი მისი ფასი. ისე არაფერი ტანჯავს კაცს, როგორც დიდება. დიდებით რომ გულის იჯერებ, გაურბიხარ, ეძალები თავყვანისმცემლებს, მათ ობივატულურ ცნობისმოყვარეობას. არ შეგიძლია, ყველა ადამიანივით გამოხვიდე ქუნაში, ასუნთქო სუფთა ჰაერით, თავი დამარტუხელო, უცქირო ცას, გასაქანს არ მოგცემენ, კვალში ჩაგიდგებიან თავყვანისმცემლები, ჯანდაბას იმათი თავი, მათ სომ ხელოვნებისა არაფერი გაეგებათ.

ბოთლი აიღო, გახედა და როცა დარწმუნდა, გამოცლილიაო, იატაკზე მოისროლა.

— მაშასადამე, ეძებ თავშესაფარს, სავანეს, საცხოვრისს, ბოლოსდაბოლოს... ერთი სიტყვით, იცხოვრე ჩემთან, მაგრამ იცოდე, ყოველდღე გვერდით გეყოლება თეატრის მაწყევარი უბედური ჯდამიანი.

ახლა სადღა წავიდეს?

ტავანკა.

რომ სცოდნოდა ლაღოს, რა სულელურ მდგომარეობაში ჩააგდებდა ეს წერილი, თბილისშივე დახევდა... აბა, როგორ ეცოდინებოდა!..

კარი მსუქანმა ხანშესულმა ქართველმა ქალმა გაუღო.

— გამარჯობა! თბილისიდან ქალბატონ რუსუდანის წერილი ჩამოგიტანეთ.

— გმადლობთ, შემობრძანდით!

მოსკოვში ლადო მოულოდნელად ქართველის ოჯახში აღმოჩნდა. კედლებზე ეკიდა რუსთაველის პორტრეტი, ფიროსმანის და გუდიაშვილის სურათების რეპროდუქციება, ახლო და შორეული ნათესავების ფოტოგრაფიები.

სამზარეულოდან ჩახოხბილის მადისმომგვრელი სუნი მოდიოდა. ლადოს კი სადილად დღესაც, როგორც გუშინ, კომბოსტოს ღვეზელი და ერთი ჭიქა ბურაზი აქვს შემონახული.

— დაბრძანდით, დაბრძანდით, გვიამბეთ... როგორ ბრძანდება ჩვენი ძვირფასი რუსუდანი.

სწორედ აქედან დაიწყო ლადოს წამება. საუბედუროდ, ლადოს რუსუდანი თვალთაც არ ენახა. მას, ალბათ, იცნობენ და კარგადაც იციან, როგორ ბრძანდება, ისინი, ვინც ეს ბარათი დაუწერა და გამოატანა. ის ქალბატონი ხომ ლადოს კი არა. მისი ნაცნობის ნაცნობია.

გულში გაივლო, რაკი რუსუდანმა ბარათის დაწერა შეძლო, მამასა-დამე კარგადააო: აბიტომაც წარბშეუხრელად უპასუხა:

— ვმადლობთ, კარგად არის. მთხოვა, თქვენ და მთელ თქვენს ოჯახს გულითადი სალაში გადმოგცეთ.

— ვმადლობთ. როგორ ბრძანდება სარდიონი.

ერიპაა! სარდიონი ვინდა? ალბათ, რუსუდანის ქმარი...

— სარდიონიც კარგადაა... წერილში ხომ...

— მოიპარსა თუ არა, ბოლოსდაბოლოს, წვერი?.. რამდენჯერ ვუთხარი, სამოცი წლის კაცი თავს ნაადრევად რატომ იბერებ-მეთქი. მაინც-დამაინც აკაკი წერეთელს უნდა დაემსგავსოს. პოეტად გახდომას მართო წვერის მოშვება არ შევლის-მეთქი, რამდენჯერ ვუთხარი. ვინ გაგიგონა!

ლადომ ნამძალადევი ღიმილით თქვა:

— დიახ, წვერი მოიპარსა, მაგრამ ისევ ამოუვიდა...

მომდევნო კითხვამ ფერი დაუკარგა.

— როგორ გადაიტანა სერგომ თპერაცია?

ღმერთმა უწყის, როგორ გადაიტანა თპერაცია და რა თპერაციებზე ლაპარაკი... საერთოდ, ვინ არის სერგო? რაც უნდა იყოს, უმჯობესია, მასპინძელს აამოს:

— თპერაცია მშვენივრად ჩატარდა. ძია სერგო მომჯობინდა და საავადმყოფოდან გამოეწერა.

— ძია სერგო? შენ რომელ სერგოზე ლაპარაკობ? მე შეილიშვილზე გელაპარაკები, გლანდების ამოჭრას უპირებდნენ.

— ჰო, ჰო, გამახსენდა: პატარა სერგო მშვენივრადაა, ძია სერგომაც ნოიკეთა.

— რომელ სერგოზე გელაპარაკები, არ ვიცნობ მე სერგოს, ახლო ნათესავი არ გამომიჩნდა... შენ რაღაცას ურევ, ჩემო კარგო.



ლადოს ბურთი გაეჩხირა ყელში და ძლივს ამოილულულა:

— წერილში ყველაფერია ნათქვამი. წაიკითხეთ, გეთაცვა.

წერილის წაკითხვას მოვასწრებ. შენ ის მითხარი, ვის მიჰყვება ცოლად მანანა — გურამს თუ თენგიზს?

— აი. ეს კი ჩემთვის არ უთქავდით! — ყოველგვარი რისკის გარეშე უპასუხა ლადომ.

— შენ, რა თქმა უნდა, არ გეტყოდა, მაგრამ დედას და მამას ხომ უთხრა? ოჯახში არ ულაპარაკნიათ?

— ჩემი თანდასწრებით — არა, იქნებ ეს საქმე ჯერ არ გადაუწყვეტიათ.

— როგორ თუ არ გადაუწყვეტიათ, მაშ, ქორწილში რატომ დამპატიქვს, მე, მგონი, ერთადერთი მოსკოველი ნათესავი ვარ. — ყველაზე საპატუიო სტუმარი ვიქნები!

— ვევედრებით, წაიკითხეთ წერილი!..

— წერილს ყველანი ერთად წავიკითხავთ, როცა სამუშაოდან დაბრუნდება ჩემი ქმარი ზურაბი. ისიც ბევრ რამეს შეგვეკითხება თავის ნათესაეებზე. შემდეგ მოვლენ ჩვენი შვილები — ქეთო და დათო. მათაც ხომ უნდა ესაუბრო ბიძაშვილებზე — გულიკოზე, მაცვალაზე, რეზოსა და ლევანზე, რამდენი ზანია არ უნახავთ ერთმანეთი, შენ კი, ალბათ, გამომგზავრებამდე ყველანი ნახე.

— რა თქმა უნდა.

— ძალიან კარგი! შემოიარე, ასე შვიდი საათისათვის, დაეხსნდეთ და ყველაფერზე მოვილაპარაკოთ.

— კეთილი. გმადლობთ. ნახვამდის.

მეხუთე ღამე ცენტრალური ტელეგრაფის საქალაქთაშორისო სატელეფონო დარბაზში გაათია.

ზვამზე თვლემდა. მთელი ღამე სხვადასხვა ჯიხურში იძახებდნენ სხვადასხვა ქალაქებიდან

ას კი არსად მიდიოდა.

— ბარნაული. მეშვიდეში.

არა, მას არ უძახიან.

— ოდესა. მეხუთე ჯიხური.

სამწუხაროდ, არც ამჯერად მოუხმეს.

— თბილისი, ტელეფონი არ პასუხობს.

ვინ უნდა დაურეკოს? თანაც ტელეფონი არ პასუხობს. შურდა მათი, ვისაც ურეკავდნენ, ბარნაულიდან, ოდესიდან და სხვა ათასი ქალაქიდან, და ფიქრობდა, იქნებ ოდესმე ვინმემ მეც დამირეკოსო.

რალა არ გადახდა ლადოს ღამის გასათევი კუთხე-კუნჭულის ძებნაში.

თავი რომ არ შეგაწყინოთ, ყველაფერს არ გიამბობთ.

შეხვდნენ კეთილი ადამიანები, რომლებსაც ძალიან უნდოდათ დახმარებოდნენ, მაგრამ თვითონაც უჭირდათ. ბევრი რამ შეიცვალა მას შემდეგ, რაც წერილის გამოგზავნით არ უნახავთ მოსკოველი ნაცნობები. ალბათ, ეგონათ, რომ ჩავლილი წლების შემდეგ არაფერი შეცვლილა, მაგრამ ეს ხომ შეუძლებელია. ჩვენ რომ გვგონია, ყველაფერი იმაზე უფრო სწრაფად იცვლება. იცვლება ვითარება, იცვლებიან ადამიანები, ზოგმა ბინა გამოიცვალა, ვიღაც დაქორწინდა, შეეძინა ბავშვები და ახლა ვიწროდ ცხოვრობენ. იქ, სადაც ოდესღაც სამ ოთახში ორნი ცხოვრობდნენ, ახლად ერთ ოთახში ხუთი ცხოვრობს..

მაგრამ ლადო მაინც დადიოდა მოსკოვის ქუჩებში და იმედს არ ჰკარგავდა...

• სრეტენკა.

ლადოს წინაშე იდგა შავწვერა ფერმკრთალი კაცი.

— თქვენ ივანე საველიევი ბრძანდებით?

— არა, მაგრამ ოდესღაც ვიყავი საველიევი.

— როგორ?

— აი, როგორ: მომბეზრდა ივანე საველიევად ყოფნა და გავხდი ნიკოლოზ ლობაჩევსკი.

ლადომ ერთი ნაბიჯით უკან დაიხია.

— რა გნებავთ?

— იცით, რა, მოსკოვში ჩამოვედი, რათა ვისწავლო, მაგრამ არავინ შემიკედლა. ხომ არ შევიძლიათ, ცოტა ხნით, ერთი კუთხე მაინც მომაქირაოთ?

— კუთხე? რატომ მაინცდამაინც კუთხე და არა პი ერ კვადრატი? ეს ხომ უფრო ხალვათია?

ლადომ მაშინვე აულო აღლო შეთავაზებულ გარემოებას.

უმალ დაეთანხმა.

— რა თქმა უნდა. მერედა, რა ელირება?

— ათასი დინარი ყოველი ახალი მთვარის დადგომისას.

— ასე იაფად? მართალი ვითხრათ, თქვენი შევიწროებისა მერიდებს...

— სათქმელდაც არ ღირს!.. როგორ გესმით ირაციონალური ტრიანგულაცია?

— ჰმ!.. ვფიქრობ, ეს მეთოდი ფრიად პერსპექტიულია დღემდე გადაუსწავებელი პრობლემების გადასაწყვეტად.

— სწორედ ეგერა! მომეცით ხელი! მოხარული ვარ მოგესაღმნოთ, როგორც ჩემს თანამოაზროვნეს! სად არის თქვენი ჩემოდანი? აი საწოლი და დედოფალ საბაის გადასაფარებელი. ათას დინარად გითმობთ!

— გმადლობთ. ახლავე გავიქცევი და ჩემოდანს მოვიტან.  
— იჩქარეთ, ყმაწვილო! ოთხმოცდაცხრამეტი წლის შემდეგ იქნება  
მზის სრული დაბნელება და ვერ მომაგნებთ.

ამის შემდეგ მხოლოდ ერთი მისამართი დარჩა.

ლადო დადიოდა მოსკოვის უსასრულო ქუჩებში და გულში იმეორებდა  
გამოცდებისათვის მომზადებულ ჰამლეტის მონოლოგს, „ომისა და  
მშვიდობის“ ნაწყვეტს (დაჭრილი თავადი ანდრეი შეჰყურებს ცას და სი-  
ცოცხლის არარაობაზე ფიქრობს) და კრილოვის იგავ-არაკს „ვირი და  
ბუღბული“.

განსაკუთრებით დიდ იმედს ამყარებდა იგავ-არაკზე, კრილოვით აპი-  
რებდა მკაცრი შიმღები კომისიის დამარცხებას („ღმერთო, ნუ შეგვყრი  
ამგვარ მსაჯულებს!“).

რა იცოდა, რომ გამოცდაზე იმ იგავ-არაკს ასეთივე იმედით კითხუ-  
ლობდა თითქმის ყველა, ვინც მსახიობობაზე და რეჟისორობაზე ოცნე-  
ბობდა!

წვიმდა და წვიმდა...  
მუხლები ეკეცებოდა...

და აი უკანასკნელი წერილი.

ჩისტიე პრუდი.

ლადო ძველისძველი კიბის საფეხურებით ნახევარსარდაფში ჩავიდა.  
მზე ჯერ კიდევ ანათებდა: ოთახში კი უკვე ბინდბუნდი იწვა.

აქ მოხუცი მხატვარი ცხოვრობდა. მარტოხელა იყო და ეტყობა, გაუ-  
ხარდა ასე მოულოდნელად ვიდაცის სტუმრობა.

ალბათ, ლადო შემლილი ეგონა. ჰკითხა:

— ავად ხომ არ ბრძანდებით?

ლადომ უპასუხა:

— არ ვიცი.

— წამოწეკით აი, აქ, — ძველ დივანზე მიუთითა. — აი, თერმომე-  
ტრი. ამით დავიწყეთ.

შემდეგ თერმომეტრი გამოუღო და ყრუდ თქვა:

— ოჰო, 38,5.

ოთახის შორეულ კუთხეში მივიდა, თავი ახადა რომელიღაც კო-  
ლოფს, მიჩხრიკ-მიჩხრიკა და ლადოს აბი გაუწოლა.

— აჰა, გადაყლაპეთ და წყალი მიიყოლეთ.



ლადომ გადაყლაპა აბი, ერთი ყლუბი წყალიც დალია და... დაიძინა. როცა გაეღვიძა, მოხუცი მხატვარი მაგიდას უჯდა და გაზეთს კითხულობდა.

— დილა მშვიდობისა! — ჩახლენილი ხმით მიესალმა ლადო.

— მშვიდობა ნუ მოგიშალოთ! — ალერსიანი ღიმილით უპასუხა მხატვარმა.

შემდეგ ადგა, ოთახში გაიარ-გამოიარა და თქვა:

— დღეს ყოწაღად გამოიყურებით, გუშინ კი რას ჰგავდით, ცუდად მეძინა წუხელ — არა, თქვენს გამო კი არა. საერთოდ ცუდად მძინავს ეს ერთი ხანია. ეს ღამე კი საინტერესო იყო... დიდი ხანია არ მომისმენია ჰამლეტის მონოლოგი „ყოფნა-არყოფნა“... და აი, თქვენ წუხელ რამდენიმეჯერ წაიკითხეთ და ყოველთვის სხვადასხვანაირად... რა მოხდა? თავი ჰამლეტად ხომ არ წარმოიდგინეთ?

ლადო ლოგინიდან წამოხტა.

— ყურს მივდებდით?

მოხუცმა მხატვარმა მხრები აიჩეჩა და ჩიბუხი გააბოლა.

— არა, ყური არ დამიგდია. ვიჯექი და ვხატავდი, თქვენ კი ლაპარაკობდით... სცენაზე მოლაპარაკე აქტიორივით კი არა, არამედ, როგორც ადამიანი გაანდობს თავის მეგობარს გულში ჩამარხულ საიდუმლოებას. სწორედ ის ერთგული მეგობარი აღმოვჩნდი თქვენთვის წუხელ მე... ახლა კი ჩაი დავლით. დაბრძანდით და მითხარით, რის თქმასაც აპირებთ.

ისხდნენ, ჩაის შეექცეოდნენ და ლადომ უამბო ყველაფერი, რაც გადახდა, არაფერი დაუმაღავს — ლაპარაკობდა არაჩვეულებრივ მუსიკაზე, რომელიც მხოლოდ მან მოისმინა, სცენაზე შუქჩრდილის ჯადოსნურ თამაშზე, სკულპტურულ მიზანსცენებზე, რომელთა გამოკვეთაც მხოლოდ მას შეუძლია, ჰამლეტზე, რომელსაც აქამდე ვერავინ გაუგო... და, რა თქმა უნდა, იმაზეც, რომ მოსკოვში სასწავლებლად ჩამოვიდა და ბინა ვერსად დაიღო.

მოხუცმა მხატვარმა გამოცალა ჭიქაში ჩარჩენილი ჩაი, ოთახში გაიარ-გამოიარა და თქვა: — სიამოვნებით შეგიკედლებდით, მაგრამ მალე დასრულდება ჩემი მარტოობა (ლადოს მოეჩვენა, რომ ეს სიტყვები მან სინანულით წარმოთქვა). შინ ბრუნდებიან მონანიე ცოლი და უძღვები შვილი. ჩემი ასაკის კაცმა უნდა აპატიოს ადამიანებს მათი ცოდვანი... „და მომიტყვევენ ჩვენ თანანადებნი ჩვენნი, ვითარცა ჩვენ მიუტყვევებთ თანანადებთა ჩვენთა...“

მოხუცმა მხატვარმა თავი უცბად მალლა ასწია, თითქოს სურდა გაეფანტა სხვა, სრულიად ზედმეტი ფიქრები.

— ახლა კი ყური დამიგდეთ... დიდხანს გაუხარელად ვცხოვრობდი.

მრავალი შეცდომა მომივიდა და სასურველს ვერ მივაღწიე. ეს ბევრის  
ზვედრია... ჰოდა, ყმაწვილო, მინდა თქვენთვის გამოუვალი მღვთობა  
დან ერთი გამოსავალი შემოგთავაზოთ.

ლადომ სული განაბა.

— მაგრამ წინასწარ გთხოვთ — არ გეწყინოთ და კარგად დაუფიქრ-  
დით ჩემს რჩევას.

ისევ მოჰყვა ოთახში ბოლთის ცემას, რადგან ლადოზე არანაკლებ  
თვითონ ღელავდა.

— თქვენი ოცნება მშვენიერია და რომ საწადელს ეწიოთ, უნდა ისწავ-  
ლოთ აქ, მოსკოვში. მაგრამ ბინა არა გაქვთ. ამაში კი ვერავინ დაგეხმარე-  
ბათ, სამწუხაროდ, ვერც მე.

ჩახველა და ფანჯარასთან მივიდა. ლადოსკენ ზურგშექცეულმა  
უთხრა:

— ნუ გამინაწყენდებით და, აი, რას გირჩევთ: გუშინდელ საღამოს  
გაზეთში დაბეჭდილია განცხადება — მოსკოვის ფოსტამტს ესაჭიროება  
ფოსტალიონები. მსურველები უზრუნველყოფილი იქნებიან საერთო სა-  
ცხოვრებლით. ნუ იუკადრისებთ ფოსტალიონობას. მოსკოვში იცხოვ-  
რებთ. ივლით კამერულ თეატრში. შემდეგ ღმერთი ინებებს და ამ თეატ-  
რში სამსახიობო შესასვლელიდან შეხვალთ. მთავარია მოთმინება და  
საკუთარი თავის რწმენა. მოთმინება და საკუთარი თავის რწმენა, —  
გაიმეორა მან.

ლადო ატირდა. ჰამლეტი და ფოსტალიონი!..

მნელია და მწარეა ამის წარმოდგენა თვრამეტი წლის ყმაწვილისათ-  
ვის. მოხუცია ლადოსთან მივიდა და მხარზე ხელა მოუთათუნა.

— კარგი, კარგი, დაწყნარდით. ხომ გაგაფრთხილეთ...

ცოტა ხანს იყუჩა, შემდეგ უთხრა:

— მე რომ ახლა თვრამეტიცა ვიყო და თეატრზე თქვენსავით ვოცნე-  
ობდე, არ ვითაკილებდი ერთ ხანს ფოსტალიონად მუშაობას.

რამდენიმე წლის შემდეგ ლადო მიხვდა, რომ ის კეთილი კაცა მარ-  
თალი იყო. მაგრამ მაშინ... მაშინ რჩევიანათვის მადლობა გადაუხადა მო-  
ხუც მხატვარს და გამოეთხოვა. კიბეებზე რომ აღიოდა, ხანშესულ, გაუ-  
პარსავ, წელში მოხრილ კაცს შეეჩეხა. ეს ფოსტალიონი იყო. მარცხენა  
მხარი გაზეთებითა და წერილებით დამძიმებულ ჩანთას ჩამოეგდო. ნიკაპი  
მკერდზე მიბჯენოდა. გეგონებოდათ, თავის ალება უჭირსო.

ლადო დიდხანს გასცქეროდა და ფიქრობდა: ნეტავ რაზე ოცნებობდა  
ეს კაცი, თვრამეტი წლის რომ იყო?

ქუჩაში გამოიჭრა.

გული ბუდიდან ამოვარდნას ღამობდა.

გუბურის ნაპირზე მივიდა, სასოწარკვეთით ესროლა ქვა ჩიტს,

წყლის ზედაპირზე რომ მიფრინავდა და ჩქარი ნაბიჯით გაემართა კურს-  
კის ვაგზლისაკენ.

იგივე გულჩათხრობილი მოფუსფუსე ადამიანები სადღაც მიიჩქარო-  
დნენ და ერთმანეთს კერ ამჩნევდნენ.

იგივე უპატრონო, ბნევგვლიანი ეზოს ძაღლი, კეთილ თვალებში  
ცრემლი რომ ჩადგომოდა, ნუთუ ლაღოს ელოდებოდა?

ბიჭმა ჯიბიდან პურის ყუა ამოიღო და ნახევარი ძაღლს მოუტეხა.  
—მშვიდობით მეგობარო! — უთხრა მან.—გულს ნუ გაიტეხ! მომავა-  
ლი წინაა!...

თვითონ მას მომავალი სულ სხვა, სულ სხვა რამეს უქაღდა.

დარჩენილი ფულით უბლაცკარტო ვაგონის ბილეთი აიღო და თბი-  
ლისში დაბრუნდა.

...ორმოცი წლის შემდეგ ისევ მოსკოვს ჩავიდა. ილუზიები გამქრა-  
ლიყო.

სასტუმრო „მოსკოვში“ დაუჯავშნეს ნომერი, იგი ბრძნულ თათბი-  
რებში, კონფერენციებსა და სიმპოზიუმებში მონაწილეობდა.

აღარაფერია ირაციონალური. ყველაფერი ისეა, როგორც საჭიროა.  
თეატრებში არ დადიოდა, აღარ ეთეატრებოდა.

პირველი კლასის რესტორნებში სადილობდა. „ვოლგით“ დასეირ-  
ნობდა მოსკოვის ქუჩებში, რომლებიც ისე შეცვლილიყვნენ, რომ ვეღარ  
ცნობდა.

ჩისტეი პრუდის სანახავად ფეხით წავიდა, როგორც ოდესღაც.  
ნახევარი საათი იდგა ლაღო სიყმაწვილის შემდეგ ამღვრეული  
წყლის პირად. შეათვალიერა სახლი, სადაც მოხუცი მხატვარი ცხოვ-  
რობდა, რომელმაც იცოდა, თუ რარივ ძნელად სრულდება ადამიანის  
ოცნება.

ლაღოს ბუნდოვნად ჩაესმა არაჩვეულებრივი მუსიკა, რომელიც მის  
წარმოსახვაში ჟღერდა, შუქისა და ჩრდილის ჯაღოსნური თამაში სცე-  
ნაზე, მისი ჰამლეტი, რომელიც მოჩვენებასავით გამოკრთა და სანუღამოდ  
გაქრა...



**იუსუფ კობალაძე**

მშვიდად მაცქერალი მომავალზე,  
სალამს არასოდეს აყოვნებდა...  
მანსოვს იუსუფ კობალაძე, —  
მისი ბიბლიური ახოვნება.

ქალაქში ტაძარივით დადიოდა,  
ღირსი საუკუნო პატივდების,  
მზარავს მისი როლი ათიოდე,  
ერთზე კი ყოველთვის  
ავტირდები...

**ღღიური**

**ვერლიბრი**

შენ გაყვითლებულ ღღიურებს ვათვალიე-  
რებ, მიყვარს ეს ფერი... შენ მელოდრამა-  
ტიულ ამბებს ელფერი დაჰკრავს, ხანდახან  
ტრაგიკულიც, მაგრამ მე მომწონს მაინც  
უცოდველი წიწილის ნაზი სევდა, ისე კი,  
ძვირფასო, ცრემლზე, საბოლოოდ, იმარჯვებს  
მაინც სიცილი.

**უვერლიბროდ**

გაღაშლილი მაქვს შენი ღღიური,  
გაყვითლებული მიყვარს ეს ფერი,  
რა ვქნა, ხარ მელოდრამატიული  
და ტრაგიკულიც დაგვრავს  
ელფერი.

მე მომწონს შენი ნაზი სამყარო  
და სევდა შენი თეთრი წიწილი...  
რაც უნდა ბევრი ცრემლი  
დაღვარო,  
ბოლოს იმარჯვებს მაინც  
სიცილი.

**პატარა გამოსათხოვარი**

მაპატიეთ, მაგრამ თქვენნი  
ბინა უნდა დავტოვო,  
ყველაფრისთვის გიხდით ბოღიშს,  
პატარა ქალბატონო.

რა ვქნა, უნდა მაპატიოთ,  
ჩემი უმადურობა,  
ცოტა დარდი, ცოტა ცრემლი,  
ცოტაც კიდევ ხუმრობა.

ის დღეები მხოლოდ თქვენი  
სიყვარულით ვიწვოდი,  
მე გიცნობდით, თქვენ კი ჩემზე  
არაფერი იცოდით.

ახლა მივალ, ჩემს ბილიკებს  
უნდა დავეპატრონო,  
არაფერიც არ მომხდარა,  
პატარა ქალბატონო.



### შ ე ნ!

დღეს ყველა საქმე გადავლო უნდა,  
რომ ამისათვის დამჭირდეს თუნდაც  
უარი ვუთხრა ნატერას გუშინდელს,  
დღეს მოვალე ვარ არ შეუუშინდე  
არც კარიერას, კარებზე მომდგარს,  
არც მოშურნეთა მიოქმას და მოოქმას,  
არც ამ ქვეყნიდან ასე გაქცევას,  
ეს გაუმარჯოს ადამის მოღვმას,  
განსაცვიფრებელ ძვირფას არსებას, —  
შენ!

შენითვე შენ ხარ... ქერა დალალებს  
გიწეწავს ქარი, ქარი და ფიქრი...  
მე შენს სიყვარულს ღმერთი მავალებს  
და ეგ ცხოვრებაც ქარივით მიჰქრის.

მე უნდა მოვკვდე, სული ამომხდეს,  
ამაზე მეტი რა უნდა მოხდეს!..  
როს გემონები, მშვენიერი ვარ,  
შენთვის ვტირივარ, შენთვის ვმღერივარ,  
სხვისი ხარ? მაინც ბედნიერი ვარ, —  
რადგან არსებობ  
შენ!

ეს ყველაფერი ხომ ფიქრში მოდის,  
ნულარ იკითხავ როგორ და როდის...  
უშენოდ ყოფნა რა არის, აბა,  
და ეს ცხოვრებაც რას ემსგავსება,  
ეს გაუმარჯოს ადამის მოღვმას,  
განსაცვიფრებელ ძვირფას არსებას, —  
შენ!..

მახსოვს, ტრიუკმა  
ბევრი მაცინა,  
როცა პირველად  
ვნახე მასხარა,  
მე უკვე  
ორმოცს გადავაცილე  
და ცხოვრებაშიც  
ბევრი რამ ვნახე  
საკუთარ ცირკში...  
ჩემს არენაზე  
დრო და დრო  
ისევ ვამატებ  
ნახერხს.

დიდი ტაქტით  
და დიდი  
ზრდილობით  
ვთამაშობ მელას,  
მგელსა და აფთარს.

ხან პინგვინი ვარ,  
ხან ანტილოპა;  
ხან კიდევ ბიჭი,  
ბიჭი, წითური,  
და ჩემს ბადეში  
ბევრი ეხვევა  
ალალი, ნალდი,  
ვიჟი, ბითური...

უფასოდ ჩემი  
მუშაობს „ცირკი“,  
უკრავს ორკესტრი,  
მღერის დელფინი,  
ცხოველთა მეფე  
რგოლში მიძვრება  
როგორც მონა  
და როგორც დებილი.

ხალხმრავლობაა,  
მუდამ ასეა,  
უფასო ცირკი  
სეზონს არ ხურავს  
და მელაც,  
ჩემი კონფერანსიე,  
შორიდან მოსჩანს  
ერთოვლ მსახურად.

მე კი, მე, ისევ  
პირველი „ცირკის“,  
ტრიუკი მახსოვს  
და მეცინება;  
იმ დღეებიდან  
ვიდრე — ამ დღემდე,  
ჩემშიაც მოხდა  
ბევრი ცვლილება,  
დღითიდღე ისევ  
მივმართავ სხვა  
ხერხს,  
მაგრამ არენა  
არის უცვლელი.

ისევ და ისევ  
ვამატებ ნახერხს...  
რომ დაცემისგან  
წამოვხტე, რადგან  
ვიცი, ბევრ მათგანს  
მაინც სეირის  
დანახვა უნდა...

მუშაობს ჩემი  
ლამაზი ცირკი.

მინდორი, ჭაღა,  
თივა და შაშვი,  
ალუნა, მზე და —  
პატარა ბავშვი.

პატარა კვიცი,  
ბოჩოლა, კრავი,  
მდინარე, ხიდი,  
ციხფერი ნავი.

ეს ყველაფერი  
შორსაა ახლა,  
ამ სიმორეზე  
ვინ დამასახლა?..



# ე ლ ე ს ა

## რომანოს ურავნენბაი

კაბინეტში მარტონი სხედან ლევან ჯინჭარაძე და მათა კილაძე. წინ ორთავეს რაღაც ქაღალდები უწყევია. თუ აღრე ელენე ხელაძე ეღავებო-  
და, ახლა მათას ლევან ჯინჭარაძე ეჯუჯულურება.

— როგორც იქნა, დავიყოლიე, შენი გადაყენება გადავათქმევი, შენ  
კი თვითონ გამოდიხარ თავის მტერი! ყველაფერი ყველაფერია, მაგრამ  
ცოტა იმაზედაც უნდა იფიქრო, რა დამოკიდებულებაშია შენთან პირველი  
მდივანი.

— ეს უკვე ჩემი საქმე არაა, — თავს იცავს მათა, — როგორი დამოკი-  
დებულება გექნებათ ჩემს მიმართ... იმისათვის, რომ კარგი თვალით მი-  
ყურო, უსათუოდ მლიქვნელად უნდა გადავიცე?

— არა, ამხანაგო მათა, მლიქვნელობა არაფერ შუაშია, — არიგებს  
ლევანი, — კოლექტიური მუშაობა და ხელმძღვანელობა არის თანამოაზ-  
რეთა ურთიერთობა. ვინც ჩვენი თანამოაზრე არ არის, მას ვიშორებთ.  
შეიძლება ამაში მთლად მართალი არ ვიყოთ, მაგრამ რას იზამ, ასეა!  
ამიტომ, როცა იცი, პირველი მდივანი მაინცა და მაინც კარგი თვალით  
არ გიყურებს, შენც ნუღარ აღიზიანებ, მოუთმინე, შეეგუე!

— რა ვქნა, ბატონო ლევან, ასეთი დავიბადე, ასე გავიზარდე...

ლევანმა წინ დაწყობილ ფურცლებს დახედა და მათას წყნარად უთხრა:

— აი, ეს საკითხი, მაგალითად, ჩვენთან შეუთანხმებლად კრებაზე არ  
უნდა გამოგეტანათ. ოთხი ჰექტარი ბაღი გააუქმეთ, მიწა კი ქალაქიდან  
ჩამოსულ ოჯახებს დაურიგეთ... შენ მართლა ხომ არ გგონია, ჩვენ უფ-  
ლება არა გვაქვს ასეთი მოქმედება აღკვეთით?

— კი, ბატონო, უფლება გაქვთ, როგორ არა! — თავი დაუქნია მათამ,  
— უფლება გაქვთ აღკვეთით, მოჰკვეთით, წაჰკვეთით! მაგრამ ხელი შე-  
ეუწყეთ, დავეხმაროთ, ფეხზე დავაყენოთ, — აი ეს სიტყვები გაქრა თქვე-  
ნი ლექსიკონიდან!

ლევანი ერთხანს განუძდა. მერე ქაღალდებს თვალი მიაშორა და  
მათას მიაჩერდა.

— მე შენს სასარგებლოდ ვლაპარაკობ! — უთხრა წყნარად.

— რა არის აქ ჩემი სასარგებლო? — გაცხარდა თავმჯდომარე, — რა უნდა მდენჯერ უნდა მისაყვედუროთ, ბაღი გაგიუქმებიათ? რომელი ბაღი? სად იყო ბაღი? როგორ შეიძლება ბაღის გაუქმება, ძალიანაც რომ მინდოდეს? ჩვენ ხომ ქალაქზე არსებული ბაღი გავაუქმეთ? რატომ არ ვანდათ ჩვენგან დაიჯეროთ ის, რაც თქვენაც კარგად მოგეხსენებათ? ნუთუ სიმართლე მართლაც მხოლოდ ის არის, რასაც თქვენ გვეტყვიან? მიწის ნაკვეთები, კი, ბატონო. მართლაც დავარიგეთ. მაგრამ ვის მივეცი? ისევ ჩვენივე სოფლიდან წასული ხალხის შვილებს. მივიღეთ ისინი წვერებად კოლმეურნეობაში. ესენი ახალგაზრდა ოჯახებია, ქალაქისათვის არც თუ ღიდად საჭირონი, ჩვენ კი ძალიან გვჭირდება. მეგონა, ამისთვის მდლობას მეტყობით!

— ამხანაგო მათა, — ისევ მშვიდი ტონი ირჩია ლევან ჯინჭარაძემ, — წესის მიხედვით, ახალ კომლს გამოეყოფა ორი ათასი კვადრატული მეტრი მიწა. თქვენ კი გაეცით ორჯერ მეტი. რა ვქნათ, თვალი დავხუჭოთ?

— არა, თვალი უნდა გავახილოთ, ამხანაგო ლევან, სინამდვილეს უნდა გავუსწოროთ! მიწის ხაზით მოდიან ისინი სოფელში, თორემ ქალაქს დატოვებდნენ? სოფლად შემცირდა ხალხიც და პირუტყვიც. ჩვენს პირველ კლასში წელს შვიდი მოწაფე დადის. გაისად ივლის ოთხი! ვარგა ასეთი სოფელი, ამხანაგო ლევან? ვთქვათ, ავჩეხე ოცი ჰექტარი ჩაი, მაგრამ ორას შვიდი ჰექტარი ხომ დამრჩა? ამას მოკრეფა არ უნდა? მოკრეფამდე შებარვა. გათონხა, დასასუქება, გასხვლა ხომ უნდა? ახლა ცენტრუსი, ახლა ყანა? თუ ხალხი არ მოვიზიდეთ, არ დავაინტერესეთ, ვინ იზამს ამას, ვისი იმედით დავრჩეთ? გავაუქმეთ სოფელი?

— ამხანაგო მათა! — გაიღიმა ლევანმა, — აი სწორედ ამიტომ მინდა თავმჯდომარედ შენი შენარჩუნება! შენ შეგიძლია სოფლის სასიკეთო საქმე აკეთო. იმას კი ანგარიშს არ უწევ, რომ ერთ დღეს მოგხსნიან და ვიღაც ხეპრეს დანიშნავენ. ის კი შენზე ჰკვიანნი იმით აღმოჩნდება, რომ მდივანს სულ კობატონოს და ჰობატონოს უძახებს და ამასობაში სოფელსაც გაატყავებს! მერე აღგებიან, ერთიიქით წავა, მეორე — აქეთ, სოფელი კი ტყავამკვრალი დარჩება. ამიტომ გიჩინებ... როგორმე შეეგუე, საერთო ენა გამოიხე-მეთქი!

— რომ არ გამოდის?

— უნდა ისწავლო ეშმაკობაც, მოქნილობაც... დიპლომატობაც საჭიროა! ეს ქალი აქ დიდი ხნით კი არ გაჩერდება. მისი მიზანია, ერთ-ორ წელიწადს გეგმები ყველა მაჩვენებლებით სრულდებოდეს, რაიონი ქუხდეს... რომ ამით აქედან ძალე გადავიდეს და დაწინაურდეს... ახლა მაგას შენი ექსპერიმენტებისათვის სცალია და სცხელა? ამიტომ ნუკი აღელდები, დამშვიდდი და მოისმინე, რასაც გეუბნებიან...

თუმცა დარწმუნებული იყო, რომ ლევან ჯინჯარაძე მხარს უჭერდა მათა მანც ვერ ისვენებდა, ღელავდა.

— ბატონო ლევან, თუ არ ავლდით, საქმე წინ ვერ წავა. თუ არ შეგვაწუხა, თუ გულთან არ მივიტანეთ, ვერაფერს გავაკეთებთ! თუ ხელმძღვანელს ის არ აღელვებს, რომ გაისად პირველ კლასში ოთხი მოწაფე გვეყრლება, მაშინ საწუხარს და საფიქრალს რა დაგვიღვეს?

ლევანი ჩაფიქრდა.

— მაგ ქალაქიდან ჩამოსულებს ჰყავთ ბავშვები? — იკითხა ღმობიერად.

— ჯერ თითო ბავშვი ჰყავთ. დანარჩენს გვპირდებიან! აი, ამიტომაც გადაწყვიტეთ დროებით შევამციროთ მეცხოველეობის ფერმაც და ის ორასი სული ძროხა, რომელიც შიმშილით გვიკვდება, სოფელში გავანაწილოთ და იმ ახალმოსახლეებსაც მივყიდოთ.

— როგორ, უკვე გადაწყვიტეთ? — შიშით იკითხა ლევანმა.

— საკლემურნეო კრებაზე დავადგინეთ!

ლევანი ფეხზე წამოდგა და იყვირა: — მერე, ვინ აგებს პასუხს?!

— მე — პირადად! — წამოდგა მათაც.

— თქვენ აგებთ თქვენს მაგივრად, მაგრამ ჩვენს მაგივრად ვინ აგებს?!

— ფერმას შევამცირებთ, რმას პროდუქტებს კი გავადიდებთ. ამისთვის პასუხისმგებელი ვიქნები მე! ხოლო იმ სიცრუისათვის, რომელსაც განვდიდათ ყოფილი თავმჯდომარე, და რომელიც, სხვათა შორის, თქვენ გჯეროდათ და მოგწონდათ კიდევ, აი, მაგისტრის, სახელმწიფოს მოტყუებისთვის, პასუხს აგებთ თქვენ, ამხანაგო ჯინჯარაძე!

— მე — არა?! — ისევ იყვირა ლევანმა, — მე ვაგებ, არა?!

— გთხოვთ დაწყნარდეთ. თუ საჭირო დარჩა, რა თქმა უნდა, აგებთ! კაბინეტში პირველი მდივანი შემოვიდა.

— მობრძანდით, ელენა ნიკალაევან! — მიეგება ლევანი, — თუ ღმერთი გწამთ, დამეხმარეთ, ვეღარ გაუმკლავდი ამ ქალს!

— ეს ქალბატონი რატომ შემოსულა თქვენთან, და არა ჩემთან? — იკითხა მდივანმა და მათას მიესალმა.

— ჩემთან იმიტომ, რომ დიდ პატივს მცემს და უნდა როგორმე გული გამიხეთქოს...

ელენე ხელაძე მათას პირდაპირ ჩამოჯდა.

— რაო მანც, რას გვეუბნება?

— ყველაფერ იმას, რაც უკვე ვიცით. მაგრამ იმასაც, რაც არ ვიცოდით — თქვენ აგებთ პასუხსო, მეუბნება.

— სწორიც უთქვამს, ამხანაგო ლევან. პასუხი უნდა აგოთ... იმისათვის, რომ თავის დროზე ვამოესარჩლოთ... მუშაობა ვაცალოთო, კარგი მუშაკიაო... ვაცალოთ და აი, ფაქტის წინაშე კი დაგვაყენა! რატომ იყენებთ

ჩვენს მოთმინებას ბოროტად, რატომ გვესხმით თავს, ამხანაგო კილაძე?

— არ მესმის, პატივცემულო, რა გაქვთ მხედველობაში?

— ამხანაგო მათა, რატომ ფიქრობთ, რომ ჩვენი მიზანია აუცილებლად დაგსაჯოთ? ან ერთი სული გვაქვს, სანამ მოგხსნიდეთ და სხვას ავირჩევდეთ? ცდებით! არ გვინდა არც ერთი და არც მეორე. ეს გინდა მხოლოდ შენ! ახლა მალე დაბადების ორმოცდაათი წელი შემისრულდება. მინდოდა ამ თარიღთან დაკავშირებით რესპუბლიკისათვის გვეპატაკა ყველა დარგში მაღალი მაჩვენებლები! წაიკითხე, ამხანაგო ლევან, გულიკო სიველით რომ დააჯილდოვეს?

— წავიკითხე, — თავის ქნევით დაუდასტურა ლევანმა.

— დეპუტატ გავუგზავნე, მიულოცე. მისი რაიონი დაწინაურებულია, ჰოდა, ჩვენი რატომ უნდა შეგვდეს ჩემი დაბადების დღეს მაინცა და მაინც ჩამორჩენილი?..

— არ მეგონა, ქალბატონო, უკვე ორმოცდაათის თუ გახდით. არც გეტყობათ. თქვენ ასე, ოცდათხუთმეტის შეხედულება თუ გაქვთ, მეტის არა...

— ოჰ, მეტი შენ რა გითხარი! — გაიცინა ელენემ, — თქვენს ხელში მალე ოთხმოცი წლის დედაბერს დავემსგავსებო... ჰოდა, იმას მოგახსენებდით, რატომ გგონია, შენ, ჩემო მათა, რომ მე გემტერები?

— ვინმემ გითხრათ, პატივცემულო, რომ მე ასე ვფიქრობ?

— დიახ, მითხრეს. არ მესიამოვნა!

— პირიქით, ამხანაგო მდივანო, მთელი საერთო კრება მყავს მოწმე, თუ როგორ ვაქებდით.

— რაღა მოწმე. ერთხელ მე თვითონ მოვისმინე, ჩემი ყურით. მაგრამ ამაზე ცალკე უნდა გითხრათ. ვინ მოგცათ უფლება, ჩემი სახელით კრებას ელაპარაკოთ და ხალხი შეცდომაში შეიყვანოთ? რატომ თქვით, ამა და ამ საკითხზე მდივნის აზრიც ასეთია და მხარს გვიჭერსო?

— აბა, სხვაგვარად როგორ უნდა მეთქვა? — მხრები აიჩინა მათამ, — მეთქვა, რაიკომის მდივანს ჩვენი არ ესმის და არც უნდა მდგომარეობის გამოსწორება-მეთქი? მე მათ წინაშე მდივანი წარმოვადგინე ისეთი, როგორიც სინამდვილეში უნდა იყოს! როგორიც კიდეც ხართ თქვენ; პატივცემულო ელენე... ვფიქრობ, შეცდომა არ დამიშვია.

— მე არ მჭირდება თქვენგან შექმნილი ავტორიტეტი! — ცოტა არ იყოს, მედიდურად გაისმა მდივნის სიტყვა, — დიახ, არ მჭირდება!

— ჩვენ კი ძალიან გვჭირდება მდივნის ავტორიტეტი! და, მართალი თუ გნებავთ, აი ამიტომაც ვიცრუე მათ წინაშე!

ლევანს ელდა ეცა. ჯერ უხაროდა, როგორ კარგად მდიოდა ყველაფერი, და უცებ მათას მიზეზით, მისი უკმეზი სიტყვით, მდგომარეობა შეიცვალა.



სურამს სპეციალის ნახატი.

— არ მოგწონვართ, არა? — მაიას მიანერდა ელენე ხელაძე, — დით, თქვენ იყავით მდივანი, მე კი თავმჯდომარე ვიქნები.

— პატივცემულო ელენე! აქედან წასული, კოლმეურნეებს თქვენს შესახებ ისევ იმავეს ვეტყვი, რაც ადრე ვუთხარი. მაგრამ როცა თქვენთან ვარ, აქ უნდა მათქმევინოთ ის, რასაც ვფიქრობ. ბოლოს და ბოლოს, ეს თავმჯდომარეობა მე ზომ არავისთვის მითხოვია? ისედაც შემძლია ვიცხოვრო და ვიმუშაო...

— მართალია, არ ვითხოვიათ, — დაუდასტურა ლევანმა, — დრომ და სიტუაციამ მოითხოვა შენი დაწინაურება. მაგრამ ბევრი ნაკლი გაქვს და გვინდა როგორმე მოიშოროთ!

— არა, ამხანაგო ლევან, — წყნარად თქვა მდივანმა და გულზე ხელი მოიკიდა, — განა ეს მხოლოდ ნაკლია? გამოდის ქალი და ლაპარაკობს, ბალი გავაუქმეთ და მდივანმა მოგვიწონათ. ჩაი ავჩებეთ და მოგვიწონათ. ფერმის შემცირებაც მდივანმა მოგვიწონათ! რა გამოდის? თუკი ასეთ საქმეებს იწონებს, მაშინ ვინ ყოფილა ეს მდივანი? ამასობაში ადგებიან და მომხსნიან კიდევ!

— სხვათა შორის, ეს ცუდი ხერხია, — თქვა ლევანმა. — მე უკვე ველაპარაკე ამის შესახებ, მაგრამ ახლაც სასტიკად უნდა ვავაფრთხილოთ!

— აფრთხილე რამდენიც გინდა! — ხმა აიმაღლა მდივანმა, — შეაყარე ცერცვი კედელს! ახლა უარესი რაღაც წამოუწყია, — ხმები გაავრცელა, ჩაის ფაბრიკას ვყიდულობთ! ბატონო ლევან, ჩვენ ამ ხნის ხალხი ვართ და გავიგონია, მოგსწრია ასეთი რამე? ვისთვისაა საჭირო ასეთი დეზინფორმაცია?

— ვაიშე, რა გვეშველება! — უცებ თავზე ხელი მოიჭირა მაიამ და დაჯდა.

შეშფოთებულმა მდივნებმა ერთმანეთს გადახედეს.

— დაალევინეთ წყალი!

ლევანი გრაფინს მიწვდა, წყალი ჭიქაში ჩაასხა და მაიას მიაწოდა.

— რა საჭიროა ასეთი სტრესი? შენი შემხედვარე, წყალს ჩვენ უნდა ვსვამდეთ!

პირველ მდივანს სიცილი აუტყდა, ლევანიც აყვა და ბოლოს მაიამაც გაიღიმა.

— გმადლობთ, ბატონო ლევან, — უთხრა და წყალი მოსვა, — განა მართლა ასეა საქმე, რომ წყალი მჭირდებოდეს? არა! მაგრამ ზოგჯერ ისე მათაცებს თქვენი დამოკიდებულება, მგონია, მართლაც მოვკვდები. იქნებ შევცდი, კოლმეურნეებს რომ ვუთხარი, საკუთარი ჩაის ფაბრიკა გვექნება-მეთქი. გლეხისთვის შვილების შემდეგ, ყველაზე სასიხარულოა მეწველი ძროხა. ის ოჯახის იმედია. ეს ფაბრიკაც მათთვის ახლა იმ ძროხასავითაა, — მეტი სამუშაო ექნებათ, მეტ ხელფასსაც მიიღებენ. ზამთარშიაც



ემუშავენ. მე ისიც კი ვთქვი, რომ ამ საკითხის მოგვარებაში თათქონი  
 თქვენც გვეხმარებით.

— უყურე შენ, თურმე, ჩვენც ვეხმარებით ჩაის ფაბრიკის შექმნაში...  
 და ეს არც კი ვიცოდით!

— მე მაინც ვერ წარმომიდგენია ხვალინდელი კოლმეურნეობა საკუ-  
 თარი ფაბრიკის გარეშე! იგი ჩვენს კოლმეურნეობას გაზრდის, გაამდიდ-  
 რებს, დაამშვენებს, დაიწყება ნამდვილი ჩაის გამოშვება!

პირველმა მდივანმა უსმინა, უსმინა ახალგაზრდა თავმჯდომარეს და  
 აჰკითხა:

— თქვენ დადინართ სვანიძესთან საკვლევ ინსტიტუტში?

ლევანი საგონებელში ჩავარდა, ახლა ამ კითხვის გამო ეს გოგო ხომ  
 არ აფეთქდება!

— როგორ არა, დავდივართ, — უპასუხა მაიამ, — თქვენ, ალბათ, გაინ-  
 ტერესებთ, ფაბრიკის იდეა სვანიძის ინიციატივა ხომ არ არისო... არა,  
 ფაბრიკა ეს ჩემი ფანტაზიაა! ახალი ჩაის გაშენება, კი, ბატონო, სვანიძეში  
 შთაგვაგონა... ჩაის კლონიც მან მოგვიხერხა... როგორ არა, დავდივართ.

— იარეთ, ბატონო, ჩვენ ხომ არ გიშლით? — უთხრა ელენემ, — მაგ-  
 რამ უმჯობესია, უსმინოთ არა ყოფილ მდივნებს, არამედ ახლანდელს... ეს  
 თქვენთვისაც უპრიანია!

პატივცემული ელენე, როცა მე სვანიძეს ვუსმენდი და მის მოქმედე-  
 ბას ვაკვირდებოდი, — წყნარად და ლამაზად დაიწყო მაიამ, — ყველაფერ-  
 ში ერთ რამეს ვგრძნობდი: იგი იმისათვის იბრძოდა, რომ გაგვეუმჯობე-  
 სებინა კოლმეურნის მატერიალური მდგომარეობა... კეთილმოვაწყობო  
 სოფლის ყოფა-ცხოვრება, გავალამაზოთ სოფელი! მე ეს ვისწავლე მისგან  
 ჯა ახლაც ამ აზრით ვმუშაობ...

— თქვენ, კი, ბატონო, — ირონიით ჩაერია მდივანი, — მაგრამ აი,  
 ჩვენ... ეს ჩვენ ვართ, სოფლის გაღარიბებას რომ ვცდილობთ და დღე და  
 ღამე მხოლოდ ამაზე ვფიქრობთ. ჩაის ფაბრიკა კი, რა თქმა უნდა, გაამდი-  
 დრებს თქვენს კოლმეურნეობას, როგორაა საქმე, დირექტორიც ხომ არა  
 გყავთ შერჩეული?

მაიამ კარგად გაიგო ეს ირონია ჯა არ მოერიდა ელენეს გაღიზიან-  
 ნებას.

— ჯერ არ ვიცით, დირექტორად რომელ კანდიდატურას შემოგვთა-  
 ვაზებენ... მეზობელი რაიონიდან!

— რა შუაშია მეზობელი რაიონი? — შეცბა ულენე ხელაძე, — ვინ რას  
 გთავაზობს?

— ამხანაგო მაია, — სწრაფად ჩაერია ლევანი, რომ კამათისათვის  
 სხვა მიმართულება მიეცა, — თქვენ ამ ფაბრიკაზე იმდენს ილაპარაკებთ,

აქ ნამდვილ დირექტორს ხელს შეუშლით — და ფაბრიკას სეზონისათვის მოუშხადებელს დატოვებთ. დასწებთ თავი!

— ქალბატონი ფიქრობს, სეზონისათვის ფაბრიკა უკვე მათი იქნება.

— წარმოიღვინეთ, რომ ასე ვფიქრობთ. დავსვით კიდეც ეს საკითხი ზემოთ.

— ისევ ჩვენგან გვერდის ავლით, არა? — იწყინა ლევანმა, — რატომ, რატომ?

— ბატონო ლევან, ძალიან გთხოვთ... დაგვეხმაროთ, ამ საქმეში ხელი არ შეგვიშალოთ!

— კარგი, ქალბატონო მანია, კარგი, — მშვიდად უთხრა ელენე ხელაძემ, — წერილი სადაც უნდა გავზავნოთ, ბოლოს მაინც ჩვენთან დაბრუნდება... მიუხედავად თქვენი სიჯიუტისა, მე მაინც არ მინდა ჩვენი ურთიერთობა კონფლიქტამდე მივიდეს. მაგრამ ახლა მთელ წელიწადს თქვენთან დავას ზომ არ მოვანდომებთ? სხვა ათასი საქმე გვაქვს! ამიტომ, ძვირფასო და სყვარელო, სანამ თქვენს საკითხს პერსონალურად განვიხილავდეთ, და რაიკომი თავის ძალას გავრძნობინებდეს, მანამდე გთხოვთ შემდეგს. დიან, გთხოვთ. შეატყობინეთ ყველას, ვინც სოფელში ჩამოსვლას აპირებს, თავი შეიკავონ, რომ ისინი მოტყუებული არ დარჩნენ. მეორე — გააუქმეთ კრების გადაწყვეტილება მათთვის მიწის გამოყოფაზე, მესამე — არ გაბედოთ ფერმის შემცირება! ფერმა დარჩება ისეთი სახით, როგორც იყო! ჯერჯერობით გააკეთეთ ეს ყველაფერი, დანარჩენზე მერე ვილაპარაკოთ!.. მორჩა და გათავდა! მეთანხმებით თუ არა, ამხანაგო ლევან?

— მე უკვე ვუთხარი ჩემი სათქმელი! — თავი დააქნია ლევანმა.

— არაფერიც არ მორჩენილა და გათავებულა! — ისევ გაჯიუტდა მანია, — როგორ, თქვენ მხსნით, არა? მხსნით და ასე მშვიდად მეუბნებით?

— აბა, თოფს ხომ ვერ გესვრით?

— რასაც მეუბნებით, უკვე თოფის სროლაა! მაგრამ საინტერესოა, ესეც ხომ არ არის ნაკარნახევი ზემოდან?

— როგორ თუ ნაკარნახევი? — გაბრაზდა ელენე ხელაძე, — რა იცი, იქნებ არ გხსნით?

— აბა, მე რომ თქვენი მითითება შევასრულო, მერე სოფელში თავმჯდომარედ ვივარგებ? განა მე კი არ მჭირდება ავტორიტეტი? ძალიანაც მჭირდება! ამიტომ ვერა, თქვენს მითითებას ვერ შევასრულებ! თუ გნებავთ, წამობრძანდით, კრება მოიწვიეთ და გადამაყენეთ.

— რას ჰქვია, ვერ შეასრულებ? — გაუბრაზდა მდივანი, — მოიცადეთ, დადგება თქვენი პასუხისმგებლობის საკითხიც!

— დადგეს... მოვიდეს, რაც მოსავალია!

ლევანი წამოდგა. მაიას თითი მიუშვირა: — ამხანაგო მანია! დამშვიდ-

დით. დამშვიდდით და რასაც გეუბნებიან, შეასრულეთ... მეც ხომ ვასწავლი  
გითხარით?

— თქვენც უჯმაჯურიძის ენით მელაპარაკებით! დიახ, ირაკლი უჯმაჯურიძის მითითებით!

— რასა ჰგავს ეს! — აღიმაღლა ხმა ლევანმა, მაგრამ მაიამ იგრძნო, ეს ისეთი ხმა იყო, რომელიც პირველი მდივნის დამშვიდებებს უფრო ცდილობდა, ვიდრე მაია კილაძის დატუქსვას, — სად გაგონილა ასეთი ახირება, ჩვენ აქ პიონერხელმძღვანელები ხომ არა ვართ, რაიონი ვებაბრაო! — თქვენისთანა რამდენი თავმჯდომარე გვყავს, რამდენი დირექტორი! — გაფიცვდა ჯინჯარაძე და მერე თითქოს მოღბაო, მაიას მაინც წყნარად უთხრა, — კი, უჯმაჯურიძეც იყო ჩვენთან... რაღაცები გველაპარაკა, მაგრამ მან რა მითითება უნდა მოგვცეს?

— უჯმაჯურიძე იძლევა მითითებებს! და თუ მოისურვებ, შეუძლია თქვენც გადაგაყენოს!.. დაღის ამყად, მედიდურად... და თვალი კი მეზობელი რაიონისაკენ უჭირავს. იქა ჰყავს საქმის ჩამწყობი.

ელენე ხელაძე ინსტინქტურად შეირხა, რაღაც ენიშნა, და თითქოს წუთით დაიბნა კიდევ.

— დიახ, დასანანია, რომ თქვენც მისი გავლენა გეტყობათ, — ლევანს მიაჩერდა მაია, — საწყენია, რადგან თქვენ, ბატონო ლევან, პირადად, პატიოსანი კაცი ხართ. დღეს აქედან რომ გაგათავისუფლონ, შინ ერთი მანეთიც არ დაგრჩებათ!

ამ სიტყვამ ლევან ჯინჯარაძე უზომოდ გაახარა და დაამშვიდა; მაგრამ ელენე ხელაძე გააცოფა.

— ლევანი წესიერია, კი ბატონო, გეთანხმებით. მაგრამ სხვა ვინ არ არის აქ პატიოსანი?!

— თქვენც პატიოსანი ბრძანდებით, პატივცემულო ელენე! — მშვიდად უთხრა მაიამ, — ხელები სუფთა გაქვთ. ხელები, გული კი — არა!

ლევანს საშინელი ჭექა-ქუხილის მოლოდინში თვალები გაუფართოვდა, ხან ერთს მიაჩერდებოდა გაოცებით, ხან — მეორეს. მაგრამ მეხი არ გავარდნილა, ელენე ხელაძემ მაიას მშვიდად უპასუხა.

— როდის ჩამხედეთ გულში, როდის გადამიღეთ კარდიოგრამა? ჭორებს ნუ აყვებით, ეს თქვენ არ შეგშვენით... ჩემი ქმარი, მართალია, კომბინატის დირექტორია, იმ მეზობელ რაიონში, ახლა თქვენ რომ ახსენეთ... მაგრამ განა კომბინატის დირექტორი და კომბინატორი ერთი და იგივეა? ამას გარდა, მე პასუხს არ ვაგებ სხვისი საქციელისათვის, თუკი ასეთი რამე არსებობს! ჭორებს ნუ აყვებით, თორემ შეიძლება თქვენზედაც ამბობენ რაღაცებს, თქვენც ხომ თავმჯდომარე ხართ!

— ბოდიშს ვიხდით, — ელენა ნიკოლაევნა, — ცოტა არ იყოს, უხერხულ მდგომარეობაში აღმოჩნდა მაია, — ბოდიშს ვიხდი. მეც რაღაცები



გავიგონე და, ალბათ, დავიჯერე. მითხრეს, თითქოს, როცა თქვენ ვაწინაურებდნენ, მეუღლემ დაგარიგათ, ხელები სუფთად იქონიეთ!

— მერე, რა არის ამასი ცუდი? — ლევანს მაჩერდა მდივანი.

— ამასი — არაფერი. სავალალო მეორე წინადადება: ხელები სუფთად გქონდეს, რადგან ხელმძღვანელი ხარ და ავტორიტეტი გჭირდება... ფულს კი.. მე ვიშოვიო!

მდივანი მაიას სიტყვას არ აუღელვებია, მშვიდად უპასუხა:

— ასეთი ჭორები მხოლოდ იმის მომასწავებელია, რომ თქვენზე ცუდი შეხედულება მქონდეს.

— ძალიან მონარული ვიქნები, თუ ეს ჭორებია. თორემ არიან ხელმძღვანელები, რომელთა შვილები „მერსედესით“ დაგრიანდებიან, სიძეები — „ვოლგით“, თვითონ კი ტრიბუნაზე დგანან და პატიოსნებას ქადაგებენ... ასეთ ხალხს ფეხებზედაც არ ჰკიდია შენი სოფელი და შენი ფერმა. ამიტომ არც მჯერა მე მათი პატიოსნება და კომუნისტობა!

ელენე ხელაძემ ლევანს ანიშნა, წყალი მომწოდეთო. მანამდე კი აბი მოამზადა.

მაიამ ამას ყურადღება არ მიაქცია, მაგიდაზე დაწყობილი ქალაღის ფურცლები აკრიფა, ხელში დაგრაგნა და წასვლა დააპირა.

— ლენინის კაბინეტში, — თქვა მაიამ და დაგრაგნილი ფურცლები ლევანს მიუშვირა, — სახალხო კომისარს გული შეუღონდა. ექიმების დასკვნით, მისი დასუსტება გამოიწვია ხანგრძლივმა შიმშილობამ. იცით, ვინ იყო ის კაცი? ალექსანდრე დიმიტრის ძე ციურუბა — სასურსათო მომარაგების კომისარი! აი, რას ჰქვია პატიოსნება! ასეთ კაცს შემოძლია დევუჯერო! — თქვა მაიამ და ელენე ხელაძეს მიუბრუნდა. — გინდ გეწყინოთ, გინდ არა, თქვენს მითითებას ვერ შევასრულებ!

თქვა და წავიდა.

ელენე ხელაძე და ლევან ჯინჭარაძე მღუმარედ ისხდნენ კაბინეტში. პირველისთვის ეს ღუმილი სამგლოვიარო წუთი იყო, მეორე კი — ზეიმობდა, გული უსაზღვრო კმაყოფილებით აღვსებოდა.

— ბატონო ლევან, — ღუმილი დაარღვია ელენე ხელაძემ, — მომავალს ვთქვით ეს მანდილოსანი! ადით წიფლისხევეში, აირჩიეთ ვინც გნებათ, ოღონდ ეს ქალი გაუშვიო. გაუშვიო, სანამ ეს ჩვენი ყოყმანი და წაყრუება კვირად დაგვიჯდებოდეს!

ლევანი დაღვრემილი იჯდა, ხმას არ იღებდა.

— გინდ გადააყენეთ, გინდ მოხსენით, ოღონდ მომავალს! — არ ცხრებოდა ელენე ხელაძე.

— ეგ შეუძლებელია, — წყნარად თქვა ლევანმა, — ახლა მაგ ქალის წინააღმდეგ კრებაზე რომ გამოხვიდე, ქვებს გესვრიან!

— მაშ მე მესროლონ ქვები! — წამოღვამ მდივანი, — ამ რაიონში ვერცხვობით მე ვარ!

— სოლომონ ბრძენი სიღინჯეს გვირჩევს, — უთხრა ლევანმა, — ნუ ავჩქარდებით, ელენა ნიკოლაევნა, მეტი დაფიქრება და სიფრთხილე გვმართებს. იმ კედლიდან ძველი თავმჯდომარის სურათი რომ ჩამოავდეს, უნდა მივხვდეთ, რომ რაღაც ხდება!

— რა ხდება? — გაიკვირვა ელენე ხელაძემ, — თვითნებობა დანაშაულია.

— არ გახლავთ, ეგ ქალი თვითნება, აქვს შეცდომებიც, რაღაც ზიგზაგები... მაგრამ მაინც ჩვენს იდეებზე აღზრდილი ახალგაზრდა კომუნისტი... მოაზროვნე და მეოცნებე!

— მოგწოთ, არა?! — მკვახედ იკითხა მდივანმა.

— ძალიან! — უპასუხა ლევანმა, — რომ ვუსმენდი, ვფიქრობდი, ნეტავ, ჩემი ქალიშვილი იყოს-მეთქი!

— აჰა, გასაგებია!


— ვანა ამ ფერმის საქმეში მართალი არ არის? — ლევანს ხმაში სიმტკიცე დაეტყო, — ამ ჩაის საკითხში მართალი არ არის? ამ უსაქონლო ოპერაციების საკითხში მართალი არ არის? ბოლოს და ბოლოს, აღარ შეიძლება ასე, რაღაც უნდა მოხდეს, ამხანაგო რაიკომის მდივანო!

— ჩვენ არ გვცალია უჭკუო ექსპერიმენტებისათვის! არსებობს დადგენილი გეგმა, და სანამ ის არ შეცვლილა, უნდა შესრულდეს! ეს არის სახელმწიფო კანონი! ამ რაიონში ჩვენ არა გვაქვს ოპერის თეატრი, არც საავიაციო ქარხანა! გვაქვს ჩაი და ციტრუსი... აი, რითი ვართ ვალდებული სახელმწიფოს წინაშე! თუკი თქვენ სხვა აზრისა ბრძანდებით, აიღეთ ერთი ფურცელი ქალაქი და დაწერეთ... იქნებ დროც დადგას!

— ასეც იქნება! — უთხრა ლევანმა, — მაგრამ ეს საქმეს ვერ უშველის... ჩემი წასვლით მაგ ქალს ვერ შეაჩერებ, მის უკან სოფელი დგას!

— არა უშავს, შევძლებთ! — თავი დააქნია მდივანმა, — ძნელი ასათვისებელი კი ყოფილა ეს რაიონი. მაგრამ ნათქვამია, მოვიდა სეტყვა, დახვდა ქვაო! სხვა თუ სეტყვაა, მე ქვა ვარ!

— ნება თქვენია!





# ხალხურ კილოზე

## შეშინებული და მომწონდი

შემეფეთე და მომწონდი,  
 შემყარე სულის ფეთება.  
 მე დედას მუშუს რომ ეწოვდი,  
 შენ შენსას გაჩნდი ედემად.  
 ერთმანეთისთვის თუ არა,  
 რისთვისღა გვზარდეს დედებმა?!  
 შემეფეთე და მომწონდი,  
 შემყარე სულის ფეთება.  
 რა ვუთხრა მე იმ გამჩენსა  
 და ბედის ტიალ განაჩენს.  
 მე ჩემ თავს ვჩივი უშენოდ,  
 თორემ რას ვეძებ დანარჩენს.  
 აწ ცეცხლსა ერთის ხილვითა  
 გულს შენებრ ვილა დააჩენს.  
 მე შენ თავს ვჩივი უჩემოდ,  
 თორემ რას ვეძებ დანარჩენს...  
 ნუ, ნუ შეიკრავ წარბ-წამწამს,  
 ნუ იქმ, ნუ უგულობასა.

მე იმ ვაჟკაცის არც რა მწამს,  
 ქალს რომ შეჰბედავს მტრობასა.  
 ღვინოს ვინ ჰყვედრის, ნუ  
 ღვინობ,  
 ისემც კაცს-ქალით თრობასა.  
 მაინც ვაჟკაცის არც რა მწამს,  
 ქალს რომ შეჰბედავს მტრობასა.  
 ცას ვინ სწევს უღელ-ცალობას,  
 ცა-მთვარის ციურ ყრმობასა.  
 მზეხ ტოლ-სწორობას ვინ უზამს,  
 ანდამც ვარსკვლავებს ძმობასა.

გველს ვარდის ყნოსვას ვინ  
 უზრახს,  
 ბუღბუღლს სამოთხის ზმობასა.  
 ისემც კაცს, ასგზის ნატრობდეს  
 ლამაზი ქალის ქმრობასა.  
 სიმაღ ვაგაკრავ ჩანგს ზედა,  
 თვალს ნუმც აივსებ მზით არა.  
 მაგ უბე-გულში ჩაგხედავ,  
 სხვა მეტი არა მინდა რა.  
 არ ვიტყვი ბედის ჩარზზედა,  
 რად სხვისთვის იბრუნ-იღარა.  
 მაგ უბე-გულში ჩაგხედავ,  
 სხვა შენი არა მინდა რა.  
 შემეფეთე და მომწონდი,  
 შემყარე სულის ფეთება.  
 მამბძოლე დევის ტოლ-სწორი,  
 მიბრძანე ხმალოთა კვეთება,  
 ნუ, ნუ გამირბი კალმანებრ,  
 კალმანო, სისხლის წვეთება.  
 შემეფეთე და მომწონდი,  
 შემყარე სულის ფეთება...

## ასლო რა მნანს, ქალაო

შენი თვალების ჭირიმე,  
 ქალტკბილო, თვალებჭკვიანო.  
 არ მკითხავ, ქებას რად გეტყვი,  
 ან ლექსად მე რა მრჯიანო.  
 მე მუხა, შენ კი ლერწამი,  
 არ ვებრალეებით, გვჭრიანო.  
 ერთი გვსურს ბუღე-სამყოფი,



მაინც სხვადასხვას გეჩრიათ,  
 მე მუხა, შენ კი ლერწამი,  
 არ ვებრალეებით, გეჭრიათ.  
 ახლო რა გნახე; ქალაო,  
 ფერო, თოვლისა ფერისა.  
 ქალო, ჩემ გულის მომკვლელი,  
 გამხარებელი მტერისა.  
 თმა—შეავო, ძუძუ — კოკობო,  
 წარბებო — პირო ცელისა,  
 თვალჭრელი, წამწამღამეო,  
 პირო, ღუღუნო მწყერისა.  
 ქალო, ჩემ გულის მომკვლელი,  
 გამხარებელი მტერისა.  
 ცხვირო აბზეკო, პაჭუა, —  
 ჩიტო, ნისკარტო, ლელისა.  
 ლოყაო, შაქარმოყრილო,  
 ტუჩო, ალუბლის ფერისა.  
 ყელო-ყარყარო, საკოცნო,  
 ღაბაბო, ნატვრავ კბენისა.  
 ბაგეს დაყრილო ბუსუსო,  
 დინდლო ატამის მტკერისა.  
 ქალო, შე გულის მომკვლელი,  
 გამხარებელი მტერისა.  
 მხრებო, ბროლისგან გათლილო,  
 მკლავო — ტოტებო იფნისა.  
 გულო, სიცოცხლის წამალო,  
 ენა-ჭიკჭიკო ჩიტისა.  
 უბეო, თონეკ, მხურვალეკ,  
 ტანო — სითეთრეკ ნისლისა,  
 წელო, თითისტრად ნახვეწო,  
 ფერო შიმშირის ფიცრისა.  
 თეძონო, სანთლად ჩამოქნავ,  
 ცხადო, ახდენავ სიზმრისა.  
 ქალო, სურვილო ქარბუქის,  
 ძირს გადაწვენავ იფნისა...  
 რად ვეძებ სამაქაუროს,  
 რა დამრჩა შენი გზებისა.  
 ნუ იტყვი შენ ქმარ მაფრთხობდეს,  
 ან ღრენაი შენი ძმებისა.

ერთ გრძელ სიცოცხლედ ისტორიის  
 მიღირს,  
 ცნოსვა იმ შენი თმებისა.  
 დანდობა, თვალის მილუღვა,  
 ზედ შკერდზე დაყრა ფრთებისა,  
 მერე კი ღამფლან, დაინთონ  
 კოცონიმც ჩემი ძვლებისა!  
 ნეტაი გეჯდე სასთუმალს,  
 შენ ძილს ვუცქერდე, ტკბილასა.  
 ვუცდიდე ღამაზ-ღამაზი  
 თვალის ახელას დილასა.  
 ჩაგხედდე, ჩავიძიროდე,  
 შავ ღურჯი ტბების ძირასა.  
 ნეტაი გეჯდე სასთუმალს,  
 შენ ძილს ვუცქერდე ტკბილასა.  
 მერე თუნდ მოგაკვდე, არ  
 ვნადვლობ,  
 არცა რას ენატრობ ძვირასა...

### შენ თეთრო ქალო...

შენ თეთრო ქალო, ნათელი,  
 ტუჩვარდიანო, მზიანო.  
 ჩემთვისა ქალო, ქალწულო,  
 სხვისთვის — შვილ-ბაღღებ-  
 ქმრიანო.  
 თვალცეცხლო, ძუძუკალმახო,  
 წელ-წვივო, თეძო-კვრიანო,  
 ქალო, ჩემთვის ქალწულო,  
 ქალო, სხვისთვის ქმრიანო.  
 შენი სინაზის სხვა ვინ ვთქვავ,  
 ან შენი სილამაზისა.  
 ლოყებზე თაფლი გადნება,  
 ტუჩზე — ბადავი ვაზისა.  
 წარბად წურბელი ვასხია,  
 წამწმად სხივები ლალ-მზისა.  
 ვინა ვთქვავ შენი სინაზის,  
 ან შენი სილამაზისა?!  
 ნეტავი ბედმა ვის მიგცა,



მზედ ვის მიგმადლა მზისფერსა.  
 ღამ-ღამე ვინ გეფერება,  
 ან ვინ გიკოცნის მძივ-ყელსა.  
 ან შენი ფასი თუ იცის,  
 ან თვალს თუ ამჩნევს ცისფერსა.  
 „ქალაო, შენ რომ ქმარი გყავ,  
 მე ხისას გავთლი მისფერსა...“  
 ქალო ტკბილი ხარ, ნათელო,  
 არ ვიცი, რად მეძღერები.  
 ან თვალნი რად მწვავს, ან  
     ღაწვნი,  
 ან ტუჩნი, მარწყვისფერები.  
 ან ღამ-ღამ რად მესიზმრება  
 დაღალნი, წაბლისფერები.  
 ქალო, ტკბილი ხარ, ნათელო,  
 მალ-მალე მოსაფერები.  
 აწ სხვა რა გითხრა საშენო,  
 გული რით გაგიმზიანო.  
 ქალო თვალტკბილო,  
     სულტკბილო,  
 სხვისთვის — გულკერპო, ქვიანო.  
 ჩემთვის წყარო წყლის კისკისო,  
 სხვისთვის — პირგველო,  
     ძმრიანო.  
 ქალო, ნარ-ეკლის გვირგვინო,  
 ჩემთვის — ბალახო, ცვრიანო.  
 შენ თეთრო, თეთრო, ნათელო,  
 სატროფომრავალო, მტრიანო.  
 ედემის ბალის ხატებაჲ,  
 ღმერთის წილ-ხვედრო, ზიარო.  
 ქალო შე ვარდის კოკორო,  
 შე უბეკალმახიანო.  
 ნეტავი, ეგ მაცოდინა,  
 ვინ ვესიზმრება გვიანო,  
 ქალაო, ჩემთვის ქალწულო,  
 ქალაო, სხვისთვის ქმრიანო...

მადლობელი ვარ, ქალაო,  
 შენ რომ გულხათრი გასწვი,  
 მოხველ და სტუმრობა მიყავ,  
 ღმერთის მასპინძლად მაქციე.  
 მე თავი მუხა მეგონა,  
 შენ ღერწმად წამომაქციე,  
 კლდე ვიყავ, ტინი, პიტალო,  
 ქვიშად მყავ, ჩამომაქციე.  
 მადლობელი ვარ, ქალაო,  
 შენ რომ მასპინძლად მაქციე.  
 მოხველ და მოსვლა რა იყო, —  
 სიზმრად ახლენა ცხადისა.  
 ვერცა რამ გულის გითხარი,  
 ვერც რამ ლოცვად ვთქვი ხატისა.  
 თვალთა, ტუჩთა თუ ლოყათა,  
 მკლავ-მტევნებ-თითთა, ათისა.  
 მივევე და კოცნას შემოვრჩი,  
 ვერ ვქმენ მოწყენა მათისა.  
 ყელ-ყვრიმალისა, ლაღისა,  
 უბე უზადო ზადისა.  
 ზედ გუნდებრ იავუნდების,  
 და კერტუნების მათისა.  
 თეძო — წელ-წვივის მრთელისა,  
 თლილისა თლილ ფიქალისა.  
 კოცნანი უკოცნელათა  
 და საკოცნელის, მნათისა.  
 ვკოცნე და კოცნას შემოვრჩი,  
 სხვა ვერც რა ვხილე მათისა.  
 პოი, შე სიზმრის დობილო,  
 შე სუნთქვასავით მნდომარე.  
 ქალო, შე ქარის ქროლვაო,  
 ალვაო, მორცხვად მდგომარე.  
 მიხვრაო რწევაჲ ღერწმისა,  
 ზღვაო, საბანხედ მწოლარე.  
 ნეტავ ან შენ გქმნა ჩემადა,  
 ან მე, უჩინოდ მყოლარე.  
 ან ეგრე ტკბილი არ იყო,



თვალმტყვევი, ბადემქსოვარე.  
 ან ასე გულმზე, ან მნათი,  
 შუქმყრელი, ძუძუ მთოვარე,  
 ან მე არ ვიყო საერთოდ,  
 ან მყაჟე მისაწვდომარე.  
 ჰოი, შე სიზმრის დობილო,  
 შე სუნთქვასავით მნდომარე.  
 მადლობელი ვარ, ქალაო,  
 შენ რომ გულხათრი გასწიე,

მოხველ და სტუმრობა მიყავ,  
 მოხველ და თავი გასწირე.  
 ნუ მორცხვობ, შენი კვნესამე,  
 ნუ, თავი შველებრ ასწიე.  
 წყევლად რა გითხრა, —  
 გამრავლდი,  
 ცხრა ბზის აკვანი არწიე.  
 სულო, შენც ჩემო, აწ თუნდა  
 გაჰყევ, ჯოჯოხეთს გასწიე!

## უუუუნა უაინიძე

მათობდა მხოლოდ ფიქრი ციერი, ცისფერი სევდა იწვა იებთან,  
 ლაჟვარდისფერი თვალსაწიერი ლურჯ ელდორადოს ქსოვდა მთიებთან,  
 მიმაქროლებდა ლალი ოცნება — ფრთამოხატული უცხო ფრინველი,  
 ვიქეც ტკივილად და გაოცებად ღვთიურ სამყაროს პირველმზილველი.  
 მემოსა კაბა ცასავით ლურჯი, ცის ასულივით ვიყავ ამაყი,  
 მეფინებოდა გაქარულ თმებში მთვარის ღიმილი ოქროს ვარაყით.  
 უეცრად რაშებს დასჭყვივლა ქარმა და დარახტული შავი ცხენები,  
 ვეღარ შევასწარ სამყაროს თვალი, დაეპატრონენ სივრცეს ჭენებით  
 და ამოივსო უსაზღვროება მღვრიე უდაბნოს ციებ-ცხელებით.  
 ვიღაც ხმალივით აქნევდა ელვას, განუკითხავად ჩეხავდა სიზმრებს,  
 და მთვრალი ღვეი უფსკრულის პირას — დატორტმანებდა ყვითელი  
 სივრცე;

გაბოროტებით წიოდა ქარი და შოლტებს სცემდა რაშებს დაოთხილს,  
 აღარსად იყო ფერი ნარნარი, ფერი ღმერთების, ფერი სამოთხის  
 ვიღაც მომსდევდა ყრუ ნაბიჯებით და გაგიჟებით მწყუროდა წყალი,  
 ვერას ვხედავდი — ყვითელი სილით ამევსო უბე, სული და თვალი,  
 ვერ მივაწვდინე ტუჩები ღრუბელს — გამომეწოვა სავესე ცურივით  
 და უდაბნოში მარტოდ დარჩენილს, ვით უშენობა, მკლავდა წყურვილი...  
 გამომეღვიძა, სარკმელთან იწვა ლურჯკაბა ზეცა, მზე სხივოსანი,  
 თავსასთუმალთან ღმერთქალი — დედა (ვაიმე, ღმერთო, ვერც კი ვიცანი)  
 მეფერებოდა და მამშვიდებდა, გულში მიკრავდა თითო ბავშვივით,  
 ვერ გაუვსწორე ღელაჩემს ხედავ, ავბედით სიზმრით ვიყავ დასჯილი.

## ლურჯი ბალახი

შენ, ჩემი მიწის ღაღო სუნთქევა,  
ლორთქო ბალახო,  
ღვთით განბანილო მზის ემბაზში,  
მთვარის ღიმილში,  
ყოველ ცისმარე შენი ტრფობა  
არ განვკაახლო —  
დამიპონებდა წალეკვის და  
გაქრობის შიში.  
შენ, ჩემი მიწის ტკბილო სევდავ,  
თოთო ბალახო,  
წინაპრის ფიქრო, წარუშლელი,  
დარღო მთისხელა,  
ყოველ ცისმარე შენს თვალებთან  
ვილაპარაკო —  
ამოღალანდი სულში სიმღერად!

## თეთრობი ბავშვობის ხსოვნაში

ბუჩქები მაყვლისაფერიანი,  
ნაძვები, ძეძვი და ლელიანი,  
ბილიკი — ბარდი და ნარ-ეკალი,  
გზადაგზა კაკლები სარეკავი,  
ხევ-ხუვი წყაროიან-ღელიანი,  
ნისლები ქათქათა ყელიანი.  
კორდები, მორთული ყვავილებით,  
მწკრივ-მწკრივად ყავრიან  
იაილებით.

თეთრობი — თეთრონი  
დარახტული,  
მზე — ატმის ყვავილი  
დახატული,  
სურნელით დაბანგული იელი,  
ბარიდან აბარგული მთიელი.  
ნაძვები, ძეძვი და ლელიანი,  
თეთრობი, თეთრონის ყელიანი.

სერგეი ესენინი

ღაბრუნება საჟოგლოში

ისევ ვეწვიე მშობლიურ მხარეს,  
სადაც სოფელ ბიჭს არ მქონდა ჯავრი.  
ძველი სამრეკლო ახლა მღუმარებს,  
აღარც ზარია და აღარც ჯვარი.  
ძველ ყოფას როგორ უცვლია სახე!  
რა უბადრუკად ცხოვრობდა ხალხი.  
როგორი ფერისცვალება ვნახე,  
ფეხდაფეხ დამდეგს სიო სიახლის.  
ვეღარ ვიცანი მამის სახლიც კი, —  
ნეკერჩხლის ტოტებს აღარ იჩრდილებს.  
დედა — ფუსფუსა დიასახლისი  
აღარ აპურებს ახლა წიწილებს.  
საბრალო, ალბათ,  
კიდევ დაბერდა.  
თვალსევდიანი გავეყურებ არეს,  
თითქოს უცნობი არის ეს მხარე,  
გადასხვაფერდა ნეტავი როდის?  
მხოლოდ მთა მოჩანს ისევე თეთრად  
და იქვე — რუხი ვეება ლოდი.  
სასაფლაოსთან მღუმარედ შევდექი.  
ძირგამომპალი წახრილან ჯვრები,  
თითქოს ხელჩართულ ლაშქრობის შემდეგ  
შკლავებგაშლილი გახევდნენ მკვდრები.  
აგერ გამოჩნდა მოხუცი ბედზე,  
მოღის და ჯოხით მტვერს აცლის ბარდებს.  
კუთხარ:  
„ტანია ესენინს ვემებ,  
თუ მიმასწავლი, დიდ პატივს დამდებ.  
„ტანიას... ჰმ...

ე, იმ ქოხს ხომ ხედავ?  
იქვეა ახლოს,  
ნათესავი ხარ,  
თუ მისი შვილი გადაკარგული?“  
„შვილი.  
რა იყო,  
რად გეცა ელდა,  
რად შეგიღონდა, მოხუცო, გული?“  
„ბაბუას ვერ ცნობ? მომიკვდეს თავი!“  
„რას ამბობ ბაბუ! შენა ხარ მართლა?“  
შემდეგ ცრემლნარევ საუბარს ვმართავთ,  
კურცხლით ვასველებთ დამტკვერილ ყვავილს.

„შენ ოცდაათის გახდები მალე,  
მე შემისრულდა ოთხმოცდაათი.  
აღსასრულს ველი.  
სად დამემალე,  
სად იყავ, რისთვის დამტანჯე დარდით?“  
„შენც კომუნისტი უთუოდ გახდი“.  
„არა!...“

„დები გყავს კომკავშირლები,  
ძირს ჩამოავდეს თაროდან ხატე.  
რა დრო დაგვიდგა!  
ბოღმით ვილევი.  
ჩამოუხსნია კომისარს ზარი.  
საყდარში შესვლის არა გვაქვს ნება.  
ტყეში ვერხვებთან ვლოცულობ მაღვით,  
იქნება ლოცვამ მომგვაროს შვება...  
წავიდეთ სახლში  
და თვითონ ნახავ“.  
მივდივართ.

ვთელავთ ჭიოტებს გზაზე.  
ღიმილით ვუცქერ ტყესა და სახნავს.  
მოხუცი სევდით სამრეკლოს გამწერს.

„დედა, სალამი! სალამი, დედა!“ —  
ცრემლით დავიცხრე მწარე ნაღველი.  
უთუოდ ძროხაც იქვითინებდა,

ასე ღარიბი კუთხის მნახველი.  
ლენინის სურათს კედელზე ვხედავ.  
აქ ჩემმა ღებმა უნდა იხარონ.  
მსურს, შენს წინ მუხლი რომ მოვიხარო,  
მშობელი მხარეც, მოვედი შენთან.  
ჰა, მეზობლებიც!

ვერ მცნობენ მგონი.  
აქ პავშვიან ქალს თავაზით ვხვდები.  
ჩვენი გოშია, ვით ბაირონი,  
შემომეგება ჭიშკართან ყუფით.  
ჰე, ტკბილო მხარეც!

შეცვლილხარ მეტად.  
მეც შევიცვალე.  
მეც სულ სხვა ვხვდები.  
ბაბუ თუ დარდობს,  
თუ ნაღვლობს დედა,  
სამაგიეროდ ხარობენ დები.  
მე ლენინს ხატად არასდროს ვთვლიდი,  
ვიცნობ ქვეყანას...

ოჯახი მიყვარს...  
მაინც მის სახელს ვახსენებ რიდით.  
ასე მორჩილი არასდროს ვიყავ.

ვჯდები და დაი  
წიგნს გადამიშლის  
მარქსზე,  
ენგელსზე  
მიამბობს დიდხანს.

მე „კაპიტალი“ არც ერთ ამინდში,  
რბლა თქმა უნდა,  
არ წამიკითხავს.  
და მეცინება —  
ჩავიჭერ მგონი.  
ღის გაკვეთილებს კარგად ვერ ვხვდები.

.....  
.....  
ჩვენი გოშია, ვით ბაირონი,  
შემომეგება ჭიშკართან ყუფით.

რა ჯიგრიანად გარმონი უკრავს!

მისი ხმა გულში ცრემლივით წვეთავს.  
 მოდი ვიმღეროთ, წამხდარო ძუენავ,  
 ვიმღეროთ ერთად,  
 გოელეს და გჯიჯგენეს ნებით თუ ძალით.  
 და მოგიტავეს კიდევაც ხელი.  
 რას მომაშტერდი ამღვრეულ თვალით —  
 ალიყურს ელი?  
 ზოსტანში ყვავის დაფრთხობას შეძლებ,  
 სხვად რად ვარგიხარ?  
 მტანჯე და თავი მთლად მომაბეზრე,  
 მძიმე ბარგი ხარ.  
 მიდი, კარმონო, დაუკა, დასცხე!  
 შესვა, ძუნკალო, შენი ჯერია.  
 ის ჯიქნიანი მირჩევენია, ის ძუძუსავსე —  
 შენზე შტერია.  
 მრავალი ქალი ჩემს სიცოცხლეში  
 შემომეფეთა,  
 მაგრამ შენ რომ ხარ, ისეთი ლეში  
 პირველად შემხვდა.  
 ზოგჯერ მომივლის ტკივილი მკერდში,  
 მაგრამ ავიტან.  
 ნუ გეშინია, არაფერს გერჩი,  
 მომწყდი თავიდან.  
 თქვენს ხროვას უნდა ვარიდო პირი,  
 ღამე უთქვენოდ უნდა ვათიო.  
 ძვირფასო, ვტირი,  
 ვთხოვ, მაპატიო!

თარგმნა გიორგი სალუქვაძე



ნუზარ აგაფუკელი

ელდარ შენგელაია

თხუთმეტი წლის წინათ გამოცემულ კინოლექსიკონში მას სულ რამდენიმე სტრიქონი აქვს მიძღვნილი: „შენგელაია ელდარ ნიკოლოზის ძე (დაიბადა 26.1.1933) — საბჭოთა რეჟისორი. საქართველოს სსრ ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე (1967). 1958 წელს დაამთავრა კინემატოგრაფიის საკავშირო სახელმწიფო ინსტიტუტის სარეჟისორო ფაკულტეტი (ს. იუტკევიჩის სახელოსნო). რეჟისორ ა. სხაროვთან ერთად დადგა მხატვრული ფილმი-ზღაპარი „გაყინული გულის ლეგენდა“ (1957) და „თოვლის ზღაპარი“ (1960), რომლებშიც ზღაპრული მასალები გადახლართულია რეალურ სინამდვილესთან. რეჟისორი ცდილობდა ფოლკლორული სახეები თანამედროვე ინტერპრეტაციით გადმოეცა. 1964 წელს რეჟისორ თ. მელიაევთან ერთად დადგა „თეთრი ქარაიანი“ — პოეტური მოთხრობა, თანამედროვე ქართული სოფლის ცხოვრებიდან (ლენინური კომკავშირის რესპუბლიკური პრემია, 1965 წ.) შენგელაიამ დადგა აგრეთვე მოკლემეტრაჟიანი ფილმი „მიქელა“ (1964), 1969 წელს დადგა ფილმი „არაჩვეულებრივი გამოფენა“.

ბუნებრივია, რომ ამ მოკლე ცნობაში ამეამდ შეგვიძლია შევიტანოთ არსებითი დამატებანი და უპირველესად ჩამოეთვალოთ ფილმები, რომლებმაც გამოკვეთეს ელდარ შენგელაიას შემოქმედებითი სახე. თუმცა ლექსიკონში მოხსენიებულია ფილმი „არაჩვეულებრივი გამოფენა“, რომელმაც ჭეშმარიტად განსაზღვრა ელდარ შენგელაიას შემოქმედებითი მრწამსი და ადგილი კინემატოგრაფიაში.

„არაჩვეულებრივი გამოფენიდან“ მოკიდებული, ელდარ შენგელაიას ფილმებზე საკმაოდ ბევრი დაიწერა, სამართლიანობა მოითხოვს ითქვას, რომ არც ადრინდელ ლურათებს აკლებდნენ კრიტიკოსები კეთილგანწყობილ ყურადღებას.

თუ მხედველობაში მივიღებთ, რომ ხელოვანზე მსჯელობენ, უპირველეს ყოვლისა, მისი შემოქმედების მიხედვით, ამ მხრივ, როგორც იტყვიან, ყველაფერი რიგზეა. ელდარ შენგელაიას ფილმები საკმაო საბაზს იძლევიან ვილაპარაკოთ მასზე, როგორც ხელოვანზე, რომელსაც თავისი გარკვეული შეხედულება აქვს არა მარტო ხელოვნებაზე, არამედ მთლიანად ცხოვრებაზე. მეორე მხრივ, საინტერესოა მისი ბიოგრაფიის პირადი მომენტები — თუნდაც ის, რომ დაიბადა ოჯახში, რომელსაც ხელოვნება მუდამ უყვარდა. მისი მამა — ნიკოლოზ შენგელაია, ქართული საბჭოთა კინოს ერთ-ერთი ფუძემდებელი, განთქმული ფილმის „ელისოს“ ავტორი — იყო არა მარტო რეჟისორი, არამედ დრამატურგიც და პოეტიც; დედა — მუნჯი კინოს უბოპულარესი მსახიობი, ნატო ვარნაძე, ფილმ „მამის მკვლელის“ შემდეგ ქართული კინოს თავისებური სიმბოლო გახდა. ოჯახის მეგობრები იყვნენ ვლადიმერ მიაიკოვსკი და კოტე მარჯანიშვილი, მიხეილ ჭიაურელი და ვერიკო ანჯაფარიძე. სრულიად ბუნებრივია, რომ

ოჯანში გამეფებულმა შემოქმედებითმა ატმოსფერომ, რომელშიაც უხდებოდათ ცხოვრება ელდარსა და მის უმცროს ძმას გიორგი შენგელაიას (შემდგომში რომ თვითონვე რეჟისორი გახდა), დიდად განსაზღვრა ძმების შემოქმედებითი ინდივიდუალურობა, ხელოვნებაში მგრძობიარე, იმპულსური, ირონიული, პირად ურთიერთობაში თავმჯავებული და კეთილია, თანაც შესანიშნავი გონებაშახვილი მოსაუბრეა.

ელდარ შენგელაია ეკუთვნის იმ თაობას, რომელიც საბჭოთა კინოს განვითარების ახალ ეტაპზე (სამოციანი წლები) ახლებურად იაზრებდა და გამოხატავდა თავის ეპოქას და თავის დროს. ამასთან ელდარ შენგელაიას ამ პერიოდის მოღვაწეობა არის ფილმის მასურებლისეული აღქმის თუ საკუთარი შემოქმედების ყოველმხრივი სტერეოტიპის დაძლევა.

ხელოვანის შემოქმედებაზე შეიძლება სხვადასხვაგვარად მსჯელობა. შეიძლება ვილაპარაკოთ ყველაზე, ან გამორჩეულ ფილმებზე. მე კი მიზანშეწონილად მიმაჩნია საუბარი დავიწყოთ მისი შემოქმედების შუაღღზე, მისა ღიმფიფის, შემოქმედებითა სიმწიფის ჟამიდან.

60-70-ანი წლების ქართულ კინოში შერეული ჟანრის წარმოშობა ბევრად გაზაპირობა კინოში ცხოვრებისეული მოვლენების უფრო ღრმად ასახვის საერთო ტენდენციამ. მაგრამ, ამასთან, საყოველთაოდ ცნობილია, რომ ახალ ჟანრებს წარმოშობს არა თვითონ ცხოვრება, როგორც ასეთი (თუმცა, ა. პ. ჩენოვი წერდა: „ცხოვრებაში სიუჟეტები არ არსებობს, აქ, ყველაფერი ერთმანეთშია არეული: სიღრმე — ზეჩელობაში, დიადი — არარაობაში, ტრაგიკული — სასაცილოში“), იგი სტიმულს აძლევს ახალი ჟანრობრივი ფორმების ძიებას.

სწორედ ამ ფონზე აღმოცენდა „არაჩვეულებრივი გამოფენა“, და მაშინვე გახდა ნათელი, რომ ელდარ შენგელაიამ და სცენარის ავტორმა მერაბ ელიოზიშვილმა ქართულ კინოში მოიტანეს სრულიად გარკვეული და მკაფიო მსოფლშეგარძნება. ცხოვრების ყველა კოლიზიას ისინი აღიქვამენ იუმორით, რომელიც ხალხურ ყოფას ემყარება. სასაცილოს პრიზმაში დანახული სევდა და დრამატიზმი არ იქცევა ნაკლებ სევდიანად და ნაკლებ დრამატულად, უმალ ზდება უფრო ადამიანური, ფილოსოფიურად დატვირთული და ღრმა. თუმცა ამ ფილმით შეიძლება დავასკვნათ, რომ ელდარ შენგელაია ხელოვნებაში ფლობს თავის სტილს, მაგრამ არასდროს ცდილობს მრავალმნიშვნელობისა და სტილური გართულების ხარჯზე გააღრმავოს სიუჟეტი ან ხასიათი. ამავე დროს ელდარ შენგელაიას ფილმების ჟანრს ბევრად განსაზღვრავს არა იმდენად სიუჟეტური კოლიზიები, რამდენადაც სტილური გადაწყვეტა, ხოლო ხასიათსა თუ სახეში განძინდება საერთო სტილური განწყობა, საერთო კონფლიქტი.

„არაჩვეულებრივი გამოფენაში“ სერიოზული თხრობა ადამიანის ყოფის მოუწყვრიველობაზე მიმდინარეობს ფარისის ზღვარზე. ფილმი გვიამბობს იმაზე, თუ როგორ ცხოვრობდა ერთი მხატვარი საქართველოს პატარა პროვინციულ — კრამიტან ქალაქში, როგორც ხაზგასმით და სიყვარულით აღნიშნავს სცენარის ავტორი რეზო გაბრიადი. იგი არ იყო გამოჩენილი შემოქმედი, მგონი, ჰქონდა ოცნება, არცთუ ისე გაბედული და განუხორციელებელი — სურდა თეთრი მარმარილოსაგან მისი ხელით გამოქანდაკებულ გოგონა ეხილა ქალაქის სკვერში და მის ირგვლივ მხიარულ ბავშვებს ერბინათ, მაგრამ მრისხნან ომისა და ომისშემდგომ დროს აგულიმ — ასე ერქვა ჩვენს გმირს, — ვერ შესძლო და არც ცდილა განხორციელებას თავისი ოცნება „თეთრ ქალიშვილზე“, ხელი მიჰყო დამკვეთის გეგმვების შესაფერისი, ერთი-მეორეზე საშინელი საფლავის ძეგლების კეთებას. ფილმის მთავარი სცენა არის ეპიზოდი სასაფლაოზე. გარეგნულად იგი თითქოს კომედიურია, მაგრამ შინაგანად დრამატულია და მისი აზრი — უღმობელი და მწარე. მთვრალი მოქანდაკე, როგორც ფახტოსმოვიურ სიხმარში,

მოხედება სკულპტურების გამოფენაზე, რომელზეც წარმოდგენილი იყო მისი მერ-  
ფულისათვის გაკეთებული ქანდაკებები, რომლებშიაც აი ჩაუქსოვია არც სულამდინე  
აზრი, არც ნიჭი. განუხორციელებელი ოცნების გამო საყვედურით ალყაში ამწყვ-  
დევნ მხატვარს ქედმაღლურად ტუჩაბზუტებული აფთიაქარი თუ მკედელი საღლე,  
რომლის გამოქანდაკება სურდა ანტიკური სკულპტურის ყაიდაზე, მაგრამ იძულებული  
გახდა ნახევრად მხედრული კიტელით შეემოსა.

ელდარ შენგელაიამ ამ ფილმში გამოიჩინა შესაშური უნარი — მრავალფეროვანი  
დეტალებით წარმოეჩინა ომისშემდგომი პატარა ქართული ქალაქის ცხოვრება, ფილმის  
ყველა პერსონალისათვის მიენიჭებინა დამახასიათებელი გარეგნობა, რომელშიც ქარ-  
ბობს პროტესტისა და ფარსის ელემენტები. ძირითადად პერსონაჟები გამოირჩევიან  
რამდენადმე უტრირებული გარეგნობით — ახოვანი პროვინციელი მსახიობი იქნება  
ის თუ ჩია აფთიაქარი, აგულის მუშტარი თუ აღმასკომის კომისიის მედიდური წევრები.

ამ ფილმის შემდეგ უფრო ნათლად გამოჩნდა ელდარ შენგელაიას შემოქმედების  
ძირითადი ნიშანი. სხვადასხვა სტილის, ენარის, მანერის — ხან ლირიკულის, ხან ფა-  
რსულის — მიუხედავად ე. შენგელაია ერთი თემის ერთგული რჩება. ეს არის ეროვ-  
ნული ხასიათის წყარო და მისი გამოვლინების ნაირგვარი წახნაგები. ე. შენგელაიას  
ფილმების ზედაპირული ანალიზის დროსაც კი შეიმჩნევა მათი კავშირი ქართულ გე-  
ლოვნებასთან მთლიანად და, კერძოდ, ფოლკლორთან და ლიტერატურასთან. ამასთან  
დაკავშირებით წამოიჭრება კიდევ ერთი საკითხი ეროვნულ ფესვებზე. თითოეული  
ეროვნული მსოფლმეგრძნება, გონებაამხვალური ნიშნები, თავისებურებანი აისახება  
მათს ხელოვნებაში. მაგრამ ეს თავისებურებანი არ არის ერთხელ და სამუდამოდ  
მოცემული და გაქვევებული. ისინი ყალიბდებიან და იცვლებიან გარემოსა და საზოგა-  
დოებრივ-ისტორიული განვითარების შედეგად.

„ყოველი ხალხის ეროვნულობის თავისებურებანი სამზარეულოთი და ტანსაცმლით  
კი არ ამოიხსნება, არამედ, ასე ვთქვათ, საგნების შეცნობის მანერით“, — წერდა  
ბ. ბელინსკი. ე. შენგელაია საგნებს სწორედ თავისებური მანერით შეიცნობს. „სამა-  
ნიშვილის დედინაცვალში“, სადაც ორგანულადაა შერწყმული ყოფა-კომედიასთან,  
დრამატული და ექსცენტრული — ფარსთან, ეროვნული ვლინდება სტილისტიკაში,  
სხვადასხვა ენარის ელემენტების ენარობრივ შეხამებაში. ამ ფილმში ტრაგიკომედიური  
თავს იჩენს იმის გამო, რომ ოდითგანვე ბავშვის დაბადებით გამოწვეული სიხარული  
ამ შემთხვევაში სავალალოდ მთავრდება. თვით ცხოვრებამ შემოდგომის აზნაურებისა,  
რომლებიც თავიანთ წარსულ დიდებასა და პრივილეგიას ებღაუტებიან, განსაზღვრა  
ფილმის ენარული ხასიათი

და ვანა ეროვნული არ არის „შერევილების“ გმირების ხასიათები? აი, რას ამბობს  
ამის თაობაზე თვით რეჟისორი:


„გაფრენა ერთგვარად ადამაღლებს ჩვენს გმირებს, აზიარებს ქვეყნის სიღამაზეს.  
ჩვენ ვეინდოდა გადაგველო ფილი ადამიანებზე, რომლებიც ქუჩაში რომ მიდიან, ხე-  
დავენ ცას, ვარსკვლავებს, მზეს... ადამიანებზე, რომლებსაც სიყვარული თანაგრძნობის  
გარეშე შეუძლიათ“. ეს ჩანაფიქრი განხორციელდა ზღაპარში, მასში უხვადაა გამოყი-  
ნებული ხალხური ტრადიციები და გამოხატავს სიცოცხლესა და სიკვილიზე ავტორის  
შეხედულებას. გროტესკული რეალიზმის ესთეტიკისათვის დამახასიათებელი სიკვილი,  
რომელიც ახალ სიცოცხლეს ბადებს, წითელ ზოლად ვასდევს „შერევილებს“. ამას-  
თან დაკავშირებით მინდა გავიხსენო როლანის „კოლა ბრუნინი“. წუთისოფლის  
ძობრბობის წილად საკუთარი თავის მეგრძნებამ განსაზღვრა „შერევილების“ ცხოვრებ-  
სეული არჩევანი. კოლა ბრუნინოსაც ზომ ასეთივე მეგრძნება ჰქონდა ადამიანებისა და  
წუთისოფლის მიმართ.

ბურჟუაზიული ცივილიზაცია აუტობებს ადამიანს ბუნებისაგან, ბუნებრივი ყოფი-  
საგან. ამიტომ, რომ „შერეკილებს“ გმირთა დამოკიდებულება ადამიანებთან, ბუნე-  
ბასთან უარესად მგრძნობიარე, თითქმის წარმართული ხასიათისაა. ასეთია შენგელა-  
იას ფილმის ეროვნული ხასიათის კიდევ ერთი გამოვლინება.

როგორღაც ცნობილმა კინოს თეორეტიკოსმა ბელა ბალაშმა დაწერა: „მე-18 სა-  
უკუნის ფრანგულ ფაიფურზე, რომელიც ფრანგულ ყაიდაზე მოხატეს ჩინელებმა,  
გამოსახული იყვნენ ვერსალის მოდის ტანსაცმელში გამოწყობილი მწყემსი მარკიზი და  
მწყემსი ქალი. ისინი ძალიან გვანდნენ ჩინელ მონდარინებს, ცნობილია აგრეთვე მაი-  
სენის ფაიფურის საპირისპირო მაგალითი: ძველმა ჩინურმა ნაყშებმა მიიღეს გერმანუ-  
ლი ელფერი. მთავარი მოდელი კი არ არის, არამედ, ის, თუ როგორ ფლობ ფუნჯს.“  
ჭეშმარიტებაა. რა სიუჟეტიც უნდა აირჩიოს ელდარ შენგელიამ, აშკარაა, რომ მისთვის  
ძოდელი როდია მთავარი, არამედ ის, თუ როგორ ფლობ ფუნჯს. აი, რეჟისორის  
ბოლო ფილმიც. „ცისფერი მთები“. სხვაგვარი წაკითხვით იგი შეიძლებოდა ყოფილ-  
ყო „აბსურდის თეატრის“ ტრადიციით დადგმული/წარმოდგენის მსგავსი. ელდარ შენ-  
გელიამ კი ამ გროტესკულ მწვევე სატირულ ამბავშიც იპოვა მისი გულთ საყვარელი  
ნაცნობი მოტივები. „ლურჯი მთების“ სიუჟეტის წყობა გარეგნულად თითქოს მოუწე-  
სრიგბელია, სინამდვილეში კი თითქმის მათემატიკურ სიზუსტითაა აგებული და  
ხელს უწყობს გარემოსთან გმირების კავშირს. ეს აფართოებს ჩვენს წარმოდგენას  
არა გარკვეულ ჩარჩოში მომწყვდეულ მოვლენებზე, არამედ იწვევს ასოციაციებს  
ცხოვრების მოვლენებთან, რომლებიც არ უკავშირდებიან ეკრანზე მომხდარ ამბებს,  
მაგრამ მოთავსებულია ერთ სიუჟეტზე, მასთან ერთად ე. შენგელია აფართოებს კო-  
მედიური უანრის ჩარჩოებს და ცდილობს გამოავლინოს რაღაც კომედიურზე მეტი.  
ამას იგი პარადოქსის მეშვეობით აღწევს. პარადოქსი კი შენგელიასათვის მოულოდნე-  
ლი მხრიდან დანახული მოვლენების შეცნობაა.

ყველაზე საკვირველია ის, რომ ამ სატირულ ფილმში არ არის არცერთი უარყო-  
ფითი პერსონაჟი, მაგრამ ყველა გმირი კრისტალურად უმაქნისია. ისინი გამოირჩევიან  
თაქვარიანობით, პატივს არ სცემენ სხვისა და საკუთარ შრომას... ვნებათა თავმომაბე-  
ზრებელი უაზრობა... ამაშია ხელოვანის პათოსი.

ადვილის უქმარისობა საშუალებას არ გვაძლევს უფრო დაწვრილებით ვიმსჯელოთ  
ოსტატის შემოქმედებით გზაზე. ჩვენ ვცადეთ ზოგადად გვედევნებინა თვალი მისი შე-  
მოქმედებითი ჩანაფიქრისათვის.





## სხელი წიფელი

...თუკი ცაცი მამულისათვის ლოდის ერთ ნატებს მიიტანს იქ, სადაც საჭიროა, მისი სახელი რად უნდა იქნას დავიწყებული?! პოეტი, თუნდ ერთ ისეთ ლექსს დაწერს, მკითხველს გულს რომ აუთრთოლებს, სიკეთეს, სიცოცხლეს, მამულს შეაყვარებს, რად უნდა იქნას დავიწყებული?! და არც არიან დავიწყებული ასეთი პოეტები, გავიხსენოთ თუნდაც მამია გურიელი, გიორგი ჭალადიდელი, იმერელი ქალი (ლიდა მაგლობლიშვილი). მათ მხოლოდ თითო კარგი, უშუალოდ ადსავეს ლექსი დაგვიტოვეს. მაგრამ, აბა, ერთი წაიკითხეთ ეს ლექსები! გულს ავითრთოლებს, ქვეყანას შეგაყვარებს, ჩაგაფიქრებს, ადგაგზნებს, გავალომგულებს. დიახ, ეს ავტორები უბრალონი, უპრეტენზიონი არიან და კლასიკოსთა წინაშე მუხლმოდრეკილნი სდუმან. მაგრამ არა სდუმს მათი ხატოვანი სიტყვა. განა სამშობლოს სიყვარულით არ აღგავგზნებს პოეტი იმერელი ქალს ეს სტრიქონები:

ამას ამბობდა ქართველი, სპარსეთში დატყვევებული;  
 რაც უნდა მტანჯონ, მაწამონ, მე არ გავხდები სპარსელი,  
 ხეზე მიმაკრან, გარს ცეცხლი დაჰინთონ, ნელა ვიწოდებ,  
 იქედან ვეტყვი ჩემს მტარვალს, — მე ქართველი ვარ იცოდებ...

განა ასე არ არის სხვა ხელოვანიც?! ამ გულით ვკითხულობ ჩემი მშობლიური ქალაქის მკვიდრის, ბათუმში დაბადებულ-გაზრდილი მხატვარის მიხეილ ჩარგეიშვილის ნახატებსაც. მე მას პირადად ახლოდან ვიცნობდი. მიხეილი ჩვენი მწერლებისა და პოეტების კარგი მეგობარი და ჩვენი წიგნების მხატვრულად გამფორმებელიც იყო. როგორ ვუყვარდით, როგორ გვიყვარდა ეს თავაზიანი და თავმდაბალი, ნიჭიერი ხელოვანი!

— შენ თუ იცნობდი მხატვარ მიხეილ ჩარგეიშვილს? — ვკითხვები გაზეთ „საბჭოთა აჭარის“ რედაქციის მხატვარს გიორგი ხოჯაშვილს.

— როგორ არა.

— თუ იცი, სად ცხოვრობდა?

— მოსკოვის ქუჩაზე, ლერმონტოვის ქუჩის მიახლოვებაზე. რად გინდა? — მკითხება იგი.

— კაცი წუთისოფლიდან რომ გარდავა, თუკი იგი ღირსია, ხომ უნდა გავიხსენოთ და გავახსენოთ ხალხსაც?

— რა თქმა უნდა.

— ჰოდა, პატარა ნარკვევი მინდა დავწერო.

— რა კეთილი სურვილი დაგბადებია. დრო რომ მქონდეს, მეც წამოგყვებოდი, კარგად ვიცნობ მის ოჯახს, — მითხრა გიორგიმ და ნელი ნაბიჯით გამშორდა.

ამ დროს ჩამოვდა სამი ნომერი ავტობუსიც და...

მეც ვავყევი. მოსკოვის ქუჩაზე ვარაუდით ჩამოვედი.

იქნებ აქვე ახლოს იყოს მისი სახლი-მეთქი, ვიფიქრე და ერთ-ერთ მოსახლეს ვკითხე.

— მისი სასლი ავერ, ახლოსა, — ხელი გაიშვირა, — ოთხმოცდაექვსი ნომერი...  
ორსართულიან სახლს თვალი შევავლე და ეზოს კიშკარი შევალე. დაბლაკი...  
ქალი შემომგება, უცხო სტუმარი რომ შემიციო, მკობსა, ვის გნებავსო... და რომ  
გავივო ჩემი მისვლის მიზანი, მწუხრის იერით გაიღმა, თურმე მიხეილის მეუღლეა...  
ჩვენ მეორე სართულზე ავედიო, პირველი თვალი რომ გვიღე, ეს იყო მხატვრის სუ-  
რაოი.

— როცა ავად იყო, მაშინ დახატა ავტობორტრეტი, — მეუბნება ქალბატონი ქეთე-  
ვანი და მის თვალთა გუგებს მსუბუქმა ცრემლმა გადაურბინა. უცებ გამახსენდა  
მიხეილთან შეხვედრები, საუბრები და მე სინანულმა გული გამიკენწლა. ბოლოს და  
ბოლოს, კაცნი ვართ. ჩვენც დღეს ვართ და ხვალ აღარ ვიქნებით. ჰოდა, ამაზეც ხომ  
უნდა დაფიქრდე ადამიანი. დიახ, უნდა დაფიქრდე და შენს თავს მუდამდღე შეავგონო:  
ყოველდღე ხნულში ჩააგდე კეთილი თესლი. ხალხის ნათქვამია, კარგი ქენი და ქვზე  
დადევო. რა დიდი სიბრძნეა ამ პატარა ფრაზაში! მაგრამ ქადაგდაც რომ იქცე, განა  
ყველას შეავგონებ ამ სიბრძნეს?! ამიტომ იტყვიან ზოგიერთ კაცზე: რა მაგი დაგირიგე-  
ბია და რა კედელზე ცერცვი მიგუყრიაო...

ქალბატონმა ქეთევანმა მაგიდაზე დამილაგა საბუთები, სხვადასხვა მინიატურული  
ნახელავი, ამონაქრები გახეთებიდან. თან ვსაუბრობთ და თან ვათვალიერებ ხანდახმულ,  
გახუნებულ ფურცლებს.

მიხეილი დაბადებულა ქალაქ ბათუმში 1916 წელს, მოსამსახურის ოჯახში. საშუალო  
სკოლის დამთავრების შემდეგ სწავლა გაუგრძელებია თბილისის სამხატვრო აკადემიაში.  
სამწუხაროდ, ჯანმრთელობამ უმტყუნა და მესამე კურსიდან აკადემიური შევებულება  
აუღია. მერე სწავლა აღარ გაუგრძელებია, მაგრამ უნარაანა ახალგაზრდამ ბევრი რამ  
შეიძინა აკადემიის მადლიან სამყაროში და ცხოვრებაში გამოსცადა თავისი შესაძლებ-  
ლობა. ნიჭიერმა მხატვარმა-გრაფიკოსმა მალე გაითქვა სახელი მშობლიურ ქალაქში.  
სხვადასხვა დროს მუშაობდა ჩვენს დრამატულ სახელმწიფო თეატრშიც და შესაფერ  
დეკორაციებს ქმნიდა მისი მადლიანი ხელი. რომელ საწარმოო დაწესებულებას ჩამო-  
თვლი და არ გეტყვიან — მიხეილმა ეს და ეს გააკეთა, დაგვიხატა, გაგვიფორმო.  
მუშაობდა გაზეთ „საბჭოთა აჭარის“ რედაქციაში, სახელმწიფო გამომცემლობაში,  
ნაყოფიერად ეხმარებოდა აჭარის სამხარეთმცოდნეო და რევოლუციის მუზეუმებს,  
კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებებს. მის შემოქმედებაში ყოველთვის წინა  
პლანზე იყო წარმოჩენილი ცხოვრებისეული მომენტები, საბჭოთა ადამიანების შრო-  
მითი გმირობა, ვაჟკაციური შემართება და თავდადება სახალხო საქმეში. „შინმოუსვლე-  
ლთა წყარო“ — ასე უწოდეს საავეჯო-ბამბუქის ფაბრიკის მუშა-მოსამსახურეებმა თა-  
ლოვან აუხს, რომელიც მიხეილის ხელმძღვანელობით ააგეს დიდ სამამულო ომში  
დაღუპულთა ხსოვნის აღსანიშნავად, იგი ქმნიდა მხატვრულ პლაკატებს. აი, იმ ხასია-  
თის პლაკატი, საბჭოთა საქართველოს ორმოცი წლისთავზე რომ შეუქმნია და იგი  
გაზეთ „საბჭოთა აჭარას“ გამოუქვეყნებია, მას ერთგის ასეთი წარწერა: „აყვავდი, ტურ-  
ფა ქვეყანავ“, აქვეა მოცემული ინფორმაცია მისი ავტორის შესახებ. აი, ისიც: „მხატვარ  
მ. ჩარგვიშვილის ნაშუავერებს დიდი ხანია იცნობენ ბათუმის მშრომელები. მ. ჩარგვი-  
შვილი ამჟამად გულმოდგინედ ემზადება ქართველი ხალხის ეროვნული დღესასწაუ-  
ლის — საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების 40 წლისთავის შესახვედ-  
რად. კონკრეტულად რას აკეთებს მ. ჩარგვიშვილი ამჟამად? — უკვე მოამზადა პლაკა-  
ტი-დიაგრამა წარწერით — „მიიღე, დედისამშობლოვ, ქართული მიწის მწვანე ოქრო!“  
პლაკატზე მიმზიდველადაა გამოსახული ჩაის მკრეფავი ქალები. ჩანს მხატვარს ამ სა-  
ხეების შექმნაზე გულმოდგინედ უმუშავნია. პლაკატი-დიაგრამა ასახავს აგრეთვე საქა-  
რთველოში ჩაის განვითარების შვიდწლიან გეგმას. საინტერესოა პლაკატი — „გადავა-

ქციით ბათუმი ქალაქ-ბაღდად“. აქ შემოქმედი წარმოგვიდგენს ბათუმის ერთ-ერთ ქუჩას ყვავილებსა და მწვანეში. მხატვარი გვაგრძობინებს, რომ ბათუმი მოკლე ხანში მართლაც გადაიქცევა ქალაქ-ბაღდად... ამას გარდა მხატვარს შეუქმნია ჩანახატები ძველი და ახალი ბათუმის ცხოვრებიდან. ძველისა და ახლის კონტრასტში მხატვარი ქმნის სოციალისტური მშენებლობის ფართო და ნათელ პანორამას. მასვე ეკუთვნის აქ მოთავსებული პლაკატი წარწერით: „ყვავედი, ტურფა ქვეყანაქ!“ ეს ინფორმაცია 1960 წლის 13 დეკემბრის ნომერშია დაბეჭდილი.

ქალბატონი ქეთევანი მეუბნება, მიშამ მხატვრულად გააფორმა გ. ლეონიძის ერთ-ტომეული, 1949 წელს კიევში რომ გამოიცაო. ეს აცის მწერალმა ამირან შერვაშიძემ, ისინი ერთად იყვნენ კიევშიო. შემდეგ ვინახულე ამირან შერვაშიძე და ბარემ აქვე ვიტყვი, რაც მიაშბო ამის თაობაზე ჩვენმა მწერალმა.

1949 წელს ვიმყოფებოდი ქ. კიევში. ვკითხულობდი ლექციებს ქართული და უკრაინელი ხალხების მეგობრობაზე, ქართული ლიტერატურისა და კულტურის შესახებ. ამ საქმეში დიდ დახმარებას მიწვედა უკრაინის სასიქადულო პოეტი მიკოლა ბაჟანი. ერთხელ შევიარე გაზეთ „მოლოდ უკრაინის“ რედაქციაში. მიიხრეს, დაგვიწერე სტატია ხალხთა მეგობრობაზეო. კარგი იქნება და კიდევ დავასურათებთო. მე სტატია თან მქონდა... — აქ, ჩემთან ერთად არის ბათუმელი ნიჭიერი მხატვარი-გრაფიკოსი მ. ჩარგეიშვილი, თუკი თანახმა იქნებით, მან დაასურათოს ჩემი წერილი, — ვუთხარი მე. დამეთანხმნენ. მიხეილს დაეუბრევე სასტუმროში და ვთხოვე მოსულიყო რედაქციაში. ცოტა ხნის შემდეგ ისიც იქ განჩნდა. მოილაპარაკეს. დღესვე შეეასრულებ თქვენს დავალებასო, უთხრა; ცალკე ოთახი დაუთმეს. მიხეილმაც შონდომა და ისე სწრაფად შეასრულა რედაქციის დავალება, რომ გაუკვირდათ. ჩემი სტატია და მიხეილის ნახატი გაზეთის პირველ გვერდზე დაიბეჭდა.

ამას მეორე სასიხარულო ფაქტი დამატა: ჩემი სტატია და მიხეილის ნახელავი მიკოლა ბაჟანს მოწონებია. როცა იგი ვინახულე, დიმილით მიიხრა: კარგი წერილი დაგვიწერია. ასეთი წერილები უკრაინელ და ქართველ ხალხთა მეგობრობაზე ხშირად უნდა იბეჭდებოდეს, სურათიც მომეწონა, ვინ არის ჩარგეიშვილი?

გახარებულმა ვუბასუხე: ბათუმელია, ჩემი მეგობარი, ნიჭიერი მხატვარი-გრაფიკოსია-შეთქი.

— აქ, ჩვენთან უნდა გამოცვეთ პოეტ გიორგი ლეონიძის ერთტომეული. გიორგი დიდი პატრიოტი პოეტია და მის წიგნს დაშვენდება ქართული ჩუქურთმები და ორნამენტები. ხომ შეუძლია ჩარგეიშვილს ამის შესრულება მაღალმხატვრულად? — მკითხა ბაჟანმა. მე დავუდასტურე. მიშა შევახვედრე. გამომცემლობაშიც ვიყავით. მიილო დავალება. მონდომებული, ენერგიული კაცი იყო ჩვენი მეგობარი, დამე გაათენა და დილით უკვე მზად ჰქონდა ყველაფერი. ბაჟანმა მისი ნახელავი მოიწონა. ჩააბარა გამომცემლობას.

ასე მიაშბო ამირან შერვაშიძემ.

ახლა დაეუბრუნდეთ ისევ მის არჩევს.

ქალბატონი ქეთევანი თითო-თითოდ მაწვდის მასალებს: გაუყეთებია აჭარის სასოფლო-სამეურნეო გამოფენის დიპლომი, აჭარის სიმღერისა და ცეკვის ანსამბლისათვის ემბლემა, საზეიმო შეკრებებისათვის მოსაწვევი ბარათები. მერედა, რა კარგადაა შესრულებული! 1961 წელს მონაწილეობა მიუღია აჭარის მხატვართა გამოფენაში, გამოფენის კატალოგში აღნაშნულა, რომ მან წარმოადგინა ორი პლაკატი — „საბჭოთა საქართველოს ორმოცი წელი“ და „ვაქციით ბათუმი მწვანე ქალაქად“. ჩემს პირდაპირ კედელზე კიდია ქალიშვილის სურათი. ახლოდან ვაკვირდები, მაინტერესებს ფერთა შეხამება. ემხიანი, ნაზი სახე. კაბა ვარდისფერი, თითქოს ვარდების ნაზი ფურცლებითაა ამოქსოვილი და გაზაფხულის სიცოცხლით აღბეჭდილი... აი, იქით კედლებ-

ზე გიწვევენ მხატვრის ნახელავნი, მერე და რა ფაქიზად შესრულებულნი! აი, ნახატები ილუსტრაცია: გოგონა დგას, ბიჭის სილუეტი მოჩანს და რაღაც რომანტიულ-სატრეფ-  
ალო ფიქრებს მოუცავს. „გაზაფხული“ — ყვავილთა ფეთქვა, ჩიტების ფრთხილი. აი, ბაკურიანის ეპიზოდები — „მოციგურავე გოგონა“, „ზამთარი ბაკურიანი“.

— „ზამთარი ბათუმში“ — მეუბნება ქალბატონი ქეთევანი, — 1953 წელს მხატვართა გამოფენაზე იყო წარმოდგენილი. ჰქონდა კიდევ ასეთი სურათი — „პეროვანი ქალიშვილი“, რომელიც შეისყიდა ერთ-ერთმა დაწესებულებამ. ნეტავი ვენახთ იგი! მთავალიერბიანებს თითოეულ სურათს და თანაც თავის დასკვნებს მთავაზობს. მუუღლის ნივთებს, ნახატებს ზღერს რომ ავლებდა, ვგრძნობდი მისი გულის თრთოლვას, ტკივილს, დაუამებელი ჭრილობის სიმწარეს, სხეულის ყველა ძარღვში რომ გადის. იგი თითქოს არ იმჩნევდა ამას, მაგრამ მე ვკითხულობდი ქართველი ქალის სულიერ სიმდარეს და სიამაყეს, საუკუნეობით რომ აღბეჭდილა ჩვენი დების, დედების სულსა და ხორცი. დიდება თქვენ, ქართველო მანდილოსნები!

მერე პირველ სართულზე მხატვრის სახელოსნოში შევედი. თვალი დაეცანე ესკიზს, რომელიც უნდა დადგმულიყო ბათუმის შემოსასვლელთან. აწერია „ბათუმი“, აღმართულია ძალიან მაღალი სვეტი აფრიალებული დროშით, თიბქოს და გამოხატავს ლტოლვას კოსმოსში ასაპრელად... ვტოვებთ სახელოსნოს და ვემშვიდობები ქალბატონს.

**მინაწერი:** მიხეილი გარდაცვლილა 1977 წელს. 25 ნოემბრის ვახეთ „საპუოთა აჰარაში“ გამოქვეყნებულია ნეკროლოგი, სადაც მოკლედ მითხრობილია მის ცხოვრებასა და მოღვაწეობაზე. დარჩა ორი შვილი. ვაჟი — თენგიზი ერთ-ერთ სამშენებლო ორგანიზაციაში მუშაობს. ციური გათხოვილია და ცხოვრობს ბათუმში. ქალბატონი ქეთევანი ბედნიერი ქალია — ჰყავს შვილიშვილები...

როგორც ზემოთ ვთქვე, მიხეილ ჩარგეიშვილს მეგობრული ურთიერთობა ჰქონდა ბათუმში მოღვაწე მწერლებთან და პოეტებთან. რომელი მათგანის წიგნს არ ამშვენებს მისი ნახელავი! ჩვენს მწერალთა კავშირში ინახება ალბომი „ლიტერატურული აჰარა“, რომელიც მოამზადა მიხეილ ჩარგეიშვილმა აჰარის ლიტერატურისა და ხელოვნების დეკადისათვის. იგი თბილისში, დეკადის დღეებში იყო გამოფენილი მარჯანიშვილის თეატრის შენობაში სხვა მასალებთან ერთად და მნახველთა მოწონებას იმსახურებდა. მას ძალიან უყვარდა ქართული ჩუქურთმები და ორნამენტები... და ჩვენი წიგნები ამ საუნჯეთაა უკამაჩებელი. ალბომში ოროცზე მეტი წიგნის ილუსტრაციაა მოცემული და უმრავლესობის ავტორი თვითონაა. თითოეული წიგნის მხატვრულ გაფორმებაზე ღირს ლაპარაკი.

ამასთან დაკავშირებით მინდა გავხსენო ერთი ფაქტი: კარგად ვიცნობდი თბილისის ერთ-ერთი ბიბლიოთეკის გამგეს და როცა დედაქალაქში ვიყავი, ვინახულებდი ხოლმე ბიბლიოთეკის გამგემ მითხრა: ჩვენი კარგი მეგობარი ხარ და სამასხოვროდ გაჩუქებ, რომელი წიგნიც გნებავს, შენ აარჩიე. მე კარადები დავათვალიერე და ხელთ მომყვა ნესტორ მალაზონიას პოემა „გულიზარი“, რომლის მხატვარი შ. ჩარგეიშვილია. ეს პოემა მიყვარდა, იგი ჩვენი უფროსი მეგობრის შემოქმედების შესანიშნავ საუნჯედ მიმაჩნდა... და ამ წიგნს დავავლე ხელი. მაჩუქა წარწერით. უკანასკნელი ანბანი „რ“ მხატვარს ოსტატურად გამოუყენებია და აქედან რკალივით აზრდილია ტოტი ბოლოში ფოთლებით... და ეს კარგად გამოხატავს პოემის დედაარსს. აქ ხომ ახალი ცხოვრების დამკვიდრებისათვის სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლაა, იფურჩქნება ახალი კვირტები, ასპარეზზე ჩნდებიან ახალი მებრძოლი ადამიანები.

**მინაწერი:** ჩვენი მწერალთა კავშირის ახლოს, პიონერთა პარკის ბოლოში, ენგელისა და ნინოშვილის ქუჩების კუთხეში, აღმართულია ქვის კედელი სარკმლებით. წყლის წვრილი ტოტები რომ ჩაიწოკრიდებენ. იქვე წყაროცაა... რამდენი გაპვლელი



მგზავრი ეწაფება ამ წყაროს, განსაკუთრებით ზაფხულობით, როცა პაპანაქებზე ვეღარ  
 გააკეთა ეს? — დაგებადება კითხვა. პიონერთა პარკის ყველა თანაშრომელმა მხარე  
 ვინ იყო მისი გამკეთებელი... და მეც ვიცი, აი, რას გეტყვით პარკის დირექტორი  
 რევაზ ბოლქვაძე: — ამას ჰქვია „ხელოვნური მღვიმე“, ან „გადასასვლელი ხიდი“. იგი  
 უსასყიდლოდ გააკეთა ჩვენი ქალაქის მკვიდრმა მხატვარმა მიხეილ ჩარგეიშვილმა.  
 ქვები თვითონ მოაზიდვინა და ავითონვე გააკეთა. აქ ბავშვები თავს იყრიან და იღე-  
 ბენ სურათებს. ნორჩების დასასვენებელი ადგილია, პიონერთა პარკს უქმნის ლამაზ  
 კუთხეს. ჩვენს პარკში ხშირად გაიგონებ: „მხატვრის მღვიმესთან“ წავიდეთ; იქ ჩრდი-  
 ლიცაა და ცივი წყაროც“. ზოგი კიდევ „ჩარგეიშვილის სავანეს“ უწოდებს... და ასე  
 ცოცხლობს მისი სახელი.

...და მე მაგონდება ვაჟა-ფშაველას ნოველა „ხმელი წიფელი“. განმა წიფელი  
 ტყეში და გაიძარცვა პირველყოფილი სილამაზისაგან, ამიტომაც აინუნშიაც აღარ ავ-  
 დებენ ხმელ წიფელს მწვანე ტოტებით მოშრილუე ხეები, თაკილობენ კიდევაც, რატომ  
 დგას ჩვენს შორის და მიდამოს აუშნობსო, მაგრამ ვაჟა დასძენს: „არ იციან, რომ  
 ხმელი წიფელი იმათზე კარგად იხსენიება, და არიან, იბოგებიან ისეთნი კაცნი, რომე-  
 ლთაც მოსწონთ და უყვართ უბედურებაში ჩაგარდნილი ხმელი წიფელი, — სოფელში  
 დღეში სამჯერ მაინც მოიგონებენ „ხმელ წიფელს“. დიახ. ასხენებენ ხმელ წიფელს, რის  
 გამო და რის გამო. ბოლოს ბრძნულად დასძენს ვაჟა:

განა ყველა რაც ხმელია,  
 კაცისგან საწუნარია?!  
 ათას ცოცხალსა ბევრჯერა  
 ათჯერ სჯობს ერთი მკვდარია.

დადი მგონის ეს სიტყვები მომავონა მხატვარ ჩარგეიშვილის იმ პატარა, უჩინარმა  
 დეაწლმა, ჩვენს ქალაქს რომ დასდო. „გადასასვლელი მღვიმე“, ანუ „მხატვრის სავანე“  
 ამის დასტურია. ეს პატარა ძეგლიც კი საკმარისია ვთქვათ: თუკი ჰეშმარიტი მამული-  
 შვილი ხარ, შენც გაიღე პატარა წილი შენი ქალაქის დასამშვენებლად და შენც მოგი-  
 გონებენ ისე, როგორც სოფელი იგონებდა ხმელ წიფელს!



ამირან ზემკვაშიძე

## ვინ იყვნენ კუტაისოვები?

ივანე ქუთაისოვს ჯერ კიდევ ბავშვობის წლებში პატარა თურქს ეძახდნენ. იგი გენერალ ტოტლებენის რუსმა ჯარისკაცებში ხელთ იგდეს ქუთაისში თურქების განადგურების დროს უქიმერაონის ციხე-სიმაგრეში, სადაც პაპამისი ოსმალთა სამსახურში ყოფილა, მაჰმადიანობა მიუღია და ძველი ქართული სახელის — სიმონის ნაცვლად, ხასანადა დაურქვემს.

იმის გამო, რომ ბიჭუნამ, ქართულის გარდა, სხვა ენა არ იცოდა, ვერ გაიგეს ვერც მისი გვარი და ვერც წარმომავლობა. პირველ ხანებში მას თურქს ეძახდნენ, შემდეგ ივანე შეარქვეს და ვინაიდან ქუთაისიდან იყო, გვარად კუტაისოვი მისცეს. როცა გენერალ ტოტლებენის ჯარის ნაწილები სამშობლოში დაბრუნდნენ, ივანე კუტაისოვი სანკტ-პეტერბურგში მოხვდა, სადაც მან ყურადღება მიიქცია. ბევრს უნდოდა იგი თავისთან წაეყვანა, მაგრამ ბიჭი თვალში მოუვიდა თვით იმპერატრიცა ეკატერინეს, რომელიც განაცვიფრა ყმაწვილის არჩვეულებრივმა გარეგნობამ. შავ-ვერემან ყმაწვილს განსაკუთრებით ლამაზი თვალები ჰქონდა. როცა კუტაისოვი დავაჟკაცდა, იგი მეფისწულმა პავლემ დაიხლოვა. მომავალი წელშივე კუტაისოვის კბილა იყო. რაკი იცოდა მეფისწულის მისადმი კეთილი განწყობილება, დიდი მთავარი რომ ესაიამოვნებინა, ივანე კუტაისოვმა მამის სახელად პავლე გაიკეთა. ამით გულაჩუყებულმა პავლემ დედამისს — ეკატერინეს სთხოვა, კუტაისოვი დამითმოე. საიამოვნებით აღსრულეს წადილი. დიდი მთავარი პავლე გახდა კუტაისოვის მფარველი. მალე პავლემ იგი პარიზში გაგზავნა კამერდინერის სამსახურის შესასწავლად.

პარიზში კუტაისოვმა სწავლაში დიდი გულმოდგინება გამოიჩინა. პეტერბურგში დაბრუნების შემდეგ პავლეს უახლოესი ადამიანი გახდა. იმპერატორი მტკიცედ იყო დარწმუნებული მსახურის ერთგულებაში... პავლეს ეშინოდა, არ მომკლანო. ამიტომ დაძინების წინ პირადად ამოწმებდა სასახლის ყარაულს და მხოლოდ ამის შემდეგ მიდიოდა დასაძინებლად.

მტკიცედ დარწმუნდა რა კუტაისოვის ერთგულებაში, პავლემ მას სრული ნდობა გამოუცხადა. კუტაისოვი მეტად საზრიანი და გონებაგახსნილი ადამიანი იყო; ადიოლად სწვდებოდა თავისი მონარქის როგორც სუსტ, ასევე ჭირვეული ხასიათის სხვა მხარეებს. ადრე დაწინაურდა და სულ მალე ყველაზე გავლენიანი პირი გახდა მეფის კარზე. პავლემ იგი მდიდარ გრაფინიაზე დააქორწინა, აღაზრდა გრაფის ღირსებაში. მან მალე მიიღო პოდმაისტერის ტიტულიც, ხოლო როცა პავლე 1798 წელს მალტის ორდენის გროსმაისტერი გახდა, კუტაისოვს იმავე ორდენის ობერ-შტალმაისტერობა უბოძა. 1797 წლის აპრილში, პავლეს მეფედ კურთხევის დროს, იმპერატორს, ივანე კუტაისოვი დააფიქსა. მაგრამ პავლეს უახლოესი ჯარისკაცი და მეგობარი ჯილდოს მიუღებლობით

განაწყენებული რომ არ გამოჩენილიყო, თვითონ გამოიგონა თავისთვის ახალი ორდენი — ბრილიანტის ვასალები დიდიკოლოზე დასაბნევეად. პავლემ თვალი ჰკიდა და ისე გაეცინა, რომ თვალბეჭეში ცრემლი მოადგა... და კუტაისოვმაც დაიმსახურა ცისფერი ლენტი ანას ორდენთან ერთად, შემდეგ კი პავლემ სეტყვასავით დააყარა თავის უახლოეს კარისკაცს მრავალი ორდენი, ტიტული და ბევრი სხვა სიკეთე. ალექსანდრე პირველის მეფობის დროს იგი სენატორი გახდა.

განსაკუთრებით აღსანიშნავია ივანე პავლეს ძე კუტაისოვის ვაჟიშვილი ალექსანდრე, რომელმაც მცირე როლი როდი შეასრულა რუსეთის არტილერიის განვითარებაში. მან გამოიბოძა და ღიდი უნარი გამოიჩინა ბრძოლებში, როგორც საარტილერიო ძალების შენაერთების უფროსმა. რუსეთის სამამულო ომის პერიოდში გენერალ-მაიორი ალექსანდრე ივანეს ძე კუტაისოვი რუსეთის პირველი არმიის არტილერიის სარდალი იყო.

1807 წელს გამოქვეყნდა ა. ი. ხატოვის წიგნი „ტაქტიკის ზოგადი ცდა“, რომელიც ორი ნაწილისაგან შედგება: „დაწყებითი ტაქტიკის ცდა“ და „უმაღლესი ტაქტიკის ცდა“. ამ წიგნის ზოგიერთი დებულება შემდგომში ახალ წესდებებსა და დადგენილებებში გამოიყენეს.

ყურადღებას იპყრობს ავტორის აზრები ბრძოლებში არტილერიის უფრო ეფექტურად გამოყენების შესახებ. ამ აზრებს შემდგომში განავითარებს 1812 წელს რუსეთის არმიის არტილერიის უფროსი, გენერალი ა. ი. კუტაისოვი. ნაშრომში „ზოგიერთი წესები არტილერიისათვის სავლე ბრძოლების დროს“ იგი წერს: „არტილერია გაბედულად უნდა მოქმედებდეს, ყურადღება არ მიაქციოს იმას, აქვს თუ არა დაცვა და თავისი ქვემეხები მანამ არ დატოვოს, სანამ შტერი მის ბატარეებს არ შეუტევს, რადგან უკანასკნელი გასროლა მას ყველაზე დიდ ზიანს მიაყენებს. თავის ღირსებად უნდა მიიჩნდეს არა ქვემეხების შენარჩუნება, არამედ რაც შეიძლება უფრო მეტად და გაბედულად გამოიყენოს ისინი“.

ნიკეირმა რუსმა არტილერისტმა ა. ი. კუტაისოვმა ამ დოკუმენტში განაზოგადა წინა ომების საბრძოლო გნობილილება. ხაზური ტაქტიკის დებულებების საწინააღმდეგოდ, მან ბევრი ახალი რამ შეიტანა რუსული არტილერიის მოქმედების ხასიათში, განსაზღვრა მისი როლი და ადგილი ბრძოლის მხედველობასთან კავშირში, სხვა გვარობის ჯარებთან უშუალო თანამოქმედებაში, რაც ხაზგასმულია 1979 წელს მოსკოვში გამოცემულ წიგნში „რუსეთის არმია 1812 წელს“.

ალექსანდრე კუტაისოვს რუსეთის შეიარაღებული ძალების ამომავალ მზეს ეძახდნენ. ბოროდინოს ბრძოლაში, რაევსკის ბატარეებზე ფრანგების მეორე იერიშის დროს, როცა ა. პ. ერმოლოვმა ა. კუტაისოვთან ერთად კონტრიერიში წამოიწყა, 28 წლის გენერალი ალექსანდრე კუტაისოვი გამირულად დაიღუპა. ა. ერმოლოვი მის შესახებ წერდა: „არა მხოლოდ მახლობლებისთვისაა სამწუხარო მისი დაღუპვა; მას, სასარგებლო უნარით დაჯილდოებულს, შეეძლო მომავალში დიდი სამსახური გაეწია სამშობლოსთვის“.

ალექსანდრე კუტაისოვის სახელი ოქროს ასოებით ჩაიწერა რუსეთის არტილერიის ისტორიაში.

მამა-შვილის — ივანე პავლეს ძე და ალექსანდრე ივანეს ძე კუტაისოვების შესახებ ბევრია დაწერილი. მაგრამ ყველა წყაროში ისინი თურქებად არიან მოხსენიებულნი, მათ შორის შარშან მოსკოვში გამოცემულ შესანიშნავ ფერად ალბომში „ბოროდინოს პანორამა“.

კუტაისოვების წარმომავლობის საიდუმლოებას ფარდა აეხადა მას შემდეგ, რაც ქუთაისში ბაგრატიის ტაძრის ეზოში თურქული წარწერიანი ლოდი აღმოჩნდა. ძალიან დაინტერესდნენ აღმოჩენით, ქვაზე უცნობი წარწერის წაკითხვით, „მაგრამ არავის



უკითხავს აღმოჩენი, — წერს მიხეილ ალავეძე, — არავის უკითხავს, ვინ იპოვედა შეინახა წარწერიანი ლოდი ტაძრის სამრეკლოში. ბაგრატის ტაძრის ეზოში თავმოყრილი ჩუქურთმოვანი ქვები პეტრე ჭაბუკიანის მზრუნველობას მიეწერება. წარწერიანი ლოდი მანვე აღმოაჩინა და დაიცვა“.

ეს მოხდა 1939 წელს, მაგრამ ლოდზე გაკეთებული წარწერის შინაარსი გამოუქველევია დარჩა. ეს ფაქტი აღნიშნა პეტრე ჭაბუკიანისა და გიორგი ლეონიძის საუბარში. (იხ. გვ. „ქუთაისი“, 1964 წ. 27 დეკემბერი, № 255).

1972 წელს აკადემიკოსი სერგი ჯიქია გელათში გამართულ სამეცნიერო სესიაში მონაწილეობდა, უქიმირონზეც ასულა და თურქული წარწერიანი ლოდი უჩვენებდა. ცოტა ხნის შემდეგ სერგი ჯიქიამ ბაგრატის ტაძრის ეზოში აღმოჩენილი წარწერა ამოიკითხა და თურქულიდან ქართულ ენაზე თარგმნა. წარწერის შინაარსი ვეამცნობს, რომ ვიღაც ხასან-ალა კიციანს ქუთაისის ციხეში, სადაც ოსმალთა ჯარი იდგა, წყალი გამოუყვანია და ამიტომ მისი ეს საქველმოქმედო საქმე შექებულია.

თანხმად არსებული დოკუმენტებისა (ქუთაისის მუზეუმი), ხასან-ალა კიციანს ქრისტიანული სახელი ყოფილა „სიმონი“. მიხეილ ალავეძე ვეამცნობს, რომ მან მოიპოვა ახალი ცნობა სევანური წარმოშობის გეარსახელ კიციანზე და რომ კიციანები ამჟამადაც ცხოვრობენ დაბა ჩხოროწყუში. ქვედა ჩხოროწყუს ერთ უბანს საკიციანე ეწოდება. ამრიგად, როგორც აკადემიკოსმა სერგი ჯიქიამ, აგრეთვე სხვა ქართველმა მეცნიერებმა დაადგინეს, გვარსახელი „კუტაისოვი“ ქუთაისელ ქართველ კიციანს გულისხმობს. ამის შემდეგ, — წერს მიხეილ ალავეძე, — „დღე საბჭოთა ენციკლოპედიაში“ (გამოცემა II, ტ. 24, მოსკოვი, 1953 წელი, გვ. 142). სათანადო ადგილი ორივე კუტაისოვზე“ (სადაც იკითხება ეროვნებით თურქი) უნდა გასწორდეს და შეივსოს ასე: ეროვნებით (წარმოშობით) ქართველი, გვარად კიციანი“. (ეურნალი „ქორთხი“, № 6, გვ. 71, 1980 წ.).

ჩვენც ვუერთდებით მიხეილ ალავეძის სამართლიან მოთხოვნას.

## გენერალისიმუსი სუვოროვი და გენერალი ბაბრატიონი

შესრულდა ალექსანდრე ვასილის ძე სუვოროვის დაბადების 255 წელი.

ალექსანდრე ვასილის ძე სუვოროვის დაბადების 225 წლისთავი ფართოდ აღნიშნეს საბჭოთა შეიარაღებული ძალების მეომრებმა და მთელმა საბჭოთა ხალხმა.

მომავალი გენერალისიმუსის მამას სურდა შვილი სამოქალაქო მოღვაწეობისათვის მოემზადებინა, მაგრამ შემთხვევამ მისი მომავალი სხვა გზით წარმართა. ამაში გადამწყვეტი როლი შეასრულა ალექსანდრეს მამის მეგობარმა გენერალმა ჰანიბალმა, რომელიც პუშკინმა უკვდავყო „პეტრე დიდის ზანგის“ სახელით. ალექსანდრე თორმეტი წლისა იყო, როცა მამამისმა, არსებული წესის მიხედვით, სემონოვსკის გვარდულ პოლკში ჩაწერა ჯარისკაცად, მაგრამ მომავალმა მხედართმთავარმა ნამდვილი სამხედრო სამსახური მაშინ დაიწყო, როცა კაპრალის ჩინით გამოცხადდა თავის პოლკში 1748 წელს. ამ დღიდან მოკიდებული, ალექსანდრე სუვოროვმა 50 წელიწადი დაჰყო რუსეთის არმიის რიგებში.

XVIII საუკუნის შუა ხანებში ევროპის თითქმის ყველა არმიის მნიშვნელოვან ნაწილს უცხოელი დაქირავებული ჯარისკაცები შეადგენდნენ. ამ მხრივ მხოლოდ რუსეთის არმია გამოირჩეოდა, რომელიც ერთგვაროვანი იყო თავისი ეროვნული რიგითი შემადგენლობით, რუსებთან ერთად იყვნენ აგრეთვე წარმომადგენლები უკრაინელი,

ბელორუსი, ქართველი, ბაშკირი, თათარი, მორდველი, ჩუვაში და სხვა ხალხებისა, რომლებმაც თავიანთი ბედი სამუდამოდ დაუკავშირეს დიდ რუს ხალხს და მისი სახელი შეიძინეს საიძედო მეგობარი, ძოკავშირე და მფარველი საერთო მტრის წინააღმდეგ ბრძოლაში.

რუსეთის არმიის ერთ-ერთი ყველაზე გამოჩენილი მხედართმთავარი იყო სამხედრო მეცნიერების ტიტანი ალექსანდრე სუვოროვი, რომლის სახელი განსაკუთრებული ელვარებით ბრწყინავს რუსი ხალხის დიდებულ წინაპართა პლეადაში.

სუვოროვი უდიდესი სულიერი კულტურის ადამიანი იყო. მისი ერთ-ერთი ბიოგრაფი სწორად შენიშნავს, სუვოროვი, რომელიც მარსს ემსახურებოდა, მუდამ იყო აპოლონის მსახური, თუმცა თვითონ სუვოროვი მეტად კრიტიკულად ეკიდებოდა თავის პოეტურ ნიქს. ჭეშმარიტ პოეზიას შთაგონება შობს, — ამბობდა იგი, — მე კი უბრალოდ ვაწყობ რითმებს.

პოეტი და მწერალი, ფილოსოფი და დიპლომატი, სამხედრო ხელმძღვანელი და უძლეველი მხედართმთავარი, — ასეთია სუვოროვი, რუსი ხალხის სახელოვანი შვილი. •გი ზედმიწევნით იცნობდა ძველ და ახალ ლიტერატურას, ფილოსოფიას, ისტორიას, გეოგრაფიას, ფორტიფიკაციასა და სამხედრო-საზღვაო მეცნიერებას. მან კარგად იცოდა იტალიური, ფრანგული, გერმანული, სპარსული, პოლონური, არაბული და თურქული ენები.

ალექსანდრე სუვოროვი სამშობლოს მგზნებარე პატრიოტი იყო და მის ინტერესებს ყველაფერზე მაღლა აყენებდა. „თავმოყვარეობა, რასაც ყველაზე ხშირად წამიერი გატაცება ბადებს, არ წარმართავდა ჩემს მოქმედებას და მე ვივიწყებდი საკუთარ თავს, როცა საქმე ეხებოდა სამშობლოს სარგებლობას“. — ამბობდა იგი. ამასთან ხშირად იმეორებდა ხოლმე; ვამაყობ, რომ რუსი ვარო.

სუვოროვს მხურვალედ უყვარდა რუსი ჯარისკაცები და მათ „საკვირველ დევგმირებს“ უწოდებდა ხოლმე. თავის მხრივ რუსი ჯარისკაცები საყვარელ მხედართმთავარს მამას ეძახდნენ.

სუვოროვს ღრმად სწამდა რუსი ხალხის უძლეველი სული. იგი მკაცრი, მომთხონი მეთაური იყო, მაგრამ ამასთან მეტად ჰუმანურიც. „სიმკაცრესთან ერთად საკვირთა შეწყალება. სხვა მხრივ სიმკაცრე ტირანობაა“ — იტყოდა ხოლმე იგი. სუვოროვის „გამარჯვების მეცნიერებაში“ ნათქვამია, თუ მტერი დაგნებდა, შეიწყალო. სუვოროვი ბუნებით კეთილი ადამიანი იყო. „მე სისხლის ნაკადულები მიღვრია, — თქვა მან ერთხელ, — და ეს მაძრწუნებს, მაგრამ მიყვარს ჩემი მოყვასი. არაეინ არ გამიუბედურებია, ხელი არ მომიწვრია არცერთ სასაკვდილო განაჩენზე“.

ფრიად ამალეღვებელი და სანიმუშოა სუვოროვისა და რუსეთის ლეგენდარული მხედართმთავრის პეტრე ბაგრატიონის მეგობრობა. დიდი მასწავლებლის ეს მეგობრობა თავის ღირსეულ მოსწავლესთან სიმბოლოა რუსი და ქართველი ხალხების საუკუნოვანი ძმობისა. სუვოროვმა ბაგრატიონს მიანდო ინიციატივის უფლება და ერთ-ერთ საველე ბარათში მისწერა: „სხვას არაეინს შეუძლია ისე შეასრულოს საწადელი, როგორც თქვენს ბრწყინვალეობას... ყველაფერს ვანდობ თქვენს გონიერ მოქმედებას“.

ბაგრატიონი სუვოროვის სამხედრო ტრადიციების საუკეთესო განმგრძობი იყო. „გენერალი სახედ და მსგავსად სუვოროვისა“, ამბობდნენ მასზე.

„ჩემი ბაგრატიონი, — შენიშნავდა სუვოროვი, — გულოვანია, მარჯვე, მამაცი და ბედიც წყალობს“.

ბაგრატიონის სახელი მუდამ უდიდესი პოპულარობითა და სიყვარულით სარგებლობდა რუს ხალხში.

სამხედრო აკადემია ბაგრატიონმა დიდი ბრძოლების ველზე განვლო. „გამარჯვე-

ბის მეცნიერებას“ თვითონ მისი შემქმნელის — სუვოროვის ხელმძღვანელობით წყვე-  
ლობდა. იტალიაში გალაშქრებისა და ალპების ლეგენდარულ გადალახვის დროს  
დათოთხმეტი წლის ბაგრატიონი სუვოროვის მარჯვენა ხელი იყო. იტალიასა და შვეი-  
ცარიაში რუსთა ჯარების საარაკო გალაშქრებამ მსოფლიო გააოცა; ფელდმარშალმა  
სუვოროვმა გენერალისიმუსის მაღალი წოდება მიიღო. ბაგრატიონს წმინდა ანას ორ-  
დენის კავალრობა ებოძა. ლეკოს აღებისათვის ბაგრატიონმა მიიღო იოანე იერუსალი-  
მელის, ანუ მალტის ჯვარი, მარენგოსთან ფრანგთა დამარცხებისათვის კი ალექსანდრე  
ნეველის ორდენი. ამ დიდი ლაშქრობის შემდეგ სუვოროვის არმია სამშობლოსაკენ  
გამოემართა. ჭაღარა გენერალისიმუსს და ახალგაზრდა გირსს, სახელგანთქმულ გენე-  
რალ ბაგრატიონს სიყვარულითა და პატივისცემით ელოდა მთელი რუსეთი. ყველამ  
იცოდა, რომ სუვოროვის შესვლა პეტერბურგში დიდი ზემოთ უნდა აღენიშნათ. მაგ-  
რამ იმპერატორმა პავლემ სრულიად მოულოდნელად შეცვალა თავისი დამოკიდებულე-  
ბა. სუვოროვისადმი. თუ აღრე მისი გამარჯვებებით მოხიზლულს უთქვამს: მე ის გენე-  
რალისიმუსის წოდებით შევამკე, რაც სხვებისთვის ბევრია, მისთვის კი ცოტაო, შემდეგ  
შიზოფრენიით შეპყრობილმა იმპერატორმა დიდი მხედართმთავარი იმის ღირსიც კი  
არ გახადა, რომ პეტერბურგში შესაფერი ზემოთ თუ აბა, დამნაშავესავით მაინც არ  
შესულიყო.

სუვოროვი 1800 წლის 6 მაისს გარდაიცვალა პეტერბურგში. იმპერატორ პავლეს  
ბრძანებით გენერალისიმუსი ალექსანდრე ნეველის ლავრაში დაკრძალეს 12 მაისს.  
თითქმის მთელი პეტერბურგი მონაწილეობდა სამკლოვიარო პროცესიაში. არ იყო  
მხოლოდ იმპერატორი, მისი კარისკაცები და დიდებულები.

როცა ნეშტი საფლავში ჩაუშვეს და მიწყნარდა თოფებისა და ქვემეხების სალუ-  
ტი, ლავრაში სულ რამდენიმე კაცი დარჩა. ესენი იყვნენ სუვოროვის ახლობელი ადა-  
მიანები, რომელთა შორის პეტრე ბაგრატიონი, სუვოროვის ნაჩუქარ ხმალზე დაყრდ-  
ნობილი, თვალცრემლიანი დასცქეროდა საფლავს, რომელსაც მარმარილოს დიდი ფილა  
დააფარეს, მასზე ჯერ არაფერი ეწერა. ბაგრატიონმა არცერთი ეპიტაფია არ მიიჩნაა  
სუვოროვის შესაფერად, რადგან გაახსენდა მისი სიტყვები, თქმული ავსტრიის გენერალი-  
სიმუსის ლაუდონის საფლავთან ძალიან გრძელი ეპიტაფიის ვაშო: „რა საჭიროა ეს?  
როცა მე დამსაფლავებენ, უბრალოდ დააწერონ: „აქ წევს სუვოროვი“... ასეც დაა-  
წერეს.

განუზომელია სუვოროვის დამსახურება. რუსეთის წინაშე. მისი სახელი საუკუნე-  
ებს გასცდება. საბჭოთა ხალხის დიდი სამამულო ომის მრისხანე დღეებში — 1942 წელს  
სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა დააწესა სუვოროვის სამი ხარისხის  
ორდენი.

სუვოროვის სახელთანაა დაკავშირებული საბჭოთა არმიის მომავალი მეთაურების  
იღვრდაც. პარტიისა და შთავრობის დადგენილებით ჩვენს ქვეყანაში დაარსებულია  
სუვოროვის სახენდრო სასწავლებლები. ყოველივე ეს ერთხელ კიდევ მოწმობს, თუ  
როგორ დიდად აფასებს საბჭოთა არმია სუვოროვის სახენდრო ტრადიციებს. დიდი სა-  
მამულო ომის დროს სუვოროვის სახელს არქმევდნენ პარტიზანულ რაზმებს, სახენდ-  
რო საზღვაო ფლოტის ზომალდებს, ტანკებსა და თვითმფრინავებს.

ლენინგრადის ბლოკადის დროს თავდაცვის მოწინავე ხაზზე მიმავალი საბჭოთა  
არმიის ნაწილები ყვაილებით ამოვდნენ სუვოროვის საფლავს და ფიცს დებდნენ,  
რომ თავდადებით იბრძოლებდნენ ლენინის სახელოვანი ქალაქისათვის, საყვარელი  
სოციალისტური სამშობლოსათვის...

## საბერძნეთის არმიის ქართველი ვოლონტიორები

საბერძნეთ-ოსმალეთის 1897 წლის ომის საბაზი ვახდა თურქების მიერ კანეში კრეტელი ქრისტიანების გაროზგვა, რამაც კუნძულის ბერძენი მოსახლეობის აღშფოთება და აჯანყება გამოიწვია. საბერძნეთმა გადაწყვიტა დახმარებოდა თანამემამულეებს და კუნძულ კრეტის შემოერთებით საბოლოოდ მოგვევარებინა ქვეყნის ტერიტორიული გამთლიანების საკითხი. 1897 წლის მარტში საბერძნეთის ესკადრა მეფის ძის გიორგის მეთაურობით გაეშურა კრეტისკენ და კუნძულზე გადასხა რაზმი პოლკოვნიკ ვასოსის ხელმძღვანელობით. მალე თესალიისკენ დაიძრა სახმელეთო ჯარებიც მეფის მეორე ძის კონსტანტინეს წინამძღოლობით. ასეთ ვითარებაში 1897 წლის 5 აპრილს საბერძნეთსა და ოსმალეთს შორის კიდევ გაჩაღდა ომი.

საბერძნეთი იმედს ამყარებდა ოსმალეთის წინააღმდეგ მაკედონელების აჯანყებაზე, გეგმავდა თავის მხარეზე რუმინეთის, სერბიისა და ბულგარეთის გამოსვლას, რაც მთავარია, ევროპის დიდი სახელმწიფოების (რუსეთი, ინგლისი) მხარდაჭერას. ყოველივე ეს, აგრეთვე „აეადმყოფი ადამიანის“ ანუ ოსმალეთის სოციალ-ეკონომიკური ცხოვრების ჩამორჩენილობა საბერძნეთს წარმატების იმედს უნერგავდა, მაგრამ ვარაუდი არ გაუმართლდა. ბალკანეთის სახელმწიფოები ვერ მიეშველნენ მას აქტიურად, ხოლო რუსეთმა და ინგლისმა პასიურობა გამოიჩინეს. ამით ისარგებლა ოსმალეთმა, დაეუფლა ომში ინიციატივას და გაამარჯვა. იმავე წლის 4 დეკემბერს გაფორმდა ზავი, რომელიც მძიმე დარჩა საბერძნეთისათვის. მის მოწინააღმდეგისათვის უნდა გადაეხადა დიდი კონტრიბუცია (40 მილიონი მანეთი).<sup>2</sup> სანაცვლოდ ოსმალეთი დათანხმდა კრეტისათვის თვითმმართველობის სტატუსის მინიჭებას, თუმცა აუქმებდა საკუთარ ტერიტორიაზე მცხოვრები ბერძენებისათვის დრე მიცემულ პრივილეგიებს.<sup>3</sup>

საბერძნეთ-ოსმალეთის ომს ფართოდ გამოეხმაურა ქართული პრესა („ივერია“, „ევალი“, „მოამბე“, „ცნობის ფურცელი“). მე-19 საუკუნის დამლევს არ ყოფილა ევროპასა და, საერთოდ, მსოფლიოში რაიმე მოვლენა, რომელსაც იგი არ შეეხებოდა. ასეთი ინტერესი მსოფლიო ისტორიისადმი, კერძოდ, ჩაგრულ ხალხთა ომებისადმი, არ ყოფილა შემთხვევითი. აცნობდა რა ქართველ საზოგადოებას მსოფლიოს სხვადასხვა ხალხთა ბრძოლას პროგრესისათვის, ამით დემოკრატიული პრესა გარკვეულად აჩქარებდა ცარიზმის წინააღმდეგ საქართველოში მიმდინარე ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის აღმავლობასაც. ამითაც უნდა აიხსნებოდეს მე-19-20 საუკუნეების მიჯნაზე ქართველთა მონაწილეობა ბურების, ბერძენებისა და მსოფლიოს სხვა ხალხთა სამართლიან ომებში.

საბერძნეთ-ოსმალეთის ომის შესახებ ინფორმაციებს ქართული პრესა ძირითადად რუსული, აგრეთვე ევროპული გაზეთებიდან კრებდა. ამასთან ზოგიერთი მასალა უშუალოდ მეომარი ქვეყნებიდანაა მიღებული. საქმე ისაა, რომ მაშინ კონსტანტინოპოლში ცხოვრობდა მრავალი თანამემამულე, რომლებიც ქართული გაზეთების რედაქციებს პერიოდულად აწვდიდნენ ცნობებს ომის შესახებ. საერთოდ, ომზე ვრცელი წერილების ავ-

კორები არიან ცნობილი მწერლები, პუბლიცისტები და საზოგადო მოღვაწეები: გიორგი წერეთელი („მაზაკვალ“), ნიკო ნიკოლაძე,<sup>4</sup> იოსებ მეხუშლა („იასე რაჰველი“) და სხვ. აქვე უნდა დავასახელოთ ილია ჭავჭავაძეც. ცნობილია, რომ მისი რედაქტორობით გამოქვეყნდა მავალ ყოველდღიურ გაზეთ „ივერიაში“ საერთაშორისო ცხოვრების შესახებ ხელმოწერილად დაბეჭდილი სტატიები, ცნობილი მკვლევარის აველე ინგოროყვას შენიშვნით, უშუალოდ ილიას კალამს ეკუთვნოდა.<sup>5</sup> ასე რომ, საბერძნეთ-ოსმალეთის ომზეც გაზეთში ასევე უაგტოროდ გამოქვეყნებული მასალა ი. ჭავჭავაძის დაწერილია. მართლაც ამ სტატიების ნაწილი შეხულია მის თხზულებათა კრებულშიც.<sup>6</sup>

ქართულმა პრესამ ძირითადად სწორად გაარკვია საბერძნეთ-ოსმალეთის ომის წარმოშობის მიზეზი. ეუბნ. „მოამბე“ წერდა, რომ „კრეტელი ბერძნები აუჯანყდნენ ოსმალს და საბერძნეთთან შეერთების სურვილი გამოაცხადეს“. მაშინ „საბერძნეთმა... მოამბეთა დახმარება მოინდომა“,<sup>7</sup> რასაც მოჰყვა კიდეც ომი. პრესის ერთსულოვანი შეფასებით, ეს ომი საბერძნეთის მხრივ იყო სამართლიანი, რადგან საქმე ეხებოდა „სამშობლოს ერთიანობისათვის ბრძოლას“. თუ ადრე, 1821-29 წლებში, „ბერძნებს სურდათ თავიანთი სამშობლოს ოსმალთა მფლობელობისაგან განთავისუფლება“, ახლა ცდილობენ „საბერძნეთს შემოუერთონ ის ადგილები, რომლებიც ჯერ კიდევ ოსმალეთის მონობის ქვეშ არის“.<sup>8</sup>

გაზეთები ვრცლად აღწერდნენ იმ პატრიოტულ აღტკინებას, რაც ომის დაწყებამ ბერძნებში გამოიწვია. ვახ. „ივერია“ 22 მარტს აღნიშნავდა: „ხალხისაგან დიდძალი შემოწირულება მოსდის მთავრობას, როგორც ჯარის შესაათფიარებლად, ისე კრეტელ მეამბოხეთა დასახმარებლად... თუ საჭიროება მოითხოვს, ყველა ბერძენი წლოვანებისა და წოდების განუჩივრებლად, საერთო საქმისათვის ბრძოლის ველზე გამოვა“.<sup>9</sup>

ოსმალეთის წინააღმდეგ ომს გამოეხმაურნენ რუსეთსა და საქართველოში მცხოვრები ბერძნებიც. 5 მარტს ვახ. „ივერია“ იუწყებოდა: „საბერძნეთის მთავრობამ რუსეთში მეოფე ყველა თავის ქვეშევრდომს, რომელთაც წლოვანება ჯარში გასვლის ნება აძლევს, ბრძოლისაკენ მოუწოდა და ეს მოუწოდება მათ დიდის ალტაცებით მიიღეს“.<sup>10</sup> კორესპონდენციაში „სამშობლოსათვის თავგანწირული ქალი“ ვახ. „ეკალი“ აღწერს ფრონტზე „ბერძენთა უნა და რკის“ — ელენე კონსტანტინიდის მამაცობას. თურმე „ჩვიდმეტი წლის ახალგაზრდა მეომარი თაოსნობს სამი ათას თავგანწირულ ბერძენს. ის არის თბილისელი ბერძენი კბილის ექიმის ასული, რომელიც ამ ცოტა ხანში ბათუმში გადასახლდა და ემზადებოდა სამშობლო მხარეში გამგზავრებას. ის ბათუმშივე... სწავლობდა იარაღის ხმარებას. რევოლვერს ჩინებულად ისვრის, მორთულია კაცურად, ქედზე საბერძნეთის სამხედრო ნიშანი აკერია, ხელში უჭირავს დროშა, ცხენზე ზის და მუდამ წინ უძღვის თავისუფალ მებრძოლთა“.<sup>11</sup>

პრესა დიდ აღვილს უთმობდა საომარი მოქმედების აღწერას, ამა თუ იმ ქალაქისათვის ბრძოლას, მკითხველებს აცნობდა ბერძენთა წარმატებას თუ წარუმატებლობას; ცალკეულ შეტაკებაში გაღებულ მსხვერპლს და იმ სისასტიკეს, რასაც ოსმალები მათ მიმართ იჩენდნენ. აქვე აღწერდა ოსმალთა არმიას, ახასიათებდა მის სარდლებს, განვილილ საბრძოლო გზას, ინტრიგებს სულთნის სასახლის კარზე, დაპირისპირებულ დაჯგუფებათა ქიშპობას და ა. შ.

გაზეთებმა ვრცლად განიხილეს ევროპის სახელმწიფოთა პოზიცია. აქ კარგად გამოჩნდა აღნიშნული ომის ქართველ მიმომხილველთა ერთდროიანი, დიპლომატიურ ხლართებში ვარკვევის უნარი. ბერძნებს, გაზეთების სწორი შენიშვნით, ომის დაწყებასას ჰქონდათ ევროპის დიდი სახელმწიფოების იმედი. კერძოდ, ფიქრობდნენ ინგლისის და განსაკუთრებით რუსეთის ქომავლობაზე, მაგრამ ვარაუდი არ გაუშვართლდათ. ინგლისი ამ დროს სამხრეთ აფრიკის (ბურების) საკითხის მოგვარებით იყო დაკავებული, რუსეთმა კი ვერ იაქტიურა, რადგან წააწყდა ბალკანეთში გაბატონებისათვის მო-

სურნე ავსტრია-უნგრეთის წინააღმდეგობას. ასეთ პირობებში ინიციატივა ხელთ იდგო გერმანიამ, რომელიც მე-19 საუკუნის 90-იანი წლებიდან სულ უფრო აკიდებდა ვერსაძის მახლობელ აღმოსავლეთში. ბერლინ-ბოაფორ-ბალდადის რკინიგზის მშენებლობის იდეა ამის ლოკალური გამოვლინება იყო. ამან განსაზღვრა კიდევ მისი მიზნობა ოსმალეთ-სადმი, რაჰაც, თავის მხრივ, დააჩქარა ომში საბერძნეთის დამარცხებაც.

ამ ხსრივ საინტერესოა სტატია „საბერძნეთ-ოსმალეთის ომი“, რომელშიც კითხვან „ვინ დაამარცხა საბერძნეთი“ გ. წერეთელი პასუხობს: „საბერძნეთი დაამარცხა მხოლოდ გერმანიამ, რომელიც... არის ევროპის სახელმწიფოების კონცერტის ნამდვილი შექმნენი და მეთაური“.<sup>12</sup> ავტორის ეს აზრი იმას ეფუძნებოდა, რომ „მრავალი გერმანელი მსახურბოდა ოსმალეთის სახელმწიფოში“. მათ კი დიდი როლი შეასრულეს ქვეყნის ეკონომიკისა და პოლიტიკური ცხოვრების რამდენადმე მოწესრიგებაში, არმიის გარდაქმნაში, გაწვრთნასა და მეთიარაღებაში. ამასთან „სამხედრო მასალის დაზღვევა ოსმალეთმა გერმანიის ქარხნებს შეუკვეთა“. მოწინავე ტექნიკის გამოყენებამ კი მას ომის წარმოება გაუადვილა, ხოლო თვით გერმანელებს „ოთხმოცი მილიონი მარკა მოგება მოუტანა“.<sup>13</sup>

ბრესა მკითხველთა ყურადღებას მიაპყრობდა საბერძნეთის დამარცხების სხვა ფაქტორებზეც, თურმე ძალზე პასიურობდა თვით ბერძენთა სარღობა. ამასთან ბერძნებს ვერ მოუღიათ ევროპელთაგან ადრე დაპირებული დახმარებაც. ჯუზეპე გარიბალდის მკვილი რიჩიოტი კი იტყობინებოდა „მარტო იტალიიდან ასი ათასი მეტრპოლი გარიბალდიელის“ მიშველებას,<sup>14</sup> მაგრამ საბოლოოდ მას და სოციალისტ ჰამილკარ ჩიპრიანის საბერძნეთში მხოლოდ 2-3 ათასი ვოლონტერი ჩაჰყვა.<sup>15</sup>

ძირითადად ასეთია ქართული პრესის დამოკიდებულება საბერძნეთ-ოსმალეთის ომისადმი, მაგრამ ქართველები მარტო ამით როდი დაკმაყოფილდნენ. ირკვევა, მაშინ მრავალ ახალგაზრდას სურდა საბერძნეთში მოხალისედ გამგზავრება და ელინთა სამართლიანი საქმისათვის ოსმალთა წინააღმდეგ ბრძოლა. პეტერბურგის უნივერსიტეტის ქართველ სტუდენტთა სათვისტომომ (თავმჯდომარე ს. ფირცხალავა, მდივანი ალ. კალანდაძე), სოლიდარობის ნიშნად, გადაწყვიტა ათენელი სტუდენტებისათვის თანაგრძნობის დეპეშის გაგზავნა. ამ წინადადებით ქართველთა დელეგაცია, საბერძნეთის დროშით, კიდევ მისულა საბერძნეთის ელჩთან. მას ეს აზრი უარუყვია—დეპეშის „გაგზავნა სახიფათოაო“, მაგრამ სტუდენტებს დაჰპირებია „გადაცემ პირადად ჩემს მთავრობას თქვენს თანაგრძნობასო“.<sup>16</sup> მაშინ სტუდენტებმა წერილობით სთხოვეს ილია ჭავჭავაძეს<sup>17</sup> და გიორგი წერეთელს აზრი ამ საკითხზე.

გ. წერეთელმა მაშინვე მოიწონა განზრახვა: „ვაი საქართველოს დამცირებას და დამდაბლებას, რომ ამ დროში მას არ შეუძლია უფრო ნამდვილი საქმით მიეშველოს დაჩაგრულ ხალხს, გაგზავნოს საბერძნეთს თავისუფალი რაზმი ქართველ მეტრპოლთა. თქვენი თანაგრძნობის წერილი ჩინებულთა და დიდაც უნდა გაგზავნოთ“.<sup>18</sup> ილია ჭავჭავაძემ კი, სავსებით სამართლიანად, ზომიერი პოზიცია დაიკავა. „ბერძნებს — წერდა იგი, — თქვენი თანაგრძნობა... ეამებათ, მაგრამ ბევრს არას არგებს“, თქვენ კი შეიძლება ხიფათში ჩავარდეთო. ამიტომ ბრძნულად ურჩევდა: უმჯობესია ჯერ „ცოდნა შეიძინოთ და უპატრონოთ ქვეყანას“, რომელიც „მოელის თქვენგან ხსნასა და ბედნიერებას“. წერილს დიდი ილია შოთასეული აფორიზმით ამთავრებდა: „სადაც არა სჯობს, გაცლა სჯობს, კარგისა მამაციისაგან“.<sup>19</sup>

ასეთი სწორი პოზიციის მიუხედავად, რამდენიმე, ჩანს, ყველანა აქტიური, ახალგაზრდა მაინც წასულა საბერძნეთში. 1897 წლის 20 ივნისს გაზთები „ცნობის ფურცელი“ და „ივერია“ იტყობინებოდნენ: „რუსეთიდან თავის ნებით საბერძნეთში წასულ მეთომართა შორის ორი ქართველიც ყოფილა: შეგარდნაძე და წითლიძე“.

ბერძენთა ლაშქარში ქართველთა მონაწილეობას ადასტურებს თვით საბერძნეთის

დედოფალიც. 1901 წელს იგი დასასვენებლად იმყოფებოდა საქართველოში, კერძოდ ბორჯომში. ბათუმში 25 აგვისტოს ჩამოსვლისას მან მოიციხა „ბათუმელი საბერძნეთის ელიოპულო“ და „ორი ქართველი შევარდნაძე და წითლიძე“, რომლებიც გაიცნო 1897 წელს საბერძნეთში. დახვდურ მალე ჩინოსნებს ეს ძალიან გაუკვირდათ. მაშინ დედოფალმა ისურვა წასვლისას მაინც შეხვედროდა მათ. შეხვდა თუ არა სტუმარი აღნიშნულ პირებს, ცნობილი არაა, მაგრამ თვით სურვილი იმის კიდევ ერთი მაჩვენებელია, რომ ქართველი ვოლონტიერები ნამდვილად იბრძოდნენ მისი სამშობლოს ინტერესებისათვის.

„ვინ იყვნენ ეს კეთილშობილი ახალგაზრდები, ერთა თავისუფლებისათვის მებრძოლი შევარდნაძე და წითლიძე, ამის შესახებ ცნობები ვერ მოვიძიეთ“ — 1961 წელს სინანულით წერდა პ. ინგოროყვას.<sup>21</sup> ჩვენ ვცადეთ მათი ვინაობის დადგენა. მართალია, გაზეთის ქრონიკაში მხოლოდ გვარებია მითითებული, მაგრამ საბერძნეთის დედოფლის სიტყვებით ვიცოდით, რომ ისინი იყვნენ ოზურგეთის მახრიდან. ამიტომ დაუკავშირდით მახარაძის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის დირექტორს ე. გოგუაძეს, რომელსაც შეუტრება ზოგიერთი მასალა შევარდნაძის შესახებ. იგი აღმოჩნდა ერემია კონსტანტინეს ძე შევარდნაძე. შემდეგ თვით ე. კ. შევარდნაძის ოჯახის წევრებმაც მოგაწოდეს რამდენიმე ცნობა სახელოვან წინაპარზე. გარკვევა, რომ ე. შევარდნაძე 1869 წელს დაბადებულა, დაუმთავრებია ქუთაისის კლასიკური გიმნაზია. ათი თვის განმავლობაში აქტიურად მონაწილეობდა საბერძნეთის კამპანაში. იქვე დაიჭრა. როგორც მოხალისე და საპატიო მებრძოლი, მკურნალობდა სამეფო ჰოსპიტალში. საბერძნეთიდან დაბრუნების შემდეგ ე. შევარდნაძეს რუსეთის არმიაში გაუგრძელდება სამხატვრო, მონაწილეობდა რუსეთ-იაპონიის ომშიც. ყოფილა პორუჩიკი, ბოლოს შავი ზღვის სასაზღვრო პირველი ფეხოსანთა რაზმის შტაბსკაპიტანიც. ქრონიკული მალარიით (სხვა ცნობით, ადრე მიღებული ტრილობებით) დაავადებული, 1919 წელს პენსიაზე გასულა. გარდაიცვალა 1953 წელს.

გადმოცემით, ე. შევარდნაძე საბერძნეთში დაუჯილდოვებიათ „ძვირფასი ხმლით“ და სპილოს ძვლისტარიანი ვერცხლის რევოლვერით, რომელსაც „ოქროს ასოებით“ კათანადო წარწერაც ამშვენებდა. აღნიშნული იარაღი ოჯახის რელიქვიად ითვლებოდა, მაგრამ 1924 წელს წაუღიათ და დაიკარგა.

ზოგიერთი მასალა მოვიძიეთ მეორე ქართველი ვოლონტიერის შესახებაც. ჩოხატაურის რაიონის სოფ. ზომლეტის მკვიდრი ვარლამ წითლიძე ე. შევარდნაძის ნათლული ყოფილა. თურმე ძალზე ახალგაზრდა იყო, თანაც უცოდლშვილი და ამიტომ მშობლებს დიდი სასოებით გაუსტუმრებიათ საბერძნეთში. ქართველები ერთად ჩასულან პირიქით და ერთადვე განაწილდნენ მოქმედ არმიის. დაუზუსტებელი ცნობით, ვ. წითლიძე, თითქოს, ერთ-ერთ ბრძოლაში დაიღუპა და იქვე ელადის მიწაში დაკრძალეს.

ქართული პრესისა და საზოგადოების გულთბილი დამოკიდებულება ბერძენთა სამართლიანი ომისადმი, ელინთა მხარეზე ომში ქართველთა მონაწილეობა საინტერესო ფურცელია საქართველოსა და საბერძნეთის მრავალსაუკუნოვანი ურთიერთობის ისტორიაში.

## დასოვნებული ლიბერატურა

1. გაზ. „კვალის“ ცნობით — 4 ათასი ჯარისკაცი და 17 ათასი მოხალისე (№ 13, 1897 წ.).

2. გაზ. „ივერიის“ ცნობით, საბერძნეთს დამატებით უნდა გადაეხადა 400 ათასი გირვანქა სტერლინგიც „იმ ზარალის საკომპენსაციოდ, რომელიც ოსმალთა ქვეშევრდომი ეპირში მოუვიდათ“ (№ 149, 1897 წ.).

3. Ш. Сеньбос, Политическая история, т. 2, СПб, 1903, с. 730-732.
4. 1894-97 წლებში ნ. ნიკოლაძე, ჟურნ. „მოამბეში“ განაგებდა შინაური და საგარეო პოლიტიკური მიმოხილვის განყოფილებას (დ. გამეზარდაშვილი, ნიკო ნიკოლაძე, თბ., 1983, გვ. 91-92). ჩვენი აზრით, მისი უნდა იყოს ამ ჟურნალში 1897 წელს გამოქვეყნებული ვრცელი წერილები კრეტის შესახებ (იხ. № 3, 4, 5).
5. ი. ჭავჭავაძე, თხზულებანი, ტ. 9, თბ., 1957, გვ. 319.
6. იქვე, გვ. 133, 146, 151 და ა. შ.
7. ჟურნ. „მოამბე“, № 3, 1897 წ.
8. გაზ. „ივერია“, № 11, 1897 წ.
9. გაზ. „ივერია“, № 55, 1897 წ.
10. იქვე, № 40, 1897 წ.
11. გაზ. „კვალი“, № 19, 1897 წ.
12. გაზ. „კვალი“, № 21, 1897 წ.
13. იქვე, № 43, 1897 წ.
14. იქვე, № 15, 1897 წ.
15. Всемирная история, т. 7, с. 180, Ш. Сеньбос, დასახ. ნაშრომი, ტ. 2, გვ. 7.
16. იხ. ი. ჭავჭავაძე, თხზულებანი, ტ. 10, თბ., 1961, გვ. 516-520.
17. პ. ინგოროყვა, ილია ჭავჭავაძის ორი წერილი, ჟურნ. „ისკარი“, № 11, 1961, გვ. 118-125.
18. ი. ჭავჭავაძე, თხზულებანი, ტ. 10, გვ. 521.
19. იქვე, გვ. 143-144.
20. ა. კარბელაშვილი, ძმობის ფურცელი, გაზ. „სამშობლო“, № 6, 1985.
21. ი. ჭავჭავაძე, თხზულებანი, ტ. 10, 522.



არჩილ რუზოველი

## ჯარია? არა — ჯერია!

„ვეზისტარონის“ ერთი დაახინჯებული  
ტაპის გავი

ოდეს არაბთა მეფემ შეიტყო, ავთანდილი ტარიელის საშველად გაიპარათ, მოთქმა-ტირილს მოჰყვა და „პირსა ხოკით, წვერსა გლეჯით გააკვირუნა მისნი მჭვრეტნი“. მაშინო, ამბობს პოეტი:

ზარი გაისმა, შემოკრბა ჯარი მრავლისა კაცისა,  
დარბაზს ხასთაგან ჯარაა ხელითა წვერთა ტაცისა,  
იგლეჯს და იცემს ყველაი, ხმა ისმის თავსა ტკაცისა;  
თქვეს: „ბნელი გვმართებს დღეკრულთა, რათგან მზე მიგვიდრკა  
ცისა“. (825)\*.

ცხოვლად, რეალისტური ფერებითაა დახატული სასახლის ეტიკეტი: ხელმწიფე პირს იხოკს და წვერს იგლეჯს და კარის კაცებიც „იგლეჯს და იცემს ყველაი“. სტროფის შინაარსი ადვილი გასაგებია და ალბათ ამიტომაც დღემდის შეუმჩნეველი დარჩა, რომ მეორე ტაეპი შერყვნულია.

ეს ადვილი არსებითად ასეა წარმოდგენილი ყველა ხელნაწერსა და ბეჭდურ გამოცემაში. მხოლოდ დავით კარიჭაშვილს შეუმჩნევია ტაეპას გაუმართაობა და „ტაცისა“ შეუცვლია სიტყვით „მტაცისა“. თუ რატომ, ამას ქვემოთ მოგახსენებთ. (დ. კარიჭაშვილის გასწორება გაიზიარეს იუსტ. აბულაძემ და კ. ჭიჭინაძემ).

დავიწყით ტაეპის მეორე ნახევრით — „ხელითა წვერთა ტაცისა“. აქ სიტყვები სინტაქსურად სწორად არის შეწყობილი, ოღონდ დამოუკიდებლად იგი ვერაფერს გვეტყვის. „ტაცისა“ განსაზღვრებაა, მაგრამ წინადადების რომელი წვერისა? „დარბაზს“ და „ხასთაგან“ იგი არ ეგუება. დაგვრჩა „ჯარია“, რომელიც შედგენილი შემასმენელია. ამიტომ გა-

\*) სტროფების ნუმერაცია მითითებულია 1957 წლის გამოცემის მიხედვით.

ნსაზღვრება შეიძლება ახლდეს მხოლოდ მის სახელად ნაწილს (ამ შემთხვევაში. ეს იქნება „ჯარი“), „დარბაზს“ ადგილის გარემოება, „ხასთაგან“ — ქვემდებარისებრი დამატება. ეს ტაეპი პროზად რომ გავაწყლოთ, ასეთი წინადადება გვექნება — დარბაზში ხასთაგან ხელით წვერების ტაცების ჯარია. ეს, რაღა თქმა უნდა, სრული უაზრობაა. აი ეს — „ხელითა წვერთა ტაცის ჯარიას — შეუსაბამობა შეუხნევია დ. კარიჭაშვილს. მას — დარი ტაცა (ტაცება) მიმღეობით—მტაცით იმიტომ შეცვალა, რომ ტაეპი ასეთ წინადადებად ესახებოდ: დარბაზში ხელით წვერების მტაცი ხასების ჯარია, ესე იგი, მტაცისა ხასების განსაზღვრებაა, ხასები — ჯარისა.

ამ გასწორებას ვერ შევიწყნარებთ — „ხასთაგან ჯარია“ ყოვლად შეუძლებელი სინტაგმაა. რუსთაველს რომ ამის თქმა ნდომოდა, განა ასე ვერ იტყოდა — „დარბაზს ხასების ჯარია?“. ჯარი რამდენჯერმე გვხვდება პოემაში და როცა მსაზღვრელი ახლავს, ნათესაობითშია დასმული: ჯარი სპათა (8,2), ჯარი ავაზისა (474,1), ჯარი ხადუმთა (480,2), მჭვრეტელთა ჯარი (720,3), ჯარი მკედრისა (1415,4), ლაშქართა ჯარია (92,3), წამწამთა ჯარისა (40,4), კაეშანთა ჯარები (313, 1), ჯარი ხასისა (44, 1), ჯარია მუნ ხასებისა (552, 3).

ასე რომ, თუ დ. კარიჭაშვილის გასწორებას გავიზიარებთ, მაშინ „ხასთაგან“ უნდა შევცვალოთ ფორმით „ხასების“. და ტაეპი ასე წარმოვიდგება:

დარბაზს ხასების ჯარია, ხელითა წვერთა მტაცისა.

მაშ ასე: დ. კარიჭაშვილის კონიექტურა აუცილებლად ძოიხოვს მეორე კონიექტურას. „ხასთაგან“ უნდა შეიცვალოს „ხასების“. საერთოდ, კონიექტურის საწინააღმდეგო არაფერი გვაქვს, იგი აუცილებელია, როცა ხელნაწერები სასიკეთოს ვერას გეუბნებიან, მაგრამ ამ დროს დიდი სიფრთხილე გვმართებს. ამ შემთხვევაში კი ორი კონიექტურა ერთ ტაეპში სასურველ შედეგს ვერ ვვაძლევს — მაინც ვერ გაიმართა რივიანად, მძიმე კონსტრუქცია გამოვიდა. ისიც გავითვალისწინოთ, რომ წინა ტაეპში უკვე ნახსენებია „ჯარი მრავლისა კაცისა“. ეს განმეორება რომ პოეტურ ფუნქციას ასრულებდეს, კიდევ ჰო. გამართლებული იქნება მაშინაც, თუ რამდენჯერმე ნახმარი სიტყვა იმ საგანს ან მოვლენას აღნიშნავს, რომელსაც ავტორი საგანგებოდ ახასიათებს. მაგალითად:

მართ ავრევე მელექსესა — ლექსთა გრძელთა თქმა და ხევა,  
რა მისჭირდეს საუბარი და დაუწყოს ლექსმან ლევა. (13, 3-4).

მომდევნო სტროფში კვლავ ნახსენებია „მელექსე“ და „ლექსმან“, მაგრამ ეს არ გვეჩოთირება, რადგან აქ სწორედ მელექსეზე, მის ხელოვნებაზე, ლექსზეა საუბარი.

რაკი ვერც „ტაცისა“ და ვერც „ხასთაგანის“ შეცვლამ უშველს საქმეს, დამახინჯება სხვაგვან უნდა ვეძიოთ. „დარბაზს“ ხელს არ გვიშლის. დარბაზს „ჯარია“. ეს სიტყვა აქ უთუოდ უადგილოა. თუ მას გავაძევებთ სტრიქონიდან და ნაცვლად იმ სიტყვას ჩავსვამთ, რომელიც ჟამთა ვითარებაში გადამწერთაგან შერყვნილა, ყველაფერი რიგზე იქნება. ეს სიტყვა გაძლავთ „ჯერია“.

ეს სიტყვა იმავე ძირისაა, რაც ძველ ქართულში გავრცელებულ „ჯერ-არს“-ში გვაქვს და ნიშნავს: საქნელია (საბა), სათანადო არს, ანუ მართებულია (ნ. ჩუბინაშვილი), საჭიროა, უნდა. ს.-ს. ორბელიანს ლექსიკონში შეუტანია ზმნა განსჯერვიდა (წყაროს დაუმოწმებლად), რომელსაც ასე განმარტავს — განაწესებდა, გაარიგებდა. ასე რომ, ჯერი სემანტიკურად ძალზე ახლოს დგას რიგ და წეს სიტყვებთან. (ორივეს ხმარობს რუსთაველი). ეს კიდევ უფრო ცხადლივ გამოჩნდება, თუ ამავე ძირისაგან ნაწარმოები უარყოფითი სახელის (უჯერო) მნიშვნელობას გავითვალისწინებთ. „არარაჲ უჯეროჲ ყყავთ თქუენ შორის“ (2 თეს. 3,7), რუსულ თარგმანშია: „мы небесчинствовали у вас“, ხოლო გერმანულში — *wirsind nicht unordentlich unter euch gewesen*. Бесчинный მოძველებულის კვალიფიკაციით განმარტებულია როგორც წესრიგის, საყოველთაოდ მიღებული ნორმების დამრღვევი, ე. ი. უწესო, უწესური, „бесчинство“ — უწესობა, წესიერების დარღვევა, ზმნა бесчинствовать — უწესობის ჩადენა. ასევე გერმანული unordentlich ნიშნავს უწესოს (ordentlich — წესიერს).

მამ, ასე: ჯერია ნიშნავს ჯერ-არს, წესია, რიგია, მართებს, ხამს. ტაეჭი ასე გაიმართება:

დარბაზს ხასთაგან ჯერია ხელითა წვერთა ღაცისა.\*

აზრი ნათელია: მეფის კარზე (ასეთ სიტუაციაში) ხასებისაგან წვერების ტაცების ჯერიაო.

\* ასეთი კონსტრუქცია რუსთაველს სხვადა აქვს: „ლაშქართა შიგან შეიქმნა ხმა ტირილისა დიდისა, ზოგთაგან ხოკა პირისა, ზოგთაგან სრევა რილისა“ (1006, 1-2). სწორედ ამის გავლენა უნდა იყოს, რომ საანალიზო ტაეჭი ხუთ ხელნაწერში ასე იკითხება: „დარბაზს ხასთაგან შეიქნა ხელითა წვერთა ტაცისა“. ჯარი მართებულად გაუძევებათ, მაგრამ ის კი ვეღარ გაუთვალისწინებათ, რომ „შეიქნა... ტაცისა“ შეუძლებელი შესიტყვებაა, უნდა „შეიქნა... ტაცა“.

სხვათა შორის, ასეთი სინტაქსური წყობა საქმიან საბუთებშიც გვხვდება: „ცაიშე-ლმა უჩივლა: „რადგან ამ ქვეყნის მწყემსი ვარ, ჩემგან რიგია, რაც რომ უსჯულოება და უმართებულო საქმე იქნება, უნდა მოვიკითხო“. (ქართული სამართლის ძეგლები, ტ. VI, 1977, გვ. 247-248).

## «და გავიხსნათ მშვენიერი ქართული ლექსი»

მურმან ლებანიძის შემოქმედება გამოირჩევა დიდი სიმართლითა და გამოსახვის თავისებური სტილური ნიშნებით, შემეცნებითი ნაკადის სულ უფრო მზარდი აქტივობითა და პატრიოტული გრძნობის კრისტალური სიწმინდით.

პოეტი ღრმად წვდება დროისა და თაობის ურთიერთკავშირსა და მაჯისცემას, ცხოვრების ფუნდამენტურ მიყოლის აუცილებლობას. ქვეყნის წარსული და მომავალი, მისი ხვალისდელი დღე, დროის პრობლემები, მიტოვებული მთის სოფლების აღორძინება-სათვის ზრუნვა, სამშობლოს ბედნიერებისათვის მაღალბოეტურად გააზრებული სიცოცხლე და მისდამი სამსახური — აი, მ. ლებანიძის პოეზიის უმათერესი თვისებები.

ქვეშარბიტი პოეტი წარმოდგენილია ხალხთან შემოქმედებითი ურთიერთობის გარეშე. ასეთი ურთიერთობა გულისხმობს ფოლკლორთან სიახლოვეს, მის დიდ სიყვარულსა და პოეტური გარდასახვის თავისებურებას. პოეტი ფოლკლორულ ნიმუშს იღებს როგორც თანადროულ სულიერ საზრდოს. ეს თანადროულობა ბუნებრივად არის, რადგან ხალხისათვის პოეტური ნიმუში არ ძველდება, რაიმე მოვლენასთან დაკავშირებით მოხმობილი ფოლკლორული მასალა ისეთ შთაბეჭდილებას ტოვებს, თითქოს იგი სინქრონულად, მოვლენის შესაბამისად, ახლა შეიქმნა.

მ. ლებანიძის შემოქმედებაში შეინიშნება მითოლოგიით, დალოცვა-დატირების ტრადიციებით, გადმოცემებითა და სხვადასხვა სახის ფოლკლორული ნიმუშებით დაინტერესება.

დიდ ინტერესს იწვევს მითითური სამოსელით ჩვენამდე მოღწეული გადმოცემა, სვანური ტრადიციის მიხედვით მიცვალებულს რომ შეეხება. ცნობილ სვანურ ხალხურ ლექსში „მირანგულა“ ნახსენები „ფისიმც დასხმია“ წყევლისა და შეურაცხყოფის უმაღლესი ფორმაა სვანეთში. „ფისიმც დასხმია შენიანის საფლავს“ არის ყველაზე დიდი მიზეზი მტრობისა:

„ფისიმც დასხმია“ — ამგვარი დიდად შეურაცხყოფელი გამოთქმის არსი კარგად მოეხსენება მურმან ლებანიძეს და ამის გამოა, რომ სიტუაციის გასამწვავებლად მას ლექსში იყენებს:

ქვემოთ ცალანართან წისქვილია.

უეცრად ატყდება სროლა

მოუტაცებლად სირცხვილია

ვაჟაკის დიაცთან წოლა.

ცალანარს თოფებმა იგრიალეს,

მხარი დაუჭირეს ლადლერს.

ფისიმც დასხმიათო ვიბლიანებს, —

ქალის მოტყუება გვკადრეს.

საისტორიო ნაწარმოებს განსაკუთრებული ადგილი უჭირავს ქართულ პოეზიაში.



თამარ მეფის, დავით აღმაშენებლის, შოთა რუსთაველის, გორგასალის სახეები არაირ-  
თხელ გაუცოცხლებია ქართულ მწერლობას.

ამ შემთხვევაში მხედველობაში გვაქვს გორგასალის სახე, შემონახული ხალხურ-  
ზეპირსიტყვიერებაში. იგი ძალიან თავსებურად გამოიყენა მურმან ლებანიძემ. პოეტი-  
სათვის ამ შემთხვევაში მთავარია ამ სახის მაგიური ქმედების ძალა და არა, ვთქვათ,  
მთლიანად, წარმოდგენებში შემორჩენილი თუ ფოლკლორში შემონახული მისი პიროვ-  
ნება.

ვახტანგ მეფეზე დაცულია პოეტურ და პროზაულ ფოლკლორულ მასალებში ხაზ-  
გასმულია ვახტანგის მეფური პიროვნება, თბილისის აშენება და მრავალი სხვა, ერთ-  
ერთი მთავარი მაინც ისაა, რომ ვახტანგს „ციდან ჩამოესმა რეკა“. ამის შემდეგ კი,  
როცა „იალბუზზე ფეხი შედგა, დიდმა მთებმა იწყეს დრეკა“.

მაინც რა მაგიური ძალისხმევით ჩამოესმა რეკვა, რის შედეგადაც იგი განივთდა  
დიდი მთების დრეკაში? — ასეთ კითხვამდე მივდივართ, როცა ვეცნობით მურმან  
ლებანიძის ლექსს გალაკტიონზე.

გალაკტიონი გაცოცხლდა ქვაში, — გამოიკვია შესანიშნავი სახე პოეტისა და  
ძეგლად დიდგა.

ქვაში ნაკვეთი სახე პოეტისა ცოცხლდება ციდან რეკვის ხმის გაგონებაზე, ჩამო-  
დის კვარცხლბეკიდან და ჰაბუკ ოსტატს, ანუ მისი სახის გამოძეგრწავს, „შიგ შუბლში  
კოცნის“. ეს სასწაული მხოლოდ ერთ წამს გრძელდება, ხილვები ქრებიან, გალაკტიონი  
კვლავ კვარცხლბეკს უბრუნდება:

ანაზღად ციდან გაისმის რეკა,  
შეიძვრის მკერდი მაღალი მგონის,  
ჩამოდის იგი ძირს კვარცხლბეკიდან  
და ჰაბუკ ოსტატს შიგ შუბლში კოცნის.  
ცაში კვლავ არი დავუგუნება,  
ეს სასწაული ერთ წამს გრძელდება.  
პოეტი კვარცხლბეკს დაუბრუნდება  
და ლურჯ სივრცეებს გააცქერდება.  
დიდი სიმღერა მთებზე გადადის,  
მდინარესავით იღვრება ხალხში.  
გალაკტიონი რჩება მარადის  
გალაკტიონის პროსპექტის თავში.

აქ საინტერესოა მითიური ელემენტი, რომელიც ასე წარმატებით გამოიყენა  
მ. ლებანიძემ თავის ლექსში და ახალი კუთხით დაგვანახა სახელოვანი პოეტი.

საყოველთაოდ ცნობილია ლეგენდა ჰაოსისა და ქართლოსის ძმობის შესახებ. მის  
წარმოშობას თავისი გამართლება და მიზანი აქვს: უძველესი მეზობელი ხალხები, კარის  
მეზობლები ერთმანეთთან მეგობრულ, კეთილმოსურნე და ახლობლურ დამოკიდებუ-  
ლებაში უნდა იყვნენ. ამ თემას მიუძღვნა მურმან ლებანიძემ „იციანო მეზობელს!“:

მითოლოგიური თქმულებანი ბევრი მწერლის შთაგონების წყარო გამხდარა. ზოგმა  
ლექსი გახვია მითიურ სამოსელში, ზოგიც მას გაკვირით შეეხო. ეს უკანასკნელი ითქმის  
მურმან ლებანიძეზეც, რომელმაც პატარა უსათაურო ლექსი თქვა:

ღმერთო, შენ არ გეწყინოს  
ჩემგან შენი მღურება —  
ას წელიწადს მ-ნდოდა!

ას წელიწადს მინდოდა!  
და ათასსაც მინდოდა  
შენი ხელით შექმნილი  
წუთისოფლის ყურბება!

ეს პატარა ლექსი სხვა მხრივაც არის საინტერესო. მასში მინიშნებულია ისეთ მნიშვნელოვან ფოლკლორულ ნაწარმოებებზე, როგორიც არის ლეგენდა სურამის ციხეზე.

„სურამის ციხე“ ბევრმა მწერალმა გამოიყენა თავის შემოქმედებაში, მაგრამ მათ შორის ცნობილია ქართველმა მწერალმა დანიელ ჭონქაძემ, რომელმაც შექმნა ბატონ-ყმობის წინააღმდეგ მებრძოლი ნაწარმოები და იგი დააფუძნა დასახელებულ ლეგენდაზე.

ზემოთ აღვნიშნეთ, რომ ამ ლეგენდაზე მურმან ლებანიძემ გაცივით მიანიშნა თავის ლექსში. ლექსში ლაპარაკია იმაზე, რომ ლექსის ღირებულ გმირს ჩაუქროლეს ფოთოლივით ქრელმა დღეებმა, წლებმა და თითონ „თავდება“:

ვაიმე, დედა, ვთავდები!  
ვაიმე, დედა, გმორდები!  
რანაირად დამდება  
საქაოს კორდები

აქ სტრიქონი „ვაიმე, დედა, ვთავდები“ შექმნილია ხალხური „სურამის ციხის“ ანალოგიით: „ვაიმე, დედი გაგზავდი“.

მართალია, პოეტი აქ მხოლოდ მინიშნებით კმაყოფილდება, მაგრამ ეს მინიშნებაც დიდ ინტერესს იწვევს ლიტერატურულ-ფოლკლორული კვლევისას.

ამავე თვალსაზრისით ერთ-ერთი საინტერესო ლექსია „სვანეთში წავალ“:

სვანეთში წავალ: კვლავ შეძახიან,  
წელსაც მიხიბენ ქრელი ზღაპრებით;  
სულთ ხორცამდე ჩემი ხალხია,  
ჩემი მთები და ჩემი ალბები!

ქრელი ზღაპრებით უხიბენ პოეტს სვანეთის რომანტიკული სანახები. ეს სანახები მკიდროდ არის დაკავშირებული ფოლკლორთან. მრავალ თქმულება-გადმოცემებთან არის წილნაყარი ეცერი, ცხუმარი, ბეჩო, უშგული, თეთნულდი, ხალდე, ჰადში, ზარი, ლილე და მრავალი სხვა. მსგავსი მაგალითები შეიძლება მოვძებნოთ აგრეთვე ლექსებშიც: „საუფროსო საკარცულში“, „რა იქნა ჩერქეზული ცხენები“, „რიპა“ და სხვ.

ლექსში „სვანეთში წავალ“ ვკითხულობთ: „ორს ხომ კისწავლი — „ზარსა“ და „ლილეს“...

ზარი თავისებური დატირებაა. იგი ფართოდ გავრცელებულია საქართველოს მთიანეთში. ცნობილია ე. წ. „დალაი“. ეს არის საერთო გლოვის თავისებური გამოხატულება. ყველას როდი გლოვობდნენ. ასეთის ღირსად თვლიდნენ იმას, ვინაც თავი გამოიჩინა სამშობლოს, ქვეყნის, თემის, სოფლის წინაშე, ვისი ცხოვრებაც არის ცოცხალი და თვალსაჩინო მაგალითი „დამარჩობათვის“. ასეთი დატირების დროს წინა პლანზე წამოიწოდა მიცვალებულის ღირსებანი და მათი ზარით ჩამოთვალა ერთგვარ აღზრდულობითს ხასიათს ატარებდა. და როცა მ. ლებანიძე ამბობს, „ზარს“ ვისწავლიდო, გულისხმობს ამ ღირსებებს და ტრადიციის სისპეტაკეს გმირობისა და სამშობლოსადმი თავდადების თვალსაზრისით.

პოეტს სურს გახდეს ღირსი, დალაი თქვან მასზეც! მაგრამ „არამი იყოს ვაი-ვაი“ (დატირება), „თუ მამულისათვის ვერ ვიქნე მკვდარი“. — ამბობს იგი და ამით ერთ-

ხელ კიდევ პოეტურად ხაზს უსვამს იმ გარემოებას, რომ „დალაი“ ითქმის მხოლოდ ლარსეულ ადამიანზე, ვინც დაიმსახურა სამშობლოს ხალხის სიყვარული.

ისევ დაეუბრუნდეთ ზემოთ ციტირებულ სტრიქონს: „ორს ხომ ვისწავლი — „ზარსა“ და „ლილეს“.“

„ლილე“ მზის საგალობელია. იგი ადრე მზის წარმართული სადიდებელი იყო. მასში დაცულია უძველესი რელიგიურ-მითოლოგიური სიმბოლიკა. სიტყვა „ლილე“ სიმღერის რეფრენია.

აქვე საინტერესოა ერთი ფაქტიც: „ლილე“ უპირველესად ადიდებდა მზეს, როგორც „ხოშა ღერბეთს“ (დიდ ღმერთს) თანაც დილით, ამოსვლისას.

„ლილე“ არის არა მარტო ჩვენი დღეებისათვის ცნობილი და პოპულარული საფერხულო სიმღერა-მედევი, არამედ მას შორეულ წარსულში წარმართობისდროინდელ სინამდვილეშიც უდგას ფესვები და ეს ყველაფერი, რაც დღეს ხალხურ რწმენა-წარმოდგენებს ეკუთვნის, საყოველთაოდ ცნობილია...

თუკი დღევანდელი პოეტისათვის „ლილე“, მზის ეს უკვდავი საგალობელი და „ხოშა ღერბეთი“ მარადისობის იგივეობად არის მიჩნეული, რაღა გასაკვირია, რომ იმავე რწმენა-წარმოდგენებით ის მაგიური, ძალითაც იყოს აღჭურვილი.

მ. ლებანიძის „ლილეს“ ეს თავისებურებები აქვს მხედველობაში, როცა დასძენს, რომ ბევრს თუ არა, სვანეთში „ლილეს“ მაინც შეისწავლის ზართან ერთად.

„ლილესთან“ ერთად პოეტი განსაკუთრებული სიყვარულითა და ინტერესით ამბობს „რიპაზე“. იგი სინათლის საგალობელია. ამავე სათაურით პოეტმა შექმნა შესანიშნავი, ლიტერატურულ-ფოლკლორული ურთიერთობის თვალსაზრისით მეტად საინტერესო, ლექსი „რიპა“.

ეს ლექსი მრავალ ისეთ ცნობას გვაწვდის, რაც უშუალო კავშირშია ხალხურ შემოქმედებასთან, ტრადიციასა და ისტორიულ ფაქტთან. ჩვენ, რა თქმა უნდა, გვინტერესებს მხოლოდ მისი ფოლკლორული მხარე.

ლექსში, უპირველესად, ლაპარაკია „ხოშა ფუთას“ შესახებ, რომელმაც უშგულზე გაბატონება განიზრახა. თავისუფალი უშგული ამას, ცხადია, არ შეურიგდებოდა. ფუთამ შემოუთვალა დანებებოდნენ, მაგრამ ამოდ. მაშინ ფუთა თვითონ ეწვია ლაპარაკის ტაძრის ვალავანში შეკრებილ სვანებს და უთხრა, დამნებდითო. ამ დროს „სიკვდილი ფუთას, — იგრილა ხალხმა აწყადა“. შემდეგ ლაპარაკია იმაზე, რომ „მზაკვარს მზაკვრულად უნდა დაეხვედით“. რაში მდგომარეობს მზაკვრულა დახვედრა? მოვეუსმინოთ გადმოცემას:

„დადემქელიანებმა მოინდომეს თავისუფალ სვანეთზე გაბატონება, მაგრამ თავისუფლებას შეჩვეულ სვანებს ქედი ვერ მოახრევიან... ხალხს უნდოდა, რომ ფუთას მოკვლა ერთ ვინმეს არ დაბრალებოდა, მასობრივი ხასიათი მიეცათ და ამიტომ მოაგროვეს თურმე თითო მარცვალი თოფის წამალი, ყველამ თავიანთ თოფების ტყვიას ჩამოათალა და მისგან გამოკვეთა ფუთას მოსაკლავად ერთი ტყვია. ამ ტყვია-წამლით გატენილი თოფი შეიტანეს უშგულის ღვთისმშობლის ეკლესიის ვალავანში და ტუჩი იჭითკენ უქნეს, საიდანაც მოვლოდნენ ფუთას მოსვლას. თოფის გასროლაშიც რომ ყველას მიეღო მონაწილეობა, თოფს ჩახმანზე გამოაბეს გრძელი ბაწარი და ამის წყმდგ უშგულელებმა გაუგზავნეს კაცები ფუთას მოსაპატიებლად.

ფუთა არ ენდო მოციქულებს, არ დაყაბულდა წამოსვლას მანამ, სანამ არ გაუგზავნეს უშგულის უფროსის შვილი და ოცი კაცი მძევლად. ამის შემდეგ ის თავისი ამალით ესტუმრა უშგულელებს... მაშინვე ეკლესიის ვალავანიდან გავარდა თოფი, რომლის ტყვიამ ფუთა გამოასალმა წუთისოფელს“. (ქართული ხალხური სიტყვიერება, ქრისტომათია. თბ., 1970, გვ. 239).



მ. ლებანიძის ლექსში ვეცნობით იმ კონკრეტულ ფაქტს, თუ როგორ მობრძანდა ფუთა დადმეჭელიანი უშგულს:

შემდეგ რაც მოხდა,  
 ისტორიის გაკვეთილი აქამდე გვახსოვს.  
 თავისუფლება მახვშია და მთებს თვითონ მახვშობს,  
 მობრძანდა ფუთა,  
 საუფროსო საკარცულში „ლილეო“ ჩასვეს,  
 წითელი ღვინო, თეთრი რახი ჯიხვებით ასვეს...  
 სათოფურიდან საკარცულზე მიმიზნებულო  
 გავარდა თოფი, —  
 დაილოცა იმის მხნე გული,  
 ვისიც ერია იმ ტყვიან ტყვიის წაშალი,  
 ვინც იყო ბრძენი  
 და ვინც ცამდე იყო მართალი.

ასე ოსტატურად და საინტერესოდ გამოიყენა გადმოცემებში დაცული ისტორიული ფაქტი მ. ლებანიძემ ლექსის შესაქმნელად.

„რიპა“ სხვა მხრივაც არის საინტერესო. მასში (და სხვა ლექსებშიც) ლამაზია ლამაზისა და მახვშებზე.

თუ ქართული ხალხური სიტყვიერების ქრესტომათიას დავიმოწმებთ, „სვანეთში დიდ პატივში იყო და დღესაც დიდ პატივს მიაგებენ ორ მთავარ სალოცავს, ესაა „ჯგრაგი“ და „ლამარია“. ლამარობაზე — წმინდა მარიამისადმი მიძღვნილი დღეობა — საქონლის გამრავლებას ევედრებოდნენ.

„ლა“ წინასართია სვანურში. იგი შეესატყვისება ზოგადქართულ წინასართს „სა“, „ლა-მარია“ ნიშნავს სა-მარიოს, ანუ სამარიამოს, — ადგილს, ეკლესიას, ტაძარს, რომელიც ეკუთვნის მარიამ ღვთისმშობელს. „ჯგრაგი“ კი არის იგივე, რაც გიორგი, იგულისხმება წმინდა გიორგი.

„ლამარიას“ დიდი კომპლექსი დაცულია უშგულში. იგი სოფელს ზემოდან გადმოჰყურებს. იქ ახლაც შემონახულია ხისაგან გამოთლილი სავარძელი, სადაც ჩასვეს ფუთა დადმეჭელიანი და მოჰკლეს.

რასაკვირველია პოეტი ზედმიწევნით იცნობს ამ ადგილებს და ლექსშიც შესანიშნავად ასახავს.

აქვე უნდა აღინიშნოს გვარის გამგრძელებლებზე — მახვშებზე, რომლებიც ციტირებულ ლექსში დიდის „პატივით სარგებლობენ“.

არა მხოლოდ სვანური, არამედ ზოგადქართული ფოლკლორისადმი დიდ ყურადღებასა და სიყვარულს იჩენს პოეტი. მისი აზრით, მთქმელი-ინფორმატორი წარმავალია, მაგრამ მანაც ცოცხლობს მარადიულად. ცოცხლობს, როგორც ზოგადად ადებულის ცნება „ხალხი“, რადგან ცოცხლობს მისი ნათქვამი, შიარი იქნება თუ სხვა. ამ მიმართებით საინტერესოა ლექსი „მესტირის სიკვდილი“:

მესტირის ნაცვლად  
 კარდაკარ ივლის შაირი...  
 და როგორც ვახდა  
 „ვეფხვის და მოყმის ბალადა“  
 მიწის მუშების,

მეურმეების, მწყემსების,  
 ასე ვახდება ხალხური  
 ანუ მარადი  
 ღბინში და ჭირში  
 მისგან ნათქვამი ლექსები.

აი, ესა „მესტიის ნათქვამის“ ანუ ზოგადად რომ ვთქვათ, ფოლკლორის უკვლევება, მისი მარადიულობა. ასე მიაჩნია მ. ლებანიძეს და ამიტომაც მისგან არაა მოულოდნელი სიტყვები „ხალხური ანუ მარადი“.

ასე ესმის პოეტს ფოლკლორის უკვლევება და „მესტიის ნათქვამის“ მარადისობა. ასე ახლოს გრძნობს იგი ფოლკლორული მასალის დასრულებისა და დახვეწის ხალხურ შემოქმედებით პროცესს, ფოლკლორულ ტრადიციას.

„მშვენიერი ხალხური ლექსი“ — ეს გამოთქმა, როგორც სალექსე სტრიქონი, მოცემულია მ. ლებანიძის ერთ-ერთ უსათაურო ლექსში. აქ საყურადღებოა გამოთქვა „მშვენიერი“. ეს გამოთქმა არის გაცხადება პოეტის შეხედულებისა და დამოკიდებულებისა ხალხური ლექსისადმი — „ზიდისთავს შეეკრათ პირობა“.

ამ მართლაც მშვენიერ ლექს-სიმღერის მიმართ პოეტის სიმპათია ასეა გამოხატული:

წყნარად, უსიტყვოდ  
უზნაუროდ ხეივანს ჩაეუყვით.  
ვართ დღემდე სამნი,  
შევიქმნებით ამაღამ ექვსნი;  
სცნოს გულმა გული,  
გავიხაროთ. ურთერთის ნახვით

და გავიხსენოთ  
მშვენიერი ხალხური ლექსი:  
„ზიდისთავს შეეკრათ პირობა,  
ჩვევს გავხდეთ დეიძლა ძმანია,  
ჩაეუხტეთ მუხრან ბატონსა,  
თაყა დავაქციოთ ბანია“.

აქ, როგორც იტყვიან, კომენტარები ზედმეტია.

მეტად საინტერესოა ლექსი „ლილე“, ორი პოპულარული ფოლკლორული წყარო — ანდაზა „შენი ხმალი და ჩემი კისერი“, ინვერსიული ავტორისეული გადაადგილებით — „ჩემი კისერი და შენი ხმალი“. ასევე, ხალხური ლექსი „ირემო, მთასა მყვირალო“. დიდი წარმატებით მოერგო არა მხოლოდ ავტორისეული ლექსის შინაგან სულიერ სამყაროსა და განწყობილებას, არამედ ლექსის არქიტექტონიკას, მისი გამოსახვის საშუალებებს.

ანდაზა უაღრესად საინტერესო ეახრია ქართულ ფოლკლორში, იგი აზრის ფორმულა და სათქმელის ჩუქურთმია. ანდაზა, როგორც ფოლკლორული ფენომენი, თითქმის ყველა მწერალმა გამოიყენა თავის შემოქმედებაში. მ. ლებანიძემაც რიგ ლექსებში წარმატებით მოიხმო იგი.

მეტად საინტერესოა ფაქტია, რომ პოეტმა ანდაზა ნაწარმოების სათაურად გამოიყენა. მ. ლებანიძის ერთ ლექსს ჰქვია „შვილი გაზარდე მტრად, გამოგადგება მოყვარედ“. საერთოდ კი პოეტი მეტად საინტერესოდ და მოხდენილად იყენებს ხალხურ ფოლკლორულ მასალებს, კერძოდ, ანდაზებს.

მ. ლებანიძე ერთი იმათაგანია, ვინც კარგად იცის ხალხური საუნჯის ფასი და მნიშვნელობა. ამიტომაც მის საბატო მიზანს შეადგენს შეკრიბოს იგი ან შეკრებილო გამოიყენოს შემოქმედებითად და „შთამბეჭდავად, ამით კი აქციოს ხალხის საკუთრებად, მის ფასეულობად. აკი ამას მოათხოვს ცნობილი ფოლკლორისტი და მწერალი პ. უშიკაშვილი; როცა ამბობს:

„ხალხის სიტყვიერებითი ნაწარმოები არის დიდი საუნჯე საზოგადოდ მწერლობისა... ყოველი განათლებული საზოგადოება ცდილობს შეკრიბოს ყოველგვარი სიტყვიერი ნაწარმოები ხალხისა და საყველათო კუთვნილებად აქციოს“.

და ეს კუთვნილებად ასეა საჭირო, რადგან „ხალხის სარწმუნოება, ფიქრი, სატანჯველი, სიხარული, იმედი — ხალხის ლექსებში და ზღაპრებშია გამოხატული და გაფანტული“.

ეს კარგად აქვს შეგნიბული მ. ლებანიძეს, ამიტომაცაა, რომ იგი თავის შემოქმედებაში წარმატებით იყენებს ხალხურ საუნჯეს და დიდ შემოქმედებითს ეფექტსაც აღწევს.

## იმ მრისხანე დღეებში

მთელს საბჭოთა ხალხთან ერთად, აჭარის მშრომელები დიდი სამამულო ომის პირველი დღეებიდანვე აღდგნენ სოციალისტური სამშობლოს დასაცავად, „ყველაფერი ფრონტისათვის, ყველაფერი მტერზე გამარჯვებისათვის!“ — აი, ასეთი იყო მათი ლაზუსი.

ნათქვამია, როცა ქვემეხები ლაპარაკობენ, მუხები სღუმანო, მაგრამ ლიტერატურისა და ხელოვნების მუშაკებმა იმ მრისხანე დღეებში გარკვეული წვლილი შეიტანეს ფაშისმშვე გამარჯვებაში.

თვალსაჩინოა აგრეთვე ჩვენი პრესის საქმიანობა ომის პერიოდში. გაზეთების ფურცლებზე. ნომრიდან ნომერში, იბეჭდებოდა მასალები მოწინავე ხაზიდან საბჭოთა ხალხის არსაფელ ვმრობაზე, იმის შესახებ, თუ რა წვლილი შექონდათ აჭარის მშრომელებს მტრის განადგურებაში.

გაზეთების რედაქციებთან ერთად მეტად რთულ პირობებში უხდებოდათ მუშაობა აჭარის სახელმწიფო გამომცემლობის მუშაკებსაც: ცუდი იყო სტამბის ტექნიკური აღჭურვა, აკლდათ ქაღალდი, საღებავები, მაგრამ წიგნების გამოცემა მაინც გრძელდებოდა. ეს წიგნები იყო საფრონტო კრებულები ადგილობრივი მწერლებისა, რომლებიც ომის პირველი დღეებიდანვე აქტიურად ჩადგნენ ფაშიზმის წინააღმდეგ საერთო-სახალხო ბრძოლაში.

დიდი სამამულო ომის პერიოდში ბათუმში, მართალია, მცირე ტირაჟით, მაგრამ მაინც გამოიცა 30-მდე დასახელების წიგნი. რაოდენობა თითქოს მცირეა, მაგრამ თუ გავითვალისწინებთ იმ სიძნელეებს, თითოეული წიგნის ბეჭდვას რომ უძღოდა წინ, უნებლიეთ განიმსჭვალვით დიდი სიყვარულით შათი ავტორებისადმი, გამომცემლებისა და მბეჭდავებისადმი.

ამ წიგნებში აისახებოდა საბჭოთა ხალხის ვმრობა ფრონტზე და ზურგში, ისინა გვასწავლიდნენ სამშობლოს სიყვარულს, ნერგავდნენ გამარჯვებისადმი მტკიცე რწმენას, ამხელდნენ ფაშიზმის მხეცურ არსს.

ასეთი ნაწარმოებებიდან უპირველესად უნდა დავასახელოთ პარმენ ლორიას „ფრონტსა და ზურგში“, „ვმრობა და მეგობრობა“, „შეხვედრა“ ნესტორ მალაზონიას ლექსები, კაპიტონ რუსიძის „იწერებოდა სისხლით“, „მამული გვეძახის“, „ჩვენ გავიმარჯვებთ“ და სხვა.

მშრომელთა პატრიოტულ და ინტერნაციონალურ აღზრდაში დიდი როლი ითამაშა ხარტონ ახვლედიანის ნარკვევებმა აჭარის ისტორიიდან, რომელიც 1944 წელს გამოიცა. ნარკვევები იწერებოდა ჩვენი ხალხისათვის უმძიმეს დროში, როცა წყდებოდა საბჭოთა სახელმწიფოს ყოფნა-არყოფნის საკითხი, სამშობლოს თავისუფლებისა და დამოუკიდებლობის საკითხი.

როდესაც მკვლევარი წარმოაჩენდა საქართველოს ისტორიის გმირულ ეპიზოდებს, გვიხატავდა ხალხის ბრძოლას თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის, ამით თანამედროვეობის აქტუალურ მოვლენებს ეხმაურებოდა.

ომის წლებში გამოცემული პოეტური კრებულებიდან აღსანიშნავია „სამშობლოს

სადღევრელო“, „სისხლი სისხლისა წილ“, „ბრძოლა გამარჯვებამდე“ და სხვ. ამ წიგნებში დაბეჭდილი იყო ნესტორ მალაზონიას, პარმენ რურუს, შალვა იოსელიანისა და სხვათა ლექსები, რომელთაგან მხოლოდ ზოგიერთის სათაურს ჩამოვთვლით: „წერილი“, „ბალადა ქართველ მეომარზე“, „ფაშისტ ურდოებს გავაელოთ მუსრი...“ როგორც ხედავთ, ლექსების მთავარი თემა იყო ხალხის საბრძოლო მამაცობა და შემართება. ვაჟაკობა და სიმტიცე მტერთან ბრძოლაში, საშობლოსათვის თავდადება. ამავე თემის მიედგნა პარმენ რურუს „მწვდრული სიმღერები“, გიორგი სალუქვაძის ლექსები.

მწერლები არც ნორჩ მკითხველებს ივიწყებდნენ, დაიბეჭდა ნესტორ მალაზონიას „ჩვენი ყვავილები“, პარმენ რურუს „ჩვენი თაიგული“, „მზე და ყვავილები“ და სხვ. ამ კრებულებში წარმოდგენილი ლექსები, რასაკვირველია, ომის თემაზე იყო აგებული, უმღეროდა სიკეთეს, სილამაზეს, გმობდა ბოროტებას, კაცთმოძულეობას.

ომის მრისხანე წლებში შექმნილი ნაწარმოებებიდან განსაკუთრებით აღსანიშნავია დიდი სამამულო ომის უშუალო მონაწილე პოეტის, მამია ვარშანიძის ფრონტული ლექსები, აგრეთვე ფრიდონ ხალვაშის „სიმღერა ისრაფელ ჯინჭარაძეზე“. ამ კუთხის პირველი საბჭოთა კავშირის გმირისადმი მიძღვნილი ეს ლექსი, რომელიც გაზეთ „საბჭოთა აჭარაში“ დაიბეჭდა, ხალხმა მართლაც რომ სიმღერად აქცია.

ომის წლებში ჩვენი ქვეყანა აკეთებდა ყველაფერს, რათა დაეცვა ბავშვები ტანჯვიდან. მათი გადარჩენა ქვეყნის, მომავლის გადარჩენას ნიშნავდა. ამიტომაც იყო, რომ ომის წლებში გამოცემლობის მუშაობაში დიდა ყურადღება ექცეოდა საბავშვო თემატიკას. გრძელდებოდა დედანის, საყმაწვილო კრებულების ბეჭდვა. ეს წიგნები დასურათებული იყო და საკმაოდ კარგადაც. ასეთი კრებულებით ეცნობოდნენ ბავშვები მშვენიერების სამყაროს, რაც მთავარია, წიგნები მათ ეხმარებოდა ომის სიძნელეთა გადალახვაში. სწორედ ასეთი საბავშვო კრებულები იყო ნესტორ მალაზონიას „პაწაწინა ლუჩა“, „ეთერი და თანა“, პარმენ რურუს „ოქტომბრელები“ და სხვ.

დასასრულ არ შეიძლება არ აღვნიშნოთ ის მეტად მნიშვნელოვანი ფაქტი, რომ ომის მრისხანე დღეებში, კერძოდ, 1944 წელს, ბათუმის სტუმარი იყო დიდი ქართველი პოეტი გალაკტონ ტაბიძე, სწორედ ჩვენს ქალაქში, კერძოდ, სასტუმრო „1 მაისში“, რომელსაც დღეს ამ მოვლენის აღსანიშნავი მემორიალური დაფა ამშვენებს, შექმნა გალაკტონმა ლექსების შესანიშნავი ციკლი „ოქრო აჭარის ლაქეარდში“. ეს ლექსები აჭარის სახელმწიფო გამომცემლობამ ცალკე წიგნად დაბეჭდა და სულ მალე ბიბლიოგრაფიულ იშვიათობად იქცა. რამდენავე წლის წინათ „ოქრო აჭარის ლაქეარდში“ გამომცემლობა „საბჭოთა აჭარამ“ ხელახლა მიაწოდა მკითხველებს.

## მცირე ბანმარტეკა

გიორგი ქუჩიშვილის პოეზიის ღირსეულად აფასებდნენ და აფასებენ სახელოვანი ქართველი მწერლები, ცნობილი მეცნიერები, საერთოდ, მკითხველი საზოგადოება. გიორგი ქუჩიშვიალი, როგორც პოეტი ქართული პოეზიის მოვარდნილი ჩანჩქერია, როგორც ადამიანი — უანგარო და ალალი პიროვნება, ამხანაგისათვის სულს არ დაიშურებს. მას მეტად მგრძობელი და აზიზი გული აქვს: ამტანი და გამტანი, — წერდა ისე გრიშაშვილი, (ი. გრიშაშვილი, თხზულებანი).

ქუჩიშვილის შემოქმედებამ გაუძლო დროის გამოცდას. ამის დასტურია დღე გენბავთ, ისიც, რომ მისი ოქტომბრის რევოლუციამდელი და რევოლუციის შემდეგდროინდელი პოეტური ქმნილებები ახლაც დიდი ინტერესით ისწავლება საშუალო სკოლებსა და უმაღლეს სასწავლებლებში. ეს ნაწარმოებები ხელს უწყობს კომუნიზმის მშენებელი ახალი თაობების აღზრდას.



გ. ქუჩიშვილის ნაწარმოებთა გულწრფელი ლირიზმი, მელოდიურობა და შინაგანი პარმონია, აზრის სიცხადესა და მაღალ იდეურობასთან ერთად, გახლავთ იმის მთავარი მიზეზი, რომ ამ ქეშმარიტი პოეტის მრავალი ლექსი სიმღერად იქცა.

გვაგონდება გერონტი ქიქოძის სიტყვები: „გიორგი ქუჩიშვილის ლირიკული ლექსების კრებული ყოველთვის ადგილს იპოვის ისეთი მკითხველის გულში, რომელიც პოეზიაში უწინარეს ყოვლისა კეთილშობილი და სიცოცხლის მოყვარული ადამიანის გამოვლინებას აფასებს. ხოლო ვინც პოეზიაში რიტმების სიმდიდრეს და მეტაფორულა ენის სირთულეს ეძებს, მას შეიძლება გიორგი ქუჩიშვილი ერთფეროვანი ეჩვენოს. ნამდვილად ის სრულიადაც არ არის ერთფეროვანი. ის ნამდვილი ოსტატია. მხოლოდ მის ოსტატობაში არაფერია ნაძიები. მას არ უყვარდა ფერუმარულ შეცხებული ადამიანები და არც ცდილობდა მათი მოწონების დამსახურებას.

როდის დაიბადა გიორგი ქუჩიშვილი?

„მე დავბადებულვარ 1886 წლის ოქტომბრის 17-ს (ძველი სტილით)“ — წერს გ. ქუჩიშვილი. (გ. ქუჩიშვილი, ერთტომეული, თბ., 1958 წ., გვ. 5). და დაბადების ადგილად თელავის მაზრის სოფელ ვარდისუბანს ასახელებს.

საქართველოს სახელმწიფო არქივში დაცული ვარდისუბნის მიძინების ეკლესიის „მეტრიჩესკის წიგნში“ მივაკვლიეთ ჩანაწერს, რომლის მიხედვით არკვევა გ. ქუჩიშვილის (ჩხეიძის) დაბადების ზუსტი თარიღი. ეს ჩანაწერი გვამცნობს, რომ ანაწარმ ანდუყაფარ ქაიხოსროს ძე ჩხეიძეს და მის მეუღლეს სალომე ალექსანდრეს ასულ ბაქრაძეს 1884 წლის 17 ოქტომბერს შეეძინათ ვაჟი გიორგი, რომელიც იმავე წლის 5 ნოემბერს მოუხათლაგთ. მომავალი პოეტის სახელის მიმრქმელთაგანი (ნათლია) ყოფილა ქართული თეატრის მშენებელ ვლადიმერ სარდნიონის ძე ალექსი-მესხიშვილი (საქართველოს სსრ ცსი არქივი, ფ. № 489, აღწ. 9, ვარდისუბნის მიძინების ეკლესიის „მეტრიჩესკი წიგნი“, 1884 წ., ჩანაწერის № 31).

ბავშვის დაბადების თარიღის რამდენიმე წლის დაგვიანებით ჩაწერის შემთხვევები ცნობილია, მაგრამ დაბადებამდე ორი წლით ადრე მეტრიკულ წიგნში გატარება შეუძლებლად მივიჩნევთ.

გ. ქუჩიშვილის ავტობიოგრაფიაში უნებლიედ დაშვებულ შეცდომაზე მეტყველებს ისიც, რომ პოეტის დაბადების თვე და რიცხვი (ძველი სტილით 17 ოქტომბერი) ავტობიოგრაფიაშიც და საეკლესიო წიგნშიც ერთი და იგივეა. განსხვავება მხოლოდ წლებშია.

ამ გზით დადგინდა, რომ გიორგი ანდუყაფარის ძე ჩხაიძე (გ. ქუჩიშვილი) დაიბადა 1884 წლის 17 ოქტომბერს (ძველი სტილით).

გიორგი ეპრალიძე,  
ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატი

## „მასსოვს პირველად სასწავლებელში“

შორს წაგვიყვანდა იმაზე ლაპარაკი, თუ როგორ უყვარს ხალხს მასწავლებელი, როგორ აფასებს მის კეთილშობილ შრომას. მასწავლებლის ბიოგრაფია ნაწილია ჩვენი ხალხის ბიოგრაფიისა; ქვეყნის ყველა წარმატებასა და მიღწევაში მასწავლებლის გონებისა და გულის ნაღვანია. სკოლის მეშვეობით ყალიბდება ქვეყნის მომავალი — ახალგაზრდა თაობა. ყველა პროფესიისა და რანგის ადამიანთა აღზრდას სათავეში უდგას მასწავლებელი და მისი როლი ქეშმარიტად განუზომელია. პედაგოგთა ვალია მტკიცე ბალავარი ჩაუყარონ ადამიანის ცოდნასა და უნარ-ჩვევებს, მის მსოფლმხედველობას და ხასიათს.

მასწავლებელი! — ამ სახელს დიდი სიყვარულთა და პატივისცემით წარმოთ-  
ქვამენა საბჭოთა ადამიანები. ისინი მადლიერების გრძნობით ლაპარაკობენ თაყვანით  
ქედავოგებზე, გულთბილად იგონებენ ძვირფას აღზრდელებს, რომლებმაც გადაუშა-  
ლეს თვალწინ ცოდნის ჯადოსნური სამყარო, ჩაუნერგეს დედანის სიყვარული, უჩვენეს  
შემოქმედებითი შრომის სილამაზე, გამოუმუშავეს მისწრაფება — მთელი ძალებით  
გმსახურონ სამშობლოს, ხალხს.

მასწავლებლისადმი დიდი სიყვარულისა და პატივისცემის დასტური იყო ის შეხ-  
ვედრა, რომელიც რესპუბლიკური მნიშვნელობის პერსონალურ პენსიონერს, ამაგდარ  
აღზრდელს ელენე მელუას შოუწყევს.

ნახვედრაზე მოვიდნენ მსოფიანი შედგოვის აღზრდილები, რათა მადლობა ეთ-  
ქვათ მასწავლებლის მიერ გაწეული შრომისათვის, უძილო ღამეებისათვის, დიდი ზრუ-  
ნისათვის, მათდამი თავდადებისა და სიყვარულისათვის. გაიხსენეს პედაგოგის ცხოვ-  
რებას გზა.

ახლაგზორდა მასწავლებელმა პედაგოგობა დაიწყო ჯერ მანარაძის რაიონის სოფელ  
რგარბეთის მწვლიან სკოლაში. შემდეგ კი სოფელ მელექედურის ოთხწლედის გამგე-  
მასწავლებელია.

1931 წლის სექტემბრიდან ე. მელუა ბობოყვათის ოთხწლიანი სკოლის მასწავლე-  
ბელია, შემდეგ იგი ადგილის დაწყებით სკოლაში მუშაობდა, 1937 წლის სექტემბრიდან  
ჩათუმის № 1 საშუალო სკოლის მასწავლებელია, ხოლო 1939 წლის სექტემბრიდან  
ჩათუმის ე. ი. ლენინის სახელობის პირველ საშუალო სკოლაში გადაჰყავთ, სადაც  
ბენსიაზე გასვლამდე მუშაობდა.

წლების მანძილზე აქანდაკებდა ნორჩების სულს, ასწავლიდა ადამიანურობას,  
კაცურკაცობას, პატიოსნებას. მასწავლებლის შრომას ამოდ არ ჩაუვლია. სად არ  
მუშაობენ დღეს მისი აღზრდილები, მათ არასოდეს დაავიწყდებათ აღზრდელის ამაგი.

თითქოს შეუშინველად გასულან წლები, მაგრამ რამდენი აქვს მოსაგონარი ქალ-  
ბატონ ელენეს. თუნდაც ის, რომ ჯერ კიდევ 1936 წელს კლასში არ ჰყავდა აკადემიუ-  
რად ჩამორჩენილი არცერთი მოსწავლე. მან დაწერა მოხსენება „როგორ ვაღწევ  
მალა აკადემიურ მოსწრებას“ და თბილისში პედაგოგიურ კითხვაზე წაიკითხა. მოხს-  
ნებამ დიდი მოწონება დამისახურა და საქართველოს სსრ პედაგოგიურ მეცნიერებათა  
სამეცნიერო-კვლევითმა ინსტიტუტმა ცალკე წიგნად გამოსცა. ასევე ცალკე წიგნად  
დაისტამბა მისი მეთოდური ხასიათის ნაშრომი „როგორ ვატარებ ხელგარჯილობის  
გაკვეთილებს დაწყებით კლასებში“. ე. მელუას სხვა მეთოდური წერილებიც ხშირად  
იბეჭდებოდა ჟურნალ-გაზეთებში. აქტიურ საზოგადოებრივ მოღვაწეობასაც ეწეოდა,  
იყო განათლების სამინისტროს შტატგარეშე ინსპექტორი, სასკოლო და საქალაქო მე-  
თოდგაერთიანებების ხელმძღვანელი.

ამაგდარი მასწავლებლის ღვაწლი ღირსეულად დაფასდა. ელენე მელუა დაჯილ-  
დოებულაა ლენინის ორდენით, შრომის წითელი დროშის ორდენით, მედლებით, საზა-  
ლხო განათლების წარჩინებულის სამკერდე ნიშნით.

ძნელი იყო ამაგდარი პედაგოგის სკოლასთან, მოსწავლეებთან, კოლეგებთან  
დამორება, მაგრამ დრომ თავისი გაიტანა და ვალმოხდილმა აღზრდელმა გზა ახალგაზრ-  
დებს დაულოცა.

მიუხედავად ხანდაზმულობისა, საზოგადოებრივ მოღვაწეობას თავს არ ანებებს.  
„მახსოვს, პირველად მასწავლებელში...“

გვახსოვს, ყველაფერი გვახსოვს, პატივცემულო ელენე, აღზრდელის ღვაწლს  
ჩასოდეს ვიფიყებთ...

ზურაბ კომანხიძე.

ილია რურუა

## წიგნი, რომელიც უნდა დაწერილიყო

ეს წიგნი უნდა დაწერილიყო.

უნდა დაეწერა იგი შოთა ქერიძეს — ცნობილ ჟურნალისტსა და კრიტიკოსს, პოეტ-ლადო ასათიანის ერთ-ერთ უახლოეს მეგობარს.

როცა ამ წიგნს — „ჭაბუკი იყო, ქარბუკი იყო“ (გამომცემლობა „საბჭოთა აკარა“), ბოლომდე ჩაიკითხავთ, უნებურად კვლავ უბრუნდებით მისთვის წამძღვარებულ წინათქმას. ავტორის ეკვი — ნიკა აგიაშვილის შესანიშნავი წიგნის შემდეგ ღირდა თუ არა ლადო ასათიანზე მოგონების დასაწერად კალმის აღებაო, უსაფუძვლო გამოდგა. შეიქმნა ნამდვილად საინტერესო და საჭირო წიგნი.

მაინც რა გვაძლევს ამგვარი დასკვნის საფუძველს?

უპირველესად ის, რომ ავტორს ნამდვილად ჰქონია თავისი საკუთარი სათქმელი; რომ წიგნში ბედნიერად შერწყმია ერთმანეთს მეგობრული ურთიერთობით გამთბარი ადამიანური გრძნობა და პროფესიონალი კრიტიკოსის დინჯი, ანალიტიკური გონება.

თუმცა შოთა ქერიძე ძირითადად სტუდენტობის ხანის მოგონებებით იფარგლება, მაინც ბევრ ახალსა და საინტერესოს აწვდის მკითხველს ჩვენგან ნაადრევად წასულ პოეტზე. აქ იგულისხმება არა მარტო აქამდე უცნობი ბიოგრაფიული რეალები, არამედ გარემო და ატმოსფერო, რომელშიც ყალიბდებოდა ლადო ასათიანის პიროვნული და პოეტური მრწამსი, თავისებურება. საამისოდ ავტორი უხვად იშველიებს ჭაბუკი პოეტის წერილებსა და ლექსებს, მათ შორის სავსებით უცნობთ, რომლებიც სრულყოფილებისაგან საკმაოდ შორს დგანან. იქნებ ზოგიერთ მკითხველს ეს გაუმართლებლად ეჩვენოს, მაგრამ ჩვენს აზრით, წიგნის ავტორი სწორად იქცევა და აი რატომ: ახლად-უცხადმცემლი პოეტის ჯერ კიდევ უმწიფარი სტრიქონები, აქა-იქ გავლევული ლაღო-სებური უშუალობა, ფრთხილობა და ელვარება გვაგრძნობინებს, თუ როგორ თანდათან ღვეთვბოლა თვითნაბადი პოეტური ნიჭი, როგორი სულიერი ტანჯვით, ნებისყოფის დაძაბვით ესწრაფვოდა ლადო ასათიანი სრულყოფილ სისადავესა და სილადეს, მის საუკეთესო ქმნილებებში რომ გვატყვევებს. თითქოს თვალნათლივ ვხედავთ იმის ცოცხალ მავალითს, თუ რას შეიძლება მიაღწიოს ნიჭმომადლებულმა კაცმა თავდაუზოგავობით. ბოლომდე დახარკვით, თავისი სათქმელის სულისა და ზორცის ნაწილად ქცევით. იქნებ ამიტომაც შევაცბუნებთ პოეტის ერთ-ერთი, 1935 წელს დაწერილი ბარათიდან მოყვანილი სიტყვები: „მე პოეტი არა ვარ, მხოლოდ ვცდილობ კი გავხდე, თუ კი საამისო ტალანტი გამომაჩნდა“. და ამას ამბობს ჭაბუკი, რომელსაც უკვე ესმოდა, რომ ჰეშმარიტი, ჩვენი დროის პოეზიისათვის აუცილებელია „ვანერისებური მუსიკის მაღალი ძაბვისა და მძაფრი დენის სუნთქვა“. შოთა ქერიძის წიგნის უპირველესი ღირსება ის განსავენ, რომ საშუალებას გვაძლევს თვალი გავადევნოთ პოეტის სულის მაღალი ძაბვით დამუხტვის ამ რთულ, წინააღმდეგობრივ პროცესს.

ბუნებრივია, მკითხველს ანტერესებს გარემო, სადაც ეს პოეტური ინდივიდუალობა ყალიბდებოდა. ავტორიც საფუძვლიანად გვახედებს დიდი კულტურული ტრადიციების ქალაქის მაშინდელ სინამდვილეში, გვარწმუნებს, რომ ახალი ქართული პოეზიის უპირველესი განმახლებლების — „დიდებული ქუთაისლებისა“ და მარჯანიშვილის მიერ შექმნილი თეატრალური კოლექტივის თბილისში გადასვლის შემდეგაც რიონისპირა ქალაქის კულტურული ცხოვრების მაჯისცემა არ შენელებულა, რომ „სავარდო და სამაისო“ ქუთაისი კვლავაც რჩებოდა პოეზიის სავანედ, მოწინავე საზოგადოებრივი და მეცნიერული აზრის სასპარეზოდ.


წიგნში საფუძვლიანად არის წარმოჩენილი ქუთათურთა სულიერი ცხოვრების სამი ცენტრი: პედაგოგიური ინსტიტუტი, მწერალთა კავშირის განყოფილება და საქალაქო გაზეთი. თავისთავად ამადლევებელი და საგულისხმო ფაქტია ის, რომ ქუთაისში ახლად გახსნილ უმაღლეს სასწავლებელს, თურმე, კედლებს უმაგრებდნენ ჩვენი ხალხის საამაყო მეცნიერები. მრავალი მათგანი უკვე ასაკმოყრილიც გახლდათ, მაგრამ არ იზარებდა დედაქალაქიდან ქუთაისში ჩასვლას, რათა მეცნიერული სწავლების დონე ინსტიტუტში თავიდანვე მაღალი ყოფილიყო და ღირსეული შემცვლელები აღეზარდათ. წიგნში გავმორჩეული სიყვარულით არის წარმოდგენილი ვახტანგ კოტეტიშვილისა და ვარლამ თოფურაის სახეები, მათი იშვიათი სულიერი ღირსებები, დემოკრატიზმი, სტუდენტებთან დამოკიდებულების ღრმად ადამიანური კულტურა. სწორედ ასეთი ყიდის მეცნიერებს შეეძლოთ უდრტივნივლად შეხვედროდნენ სტუდენტთა მზრავ პირდაპირ გამოთქმულ განსხვავებულ აზრებსა და შეხედულებებს, მოთმინებითა და ტაქტით მიეყვანათ ისინი ღრმად გაცნობიერებული ჭეშმარიტების გაგებამდე.

სარეცენზიო წიგნი მადლიერების გრძნობით გვავსებს აგრეთვე იმ მწერლებისა და ლიტერატორებისადმი, რომლებმაც ქუთაისიდან პირველი კოპორტის პოეტთა წასვლის შემდეგ თავიანთ მხრებზე მიიღეს ლიტერატურული ცხოვრების წარმართვის სიმძიმე და ყველაფერს აკეთებდნენ იმისათვის, რომ ეს ცხოვრება სისხლსავსე, საინტერესო ყოფილიყო. ამ საქმეში მათი პირველი და ერთგული შემწე იყო საქალაქო გაზეთი „სტალინელი“ და მისი კოლექტივი, რომელსაც არასოდეს ჰკლებია დაუვიწყარ ნიკა აგიაშვილის მსგავსი უანგარო ადამიანები, თავიანთი ცხოვრების უმათავრეს აზრს კეთილი საქმეების ქმნაში რომ ხედავდნენ.

სწორედ ამგვარ ატმოსფეროში ჩნდება ერთი ტანმალალი ლეჩხუმელი ჰაბუკი, რომელიც სულ მალე საერთო ყურადღების ცენტრში ექცევა. შოთა ჭურბიძე არ ჩქმალავს იმ ფაქტს, რომ ლაღო ასათიანისადმი დამოკიდებულება არ ყოფილა ერთნიშნა, რომ იგი თავისი ზოგიერთი უცნაურობით ურთიერთ განსხვავებულ აზრსა და დამოკიდებულებას აღძრავდა, მაგრამ უდაო იყო ერთი რამ — მისმა მოსვლამ საგრძნობლად გამოაცოცხლა ადგილობრივი ლიტერატურული ცხოვრება.

ნიჭიერი, იმედისმომცემი ჰაბუკი დროზე შეამჩნია გაზეთმა და ერთბაშად დაახლოვა, სარედაქციო ოჯახის წევრად გაიხადა. შოთა ჭურბიძის თქმით, „გაზეთში მოღვაწეობამ ხელი შეუწყო ლაღო ასათიანი განმსკვალულიყო ხალხის გულისთქმით, ესწავლა მოვლენათა ნაკადიდან შეერჩია უმათავრესი, ემართა საკუთარ სულიერ სამყაროში მიმდინარე პროცესები და მათგან საჯაროდ გამოეტანა მხოლოდ სოციალურად ღირებული, აუმაღლა პასუხისმგებლობის გრძნობა მკითხველის წინაშე“.

ყველაფერი ეს სწორი გახლავთ, მაგრამ პოეტის ხასიათსა და სულიერ ცხოვრებაზე ჩვენი წარმოდგენა სრული ვერ იქნებოდა ლაღო ასათიანთან დახლოებულ ადამიანთა წრესთან ურთიერთობის წარმოჩენის გარეშე. ამ ასპექტით სარეცენზიო წიგნში საკმაოდ მდიდარი მასალაა წარმოდგენილი. არანაკლებ დასაფასებლად მიგვაჩნია ისიც, რომ ავტორს არსად დალატობს ზომიერება და ტაქტი, მით უფრო, როცა ახალგაზრდა პოეტის მეგობრული გარემოცვა, თურმე, ძირითადად სტუდენტი ქალიშვილებისაგან შეს-



დგებოდა. წიგნიდან იმასაც ვაგვიგებთ, რომ ლადო ასათიანი მეგობარ ქალებთან სიმორცხვემდე მორიდებული ყოფილა არა მარტო იმის გამო, რომ მშვენიერ არსებთან ამ დასის ერთ-ერთ წევრს მისთვის გული პირველი სიყვარულის გრძნობით აუძგერებდა. ავტორი დამოკიდებულად ცხადყოფს, რომ მეგობარი ქალებისადმი რაინდული და ამაღლებული დამოკიდებულება მომდინარეობდა პოეტის ფაქიზი და მგრძნობიარე სულის შინაგანი მოთხოვნებიდან. მართალია, როგორც ხშირად ხდება ჩოლმე, ქაბუჯი პოეტის გრძნობა უპასუხოდ დარჩენილა, მაგრამ, სამაგიეროდ, სტუდენტ ქალიშვილებს მასში, უტყუარი ქალური გემანით, თავიდანვე შეუტყენიათ დიდი და უტყუარი ნიჭი. ამ მხრივ ლადო ასათიანს ნამდვილად ასმათისებური მეგობრობა და დობა გაუწია ამყამად ცნობილმა ფილოლოგმა ნელი დუმბაძემ. მის ახლო ნაცნობებს კარგად მოეხსენებათ, რომ იგი თავიდანვე ქურთუმივით ელოლიაებოდა ლადო ასათიანის სახელსა და პოეზიას.

როგორც ზემოთ ითქვა, შოთა ქურიძის წიგნი საფუძვლიანად და ყოველმხრივ არის განხილული ლადო ასათიანის შემოქმედება. ეს პროფესიული ანალიზი მით უფრო საინტერესოდ ჩანს იმის მეოხებით, რომ ავტორს თავის დროზე შესაძლებლობა ჰქონდა ზიარებოდა პოეტის შემოქმედებითი ლაბორატორიის მრავალ საიდუმლოს, ყოფილიყო მისი მრავალი ქმნილების პირველი მკითხველი და შემფასებელი. ამიტომაც მკითხველს არ უეკირს, როცა შოთა ქურიძე დამაჯერებელი არგუმენტების მოშველიებით ახსენებს პოეტის ბიოგრაფიასთან დაკავშირებულ ზოგიერთ მომენტს ან ცალკეული ლექსების შექმნის ზუსტ თარიღს. ყოველივე ამას ავტორი წვრილმანი მაძიებლობის ენით როდი აკეთებს. ასე, მაგალითად, როცა ვიგებთ, რომ ლადო ასათიანის პირველი დაბეჭდილი ლექსი ყოფილა არა „თებერვლის დილა“; არამედ „ჩვენი კვავი მოველით“, ეს საჭირო დაზუსტებად უნდა მივიჩნიოთ, რადგან 18 წლის ქაბუჯის პოეტური პირში, შ. ქურიძისავე სიტყვებით, იყო „ამ თაობის იდეური დეკლარაცია, სამოქმედო ასპარეზზე მისი დამოსვლის მაცნე“; კრიტიკოსი გვაჯერებს, რომ მის არქივში შემონახული პირვანდელი ვარიანტი ლექსისა — „ისინეთ ქება ევნახის“, — უფრო გამართულია და პოეტური, ვიდრე კრებულებში დაბეჭდილი ვარიანტი; შეუძლებელია არ დავთანხმდეთ ავტორის მოსაზრებას, თუ რატომ უნდა აღსდგეს აბასთუმანში დაწერილი ერთი ცნობილი ლექსის ლათინური სათაური, რომ შინაარსობრივად ყველაფერი ბოლომდე გასაგები იყო.

შეიძლება და სხვა შემთხვევაში ავტორს ყურადღების საგანად არ გაეხადა ლადო ასათიანის მიერ სცენისათვის ხარკის გადახდის კურიოზული ფაქტი, ან „ჩაპაევის“ სანახავად საგანგებოდ ქუთაისიდან ბათუმს ჩასვლა, მით უფრო, ლადოს სტუდენტური ოინები, მაგრამ იმ პოეტის ბუნებისა და ხასიათის შესაცნობად, რომელსაც თავისი ბიოგრაფიის ბოლომდე გასრულება არ დასცალდა, ყველაფერი ეს საინტერესოდ და მნიშვნელოვნად გვეჩვენება. რად ღირს თუნდაც ახალგაზრდა პოეტის დამოკიდებულება მეშხანური კეთილდღეობისა და ფსიქოლოგიისადმი, რასაც თავადვე გვიდასტურებდა ცხოვრების საკუთარი წესითა და სიტყვითაც: „ო, როგორ მძულს და მეზინდება ზოგი ხებრე და ბოთლის თაყვანისმცემელი, კარგად ნასადილევი ადამიანის სახე რომ აქვს... და თვლებში უაზრობა ჩადგომია“.

უფრო ფართო აზრით თუ ვილაპარაკებთ, უთუოდ სულიერი მეშხანობის გამოვლინება იყო ზოგიერთთა გამოხდომები ახალგაზრდა პოეტის მიმართ, რომელიც მთელა ხმითა და მგზნებარებით აღვლენდა თავის სიმღერას დედნსამშობლოს, ღირსეული წინაპრების მიმართ და რასაც ნაციონალიზმის გამოვლინებად ნათლავდნენ. ეს უსაფუძვლო ბრალდება ლადო ასათიანს კარგა ხანია დრომ მოუხსნა, მაგრამ შ. ქურიძის წიგნში მოყვანილი ფაქტები კიდევ ერთხელ გვიდასტურებენ, თუ რამდენად ფართო იყო ქაბუჯი პოეტის იდეური თვალსაწიერი და უხვი — სულიერი სიმდიდრე. სხვანაირად წარ-

მოუღვენელია ვერონეის ოლქში სამხედრო სამსახურში გამწესებულ კაცს ისეთი სიყვარულით ელაპარაკა ხალხთა. მეგობრობის აუცილებლობაზე, რუსი ხალხის შეილებაზე, როგორც ეს არის გადმოცემული წიგნში მოყვანილი ერთ-ერთ პირობა რათში.

საერთოდ, სარეცენზიო წიგნის უმთავრეს ღირსებად და თავისებურებად მაგვანია ის, რომ ავტორი არ შემოიფარგლა პირადი მოგონებებით და რომ მან საფუძვლიანად გაგვარკვია ჩვენი ხალხის საყვარელი პოეტის მიერ შექმნილი მეგვიკიდრების არსა და ღირებულებაში, რაც მოკლედ ასე შეიძლება შევამდეს. შ. ქურიძისავე სიტყვებით:

„ღალღ ასათიანი ვანუყრულად იყო დაკავშირებული თავის თაობასთან. გამოსცა და მისი სიხარული და ტკივილიც, მთლიანად გაიზიარა მისი მძიმე, მაგრამ საპატიო ზვედრი. ცხოვრების გზაზე მას ბევრი ავკაცობა გადაეღობა, ბევრი წყენა და გაჭირვება შეხვდა, ბოლოს სამინელი სენით დაავადდა, მაგრამ მაინც შეინარჩუნა სულეირი მხნეობა, რწმენა. იგი სიცოცხლისა და სიყვარულის, ვაჟკაცობისა და შემართების, ბოროტებასთან შეტრიგებლობის პოეტია და ყველაფერს შეხარის, რაც კი ცოცხლობს და ქმნის, რაშიც ეღინდება მშობლიური ხალხის გენია და გმირული სული“.

სწორედ ყოველივე ამის საინტერესოდ და დამაჯერებლად წარმოჩენა გვაძლევს საფუძველს, „ქაბუკი იყო, ქაბუკი იყო“ მივიჩნიოთ მეტად საჭირო წიგნად.

## ახლანან გამოიცა

გასულ ორ თვეში თბილისსა და ბათუმში აჭარის მწერალთა რამდენიმე წიგნი გამოიცა. მოკლედ ზოგიერთ მათგანზე.

გამომცემლობა „მერანმა“ რუსულ ენაზე დასტავა გიორგი სალუქვაძის პოეტური კრებული „საგარეუბნო ავტობუსები“.

წიგნში წარმოდგენილი რჩეული ლექსები და ლირიკული პოემა „მაისის წვიმა“ რუსულად თარგმნა მოსკოველმა პოეტმა ევგენი ილინმა.

წიგნის რედაქტორია ე. ნეიმანი, მხატვრულად გააფორმა თ. კობრეიძემ.

\* \* \*

გამომცემლობა „საბჭოთა საქართველოში“ და „ნაკადულმა“ თითქმის ერთდროულად მიაწოდეს მკითხველს ემენ დავითაძის ორი კრებული — „სოფლის აღმშენებელი“ და „რწმენა“.

პირველი მათგანი პუბლიცისტური კრებულია, როგორც ანოტაციაში ვკითხულობთ: „ავტორი სწვევია მთიანი აჭარის ისტორიულ სოფლებს, მოუნახულებია სულოს, შუახევისა და ქედიჩის რაიონები, შემდეგ კი სტუმრებია აჭარიდან წამოსულ ახალმოსახლეთა კარმიდამოებსა და სამოსახლოებს გაცოცხლებულ მესხეთში, წითელწყაროსა და გურიის სოფლებში. დიდძალმა მასალამ მოიყარა თავი. ისტორიულ წყაროებსა და ფოლკლორულ-ეთნოგრაფიულ მასალებზე დაყრდნობით სურს ფართო საზოგადოებას გააცნოს საქართველოს ერთ-ერთი უღამაზესი კუთხის აჭარის მდიდარი წარსული, შინაარსიანი დღევანდელი სახე და ნათელი მომავლის პერსპექტივები“.

წიგნი ილუსტრირებულია და გამოცემულია დიდი ტირაჟით.

„რწმენა“ ჰქვია ე. დავითაძის ლირიკუ-

ლი ლექსების კრებულს, რომელშიც ძირითადად ბოლო წლებში დაწერილი ლექსებია შესული.

\* \* \*

„სიყვარულის ახსნა“ დაურქმევია პოეტ შოთა ზოიძეს თავისი ახალი წიგნისათვის, რომელიც გამომცემლობა „საბჭოთა აჭარამ“ დაბეჭდა.

აი, რას ვკითხულობთ ავტორისგულ ანოტაციაში: „ეს მარად უბერებელი გრძნობა ყოველთვის იყო მჭაფრი ვნებათაღელვის სათავე, არც ჩვენი საუკუნეა გამონაკლისი. კოსმოსური აფეთქებისა თუ არნახული სიჩქარის ეპოქაში. ისევ პოეზიამ უნდა გაანელოს გულგრილობა, სიყვარულმა უნდა ჩაკლას ადამიანში კენი და გააცოცხლოს რუსთაველი და სერვანტესი, პუშკინი და ბაირონი, ტოლსტოი და ქავჭავაძე, ბეთხოვენი და ფალიაშვილი, გასტელო და გაგარინი, ფიროსმანი და გუღიაშვილი.“

ამ წიგნით უწორედ ეს მინდა შევახსენო მკითხველებს, როგორც ანშტაინი იტყოდა, ცოცხალმა ადამიანურმა გრძნობებმა არენა არ უნდა დაუთმოს მკვდარ წესებს.

განყოფილება „რუსული ჩუქურთმაც“ ამ მიზანს ემსახურება.

ესეც სიყვარულმა შთამაგონა:

კრებულის რედაქტორია ზ. ფირცხალიაშვილი, მხატვარი — გ. ხოჯაშვილი.

\* \* \*

გამომცემლობა „საბჭოთა აჭარამ“ მკითხველს მიაწოდა ცნობილი ქართველი მწერლის პარმენ ლორიას რომანი „განთიადი ხევში“. ეს ნაწარმოები პირველად „ღელი მურადის“ სახელწოდებით გამოიცა 1939 წელს და იმავეთვე მიიყრო ფართო საზოგადოებრიობის ყურადღება.

რომანი ასახავს აჭარის მთის სოფლის ცხოვრებას საბჭოთა ხელისუფლების პირველ წლებში.

წიგნის რედაქტორია ზ. ფირცხალიაშვილი, მხატვრულად გააფორმა რ. ლოძაძემ.

\* \* \*

ახალგაზრდა პოეტის ზურაბ ფირცხალიაშვილის ლექსების ახალი წიგნი მიაწოდა „საბჭოთა აჭარამ“ მკითხველებს. ანოტაციაში ვკითხულობთ:

„დაუსრულებელი პორტრეტი“ უწოდა პოეტმა ახალ კრებულს. ალბათ მწეღია სიტყვებით სრულყოფილად, ყველანიუანის გათვალისწინებით აჩვენო სულის მიმოხვრა სიყვარულისა და სიძულვილის, სიკეთესა და ბოროტებას, სინათლესა და სიბნელეს შორის.

ლექსების ლირიკული გმირი ჩვენთანამედროვეა — ფიქრიანი და მაძიებელი.

წიგნის რედაქტორია ლ. ბეჟანიძე, მხატვრულად გააფორმა თ. ღიბანიძემ.



# გასულ ორ თვეში

## ბამსველი სხდომა

მუდამ ხალხთან, მუდამ პარტიასთან ერთად! — ამ დევიზით გაიმართა ბათუმში, მწერალთა კლუბში, საქართველოს მწერალთა კავშირის გამგეობის სამდივნოს გამსვლელი სხდომა, რომლის მუშაობაში, სტუმრებთან ერთად, მონაწილეობდნენ აჭარის მწერლები, პარტიული და საზოგადოებრივი ორგანიზაციების წარმომადგენლები.

გამსვლელი სხდომა შესავალი სიტყვით გახსნა საქართველოს მწერალთა კავშირის გამგეობის თავმჯდომარემ გ. ციცივილიმა, რომელმაც ილაპარაკა სკკპ XXVII ყრილობის მიერ მწერლობის წინაშე დასახულ საპატიო ამოცანებზე, აჭარის ლიტერატორთა სადღეისო პრობლემებზე.

საქართველოს მწერალთა კავშირის აჭარის ორგანიზაციის მუშაობაზე მოხსენებით გამოვიდა მწერალთა კავშირის აჭარის განყოფილების პასუხისმგებელი მდივანი ფ. ხალვაში.

ყურნალ „ჭოროხის“ მუშაობის შესახებ ინფორმაცია გააკეთა მისმა მთავარმა რედაქტორმა ა. სამსონიამ.

კამათში მონაწილეობდნენ საქართველოს მწერალთა კავშირის გამგეობის მდივნები ჯ. ჩარკვიანი, რ. ამაშუკელი, მწერლები ა. ჩხაიძე, შ. როყვა, ვ. ლლონტი, ო. ნოღია, დ. კვიციანიძე, ზ. ფირცხალაოშვილი, გამომცემლობა „საბჭოთა აჭარის“ დირექტორი ა. ახვლედიანი, გაზეთ „საბჭოთა აჭარის“ განყოფილების გამგე ნ. ჯაფარიძე.

სამდივნოს სხდომაზე სიტყვა წარმოთქვა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიუროს წევრობის კანდიდატმა, პარტიის აჭარის საოლქო კომიტეტის პირველმა მდივანმა ვ. პაპუნძემ.

გამსვლელი სხდომა შეაჯამა საქართ-

ველოს მწერალთა კავშირის გამგეობის თავმჯდომარემ გ. ციცივილიმა.

\* \* \*

თბილისელი მწერლები ხელვაჩაურის რაიონის მშრომელებს ეწვივნენ. მათ დაათვალიერეს საზღვრისპირა სოფელი სარფი. საინტერესო შეხვედრა მოეწყო გონიოს მეციტრუსელობის საბჭოთა მეურნეობის კულტურის სახლში. შეხვედრა გახსნა საქართველოს მწერალთა კავშირის აჭარის განყოფილების პასუხისმგებელმა მდივანმა ფ. ხალვაშმა, პარტიული მწერლობის ამოცანებზე ისაუბრა საქართველოს მწერალთა კავშირის გამგეობის თავმჯდომარემ გ. ციცივილიმა.

სიტყვით გამოვიდნენ და ლექსები წაიკითხნენ ჯ. ჩარკვიანმა, დ. კვიციანიძემ, ა. სულაკაურმა, ჯ. ქათამიძემ, დ. თედორაძემ.

პარტიის ხელვაჩაურის რაიონის პირველმა მდივანმა ნ. გოგიტიძემ სტუმრებს გულითადი მადლობა გადაუხანდა.

## იდეოლოგიური კომისია იხილავს

გაიმართა საქართველოს კომპარტიის აჭარის საოლქო კომიტეტის იდეოლოგიური კომისიის გაფართოებული სხდომა, რომლის მუშაობაში, კომისიის წევრებს გარდა, მონაწილეობდნენ საოლქო და რაიონული გაზეთების, შემოქმედებითი კავშირების, განათლების, კულტურის, ჯანმრთელობის დაცვის, უმაღლესი და საშუალო სპეციალური სასწავლებლების, სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულებების ხელმძღვანელები, პარტიული ორგანიზაციების მდივნები.

სხდომაზე მოხსენებით „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის იდეოლოგიურ მუშაკთა ამოცანები სკკპ XXVII ყრი-

ლობის გადაწყვეტილებების განხორციელებებისათვის“ გამოვიდა საქართველოს კომპარტიის აჭარის საოლქო კომიტეტის მდივანი ნ. დუმბაძე.

სხდომაზე გამოითქვა რწმენა, რომ ავტონომიური რესპუბლიკის კომუნისტებში, მშრომელები, ისე როგორც მთელი საბჭოთა ხალხი, ყველაფერს გააკეთებენ იმისათვის, რათა წარმატებით განხორციელონ სკკპ XXVII და საქართველოს კომპარტიის XXVII ყრილობების გადაწყვეტილებები.

### შინაპირები, სადამოკი

აჭარის მწერალთა ჯგუფი ქობულეთის რაიონის მშრომელებს ესტუმრა. საინტერესო შეხვედრა, რომელიც სკკპ XXVII ყრილობას მიეძღვნა, გაიმართა ხუტუბნის კულტურის სახლში.

შეხვედრა გახსნა სახალხო დეპუტატთა ხუტუბნის სასოფლო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარემ რ. მოწყობილმა.

პოეტებმა მ. ვარშანიძემ, ჯ. ქათამაძემ, ზ. გორგილაძემ, შ. ზოიძემ, ქ. მუავიამ, შ. როყვამ, ზ. ფირცხალაიშვილმა, ვ. ღლონტმა, ა. ხაბაშმა დამსწრეთ წაუკითხეს ლექსები და უპასუხეს შეკითხვებს.

პოეტები პლანტაციაში ესტუმრნენ და თავიანთი ნაწარმოებები წაუკითხეს სოფელ ულიანოვკის კოლმეურნეობის უგანრიგო ბრიგადის წევრებს, მოწინავე კოლმეურნეებს უსახსოვრეს თავიანთი წიგნები.

\* \* \*

ბათუმის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასკომის კულტურის განყოფილებამ და წიგნის მოყვარულთა საზოგადოების აჭარის რესპუბლიკურმა გამგეობამ მოაწყვეს პოეზიის სადამო, რომელშიც მონაწილეობდნენ რესპუბლიკის მოწინავე ადამიანები, პოეტები, მხატვრები, მსახიობები, საზოგადოებრიობის წარმომადგენლები.

სადამოზე ლექსები წაკითხეს პოეტებმა ფ. ხალვაშმა, გ. სალუქვაძემ, ჯ. ქათამაძემ, ც. ანთაძემ, ქ. მუავიამ, დ. გიგინეიშვილმა, საქართველოს დამსახურებულმა არტისტმა ნ. საკანდელიძემ, სტუდენტებმა ნ. ღლონტმა და ი. ფუტკარაძემ.

სადამოს მონაწილეებს მიესალმა სკკპ XXVII ყრილობის დელეგატი, ბათუმის ტრანსფორმატორების ქარხნის მუშა ლ. დიასამიძე.

პოეზიის სადამოზე, რომელსაც უძღვეოდა ბათუმის № 22 ქართული საშუალო სკოლის სასწავლო ნაწილის გამგე გ. ვადაკორია, ბავშვთა ანსამბლმა „ჩიტუნია“, პროფკავშირების კულტურის სახლის ვაჟთა ტრიომ, კულტსაგანმანათლებლო სასწავლებლის მოსწავლეებმა და მუსიკალურ-ქორეოგრაფიული საზოგადოების ქალთა ვოკალურმა ანსამბლებმა თავიანთი ხელოვნება უჩვენეს დამსწრეთ.

საქართველოს სსრ დამსახურებულმა მხატვარმა ა. ფილიპოვმა და ო. გიორგაძემ სადამოს მონაწილეებს უძღვნეს მეგობრული შარჟები.

### კონცერტი მენავთობეთა კულტურის სასახლეში

აჭარაში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების 65 წლისთავს მიეძღვნა დიდი კონცერტი, რომელიც ბათუმის მენავთობეთა კულტურის სასახლეში გაიმართა.

აუდიტორიის წინაშე წარსდგა აჭარის სახელმწიფო სიმფონიური ორკესტრი (დირიჟორი ტ. დუგლაძე). დიდი წარმატება ხვდათ თბილისის ზ. ფალიაშვილის სახელობის ლენინის ორდენისა და სახელმწიფო აკადემიური თეატრის სოლისტებს — სსრ კავშირის სახალხო არტისტს მ. ამირანაშვილს, საქართველოს სსრ სახალხო არტისტს ნ. მკერვალიძეს, საქართველოს სსრ სახალხო არტისტს საქართველოს ლენინური კომკავშირის



პრემიისა და ჩაიკოვსკის სახელობის საერთაშორისო კონკურსის ლაურეატს ა. ზომერისს, საოპერო სტუდიის ახალგაზრდა მომღერალს მ. ჯახუტაშვილს.

რო, მონაწილეობა მიიღო კავშირების ხანლის სვეტებიან დარბაზში გამართულ საზეიმო კონცერტში.

**ეკიპაჟის საპატრიო წმინდე**

საქართველოს საზღვაო სანაოსნოს ტანკერ „ბოლშევიკ კამოს“ ეკიპაჟმა თავის საპატრიო წვევრად ჩარიცხა ცნობილი ქართველი პოეტი მამია ვარშანიძე, რომელსაც ახლანან ტანკერზე შეხვედრა მოუწყვეს.

„ბოლშევიკ კამოს“ ეკიპაჟის სასახელო საქმეებზე ისაუბრა კაპიტნის პირველმა თანამშემწემ რ. ნაკაშიძემ. მ. ვარშანიძის ცხოვრებისა და შემოქმედების შესახებ ილაპარაკეს ვაჟეთ „საბჭოთა აჭარის“ განყოფილების გამგებმა შ. ზოიძემ და ნ. ჯაფარიძემ, საქართველოს საზღვაო სანაოსნოს პროფკავშირული ბიბლიოთეკის გამგემ ც. გიგინეიშვილმა.

პოეტმა მ. ვარშანიძემ გულითადი მადლობა გადაიხადა შეხვედრისათვის, ისაუბრა შემოქმედებითს გეგმებზე და წაიკითხა ლექსები.

**კონსერტაჟით მოსაკოვში**

საქართველოს კომკავშირის პრემიის ლაურეატი ბათუმის შ. რუსთაველის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის ქორეოგრაფიული ანსამბლის „ტბეთმა“ (ხელმძღვანელი ჯ. ჩიჩუა) სტუდენტური არდადეგების დროს გამოდიოდა მოსკოველი მკუყრებლების წინაშე.

ანსამბლი საინტერესო რეპერტუარით წარსდგა ახალგაზრდულ ბანაკ „ზემჩუჟინში“ გამართულ სტუდენტთა შემოქმედებითი ცოლექტივების ფესტივალზე და საპატრიო დიპლომით დაჯილდოვდა. „ტბეთმა“ საერთაშორისო ახალგაზრდულ კომპლექსში გამართა კონცერტი, რომელსაც ბევრი მკუყრებელი დაესწ

**პირველად გასტროლზე**

კალინინგრადში გამართულ თვითმკმედი კოლექტივების მე-2 საკავშირო ზონალურ ფესტივალზე დიდი წარმატება ხვდა აჭარის საოლქო კულტურის ხანლის ქორეოგრაფიულ ანსამბლს „ნაბერწყალს“. მისი ხელმძღვანელია საკავშირო ფესტივალის ლაურეატი. რ. სურშიანიძე. ანსამბლში ქალაქის თერამეტისკოლის მოსწავდეები არიან გერთიანებულო.

ფესტივალი, რომელზეც „ნაბერწყალი“ მიიწვიეს საგაზაფხულო არდადეგებზე, საბჭოთა კავშირის მრავალი კუთხის წარგზავნილს მასპინძლობდა. საქართველო მხოლოდ „ნაბერწყალით“ იყო წარმოდგენილი. კონცერტები, საფესტივლო პროგრამის გარდა, გამართეს ქალაქ ნემანში.

„ნაბერწყლის“ საგასტროლო დებიუტმა წარმატებით ჩაიარა. ამაზე მეტყველებს ისიც, რომ ანსამბლი მიიწვიეს „მეთევზეთა ზეიმზე“. ეს ტრადიციული საოლქო დღესასწაული კალინინგრადში 1987 წლის ივლისში გაიმართება.

**ქმარდა მსტონური მუსიკა**

აჭარის მუსიკალურ-ქორეოგრაფიული საზოგადოების მოწვევით ბათუმს ესტუმრა ესტონეთის სსრ მამაკაცთა აკადემიურ გუნდთან არსებული ვოკალური ჯგუფი, რომელმაც ზ. ფალიაშვილის სახელობის ბათუმის სამუსიკო სასწავლებლის დიდ დარბაზში კონცერტი გამართა.

სტუმრების რეპერტუარი გამოირჩეოდა თვითმყოფადი ეროვნული მოტივებით, იუმორით, დინამიკურობით.

მსმენელთა მოთხოვნით თითქმის ყოველი ნომერი მეორდებოდა.

6116/83



№ 40 1983.

ЛИТЕРАТУРНО-ХУДОЖЕСТВЕННЫЙ  
И ОБЩЕСТВЕННО-ПОЛИТИЧЕСКИЙ ЖУРНАЛ

**„ЧОРОХИ“**

ОРГАН СОЮЗА ПИСАТЕЛЕЙ  
ГРУЗИИ И АДЖАРСКОГО ОТДЕЛЕНИЯ  
ИНДЕКС 76118